

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 5

სისხლის სამართლის

პროცესი

1. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში	
- მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე	3; 7
- სამოქალაქო მოპასუხედ საქმეში ჩაბმა	11; 15; 37
- სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად გადაცემა სამოქალაქო სამართლისწარმოების წესით ..	40; 50; 54; 65
- მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება	71
2. პრეიუდიციები	75
3. ექსტრადიცია	82; 85
4. გირაო	89; 94; 99; 105; 109; 116; 121
5. ექსპერტის დასკვნა	126
6. სასამართლო გამოძიება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში	132
7. განაჩენში მოყვანილი სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან	138
8. კერძო საჩივარზე უარის თქმა ხარვეზის გამო	145
9. კანონის არასწორი გამოყენება	147; 154
10. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სარევიზიო საწყისი	163
11. საქმეთა გაერთიანება საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით	168

1. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში

მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე

განჩინება

#968აპ-08

31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ა-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განაჩენით ვ. ა-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა; ასევე –სხვის ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ვ. ა-მე ცხოვრობს მასთან ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ მ. თ-შვილთან კასპის რაიონის სოფელ ... 2007 წლის 26 აგვისტოს ვ. ა-მე მ. თ-შვილთან ერთად დაესწრო თანასოფელ ნ. კ-შვილის დაკრძალვას, რის შემდეგაც მ. თ-შვილი დაბრუნდა სახლში, სადაც იმყოფებოდნენ დედა მ. ქ-შვილი და ძმისშვილები -ე. და თ. კ-ევები.

დაახლოებით 21 საათზე ნასვამი ვ. ა-მე დაბრუნდა სახლში და ადრე განაწყენებულმა დაუწყო ლანძღვა-გინება მ. თ-შვილსა და მ. ქ-შვილს ე. და თ. კ-ევების თანდასწრებით. შემდეგ განაწყენებულმა, შურისძიების მოტივით, მათი მოკვლის განზრახვით, სახლში შეიტანა ნავთობპროდუქტი მათართ, მოასხა იმ ოთახის იატაკს, სადაც იმყოფებოდნენ ზემოაღნიშნული პირები, წაუკიდა ცეცხლი და მიიმალა.

ვ. ა-მის ამ ქმედებით მ. თ-შვილმა მიიღო მარცხენა ფეხის ტერფის 1-ლი თითის, ხოლო თ. კ-ევმა –მარცხენა წვივის მიდამოში 1-ლი ხარისხის დამწვრობა, რაც მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს.

ვ. ა-მემ ვერ შეძლო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა, რადგან დაზარალებულებმა შეძლეს გვერდით მდებარე სათავსი ოთახის ფანჯრიდან ეზოში გასვლა, მეზობლების დახმარებით კი ხანძრის ჩაქრობა. ხანძრის შედეგად მ. თ-შვილსა და მ. ქ-შვილს მიადგათ 2-2 ათასი ლარის, ე. კ-ევს –350 ლარის, ხოლო თ. კ-ევს –300 ლარის ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. ა-მეს საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით –თავისუფლების აღკვეთა 3 წლით; „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ვ. ა-მეს გაუნახევრდა სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 31 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. გ-შვილმა. მან ითხოვა ვ. ა-მის გამართლება სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის გადაკვალიფიცირება 188-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონით სასჯელის მოხდისაგან სრულად განთავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ვ. ა-მეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი

ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა; მას სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პალატორი -მსჯავრდებულ ვ. ა-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. გ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და უსამართლოა, გამოტანილია საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. ა-ძის საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიება მიმდინარეობდა არაობიექტურად; საქმეში არ არსებობს მტკიცებულებათა რეალური ერთობლიობა, რომელიც გახდებოდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი; სასამართლო ვ. ა-ძის სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლით მსჯავრდებისას დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმსა და სასამართლო სამედიცინო დასკვნებს, რაც არ არის საკმარისი; ვ. ა-ძეს არ ჰქონდა დაზარალებულების მკვლელობის მიზეზი ან მოტივი. დაზარალებულმა მ. თ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება გაზვიადებულია და დაწერილია „ცხელ გულზე“; მან ასევე დაადასტურა, რომ ვ. ა-ძეს არ უცდია მისი და სხვა დაზარალებულების მკვლელობა. მოწმეებმა -ბ. და ნ. ო-ძეებმა სასამართლო სხდომაზე განაცხადეს, რომ ცეცხლი, რომელიც მათ ჩააქრეს, სიცოცხლისათვის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენდა. ვ. ა-ძე ხასიათდება დადებითად, როგორც კეთილშობილი ადამიანი. საქმეში არსებულ ექსპერტიზათა დასკვნებით, დაზარალებულებზე მეტი დაზიანება მიღებული აქვს თვითონ მსჯავრდებულს, რომელმაც მიიღო მე-2-მე-3 ხარისხის დამწვრობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. გ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ვ. ა-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეიწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სრულყოფილად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა და დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, რომლის გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

არაერთი დაზარალებულის თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებით ირკვევა, რომ ვ. ა-ძე შეგნებულად და მიზანმიმართულად მოქმედებდა -იგი ხედავდა, რომ ოთახში, სადაც ბენზინი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა, ოთხი ადამიანი იმყოფებოდა. თ. კ-ევს ცეცხლის ალი ფეხებზე მოედო, ხოლო ე. კ-ევს ჩვენებით, ოთახიდან გასვლას ვერ შეძლებდნენ და ცეცხლმოდებული ოთახი ფანჯრიდან დატოვეს. საგულისხმოა, რომ ცეცხლის წაკიდებისთანავე ვ. ა-ძე გაიქცა, რაც ნათლად მეტყველებს მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების შეგნებაზე. რაც შეეხება დაზარალებულ მ. თ-შვილს, მან სასამართლოში განმარტა, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება ობიექტურია და რეალობას ასახავს.

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ მ. თ-შვილისა და მ. ქ-შვილის მიერ სამოქალაქო სარჩელის გამო წარმოება შეწყვიტა მოსარჩელეთა მიერ სარჩელზე უარის გამო, თუმცა გასაჩივრებული განაჩენით აღნიშნულ დაზარალებულებს, სსკ-ის მე-40 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნის მიუხედავად, დარჩათ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის უფლება, რაც უნდა გასწორდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელზე უარს მოსდევს სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რაც სამოქალაქო მოსარჩელეს ართმევს უფლებას, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძველით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა აღნიშნულისა, სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. ა-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: მ. თ-შვილისა და მ. ქ-შვილის სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდეს წარმოება სარჩელზე უარის გამო.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე

განჩინება

#590აპ-09

18 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის განაჩენით გ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 151-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენით გ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 21 მაისიდან. ამ სასჯელიდან მსჯავრდებულს 1 წელი და 6 თვე ჩაეთვალა პირობით, ამავე ვადით.

2008 წლის 31 აგვისტოს, დაახლოებით 22 საათზე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში მცხოვრებ ი. მ-შვილთან საცხოვრებელ სახლში მივიდა მთვრალი გ. მ-შვილი. იყო რა განაწყენებული, მან შურისძიების მოტივით ი. მ-შვილს მიაყენა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება -ქალა-ტვინის ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, ქვედა ყბის ღია ნამსხვროვანი მოტეხილობა, წაუჭირა ხელი ყელში და დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც დაზარალებულს გაუჩნდა სიცოცხლის მოსპობის მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. გ. მ-შვილი აზიანებდა სახლში არსებულ ნივთებს, რითიც დაზარალებულმა ისარგებლა, მიატოვა სახლი და გაიქცა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-შვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 16 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა თ. მ-ძემ. აპელანტებმა ითხოვეს განაჩენის გაუქმება და გ. მ-შვილის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები -მსჯავრდებული გ. მ-შვილი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. მ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულის ქმედებას არასწორადაა დაკვალიფიცირებული; დაზარალებულს თავიდან არ განუცხადებია, რომ მსჯავრდებული მას მოკვლით ემუქრებოდა; გ. მ-შვილი სსკ-ის 151-ე მუხლით ექვემდებარებოდა ცნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ამნისტიის შესახებ“, ანუ იმის მერე, რაც ცნობილი გახდა, რომ გ. მ-შვილს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 187-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემდნენ; აღსანიშნავია, რომ დაზარალებულმა ჩვენება მისცა შემთხვევიდან რამდენიმე საათში ბათუმის #1 საავადმყოფოში, სადაც მოთავსებული იყო ტვინის შერყევის დიაგნოზით და თავს ცუდად

გრძნობდა; ი. მ-შვილის დაკითხვაზე არ არსებობს ექიმის ნებართვა, ამიტომ მის მიერ საავადმყოფოში მიცემული ჩვენება მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს; გ. მ-შვილს რომ გამოხატა ი. მ-შვილის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, მას მაინც არ უნდა დაკისრებოდა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან მხოლოდ აღნიშნული იდეის გამომყდავენება არ არის დასჯადი; სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა განმარტა, რომ არ იცის, გაუჩნდა თუ არა სიცოცხლის მოსპობის მუქარის განხორციელების რეალური შიში, ამიტომ გ. მ-შვილის ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მუქარა, ვინაიდან იგი ი. მ-შვილისათვის მიყენებული ნაკლებად მძიმე დაზიანების შემადგენელი ნაწილია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებს მიაჩნიათ, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის განაჩენის გაუქმებასა და გ. მ-შვილის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარა არ არის მხოლოდ განზრახვის გამომყდავენება, რადგან ხშირ შემთხვევაში დამნაშავე შესაძლოა არც აპირებდეს მის განხორციელებას, თუმცა დაზარალებულის მიერ მუქარის რეალურად აღქმა უკვე იძლევა ამ დანაშაულის შემადგენლობას. ამასთან, სსკ-ის 118-ე და 151-ე მუხლები ითვალისწინებს თვისობრივად სხვადასხვა ქმედებებს და ისინი არ შეიძლება ერთმანეთს მოიცავდეს, როგორც ამას კასატორები აღნიშნავენ. მათივე მტკიცების საპირისპიროდ საქმეშია დაზარალებული თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებები, რომელთა ობიექტურობაზე არაერთი დადგენილი გარემოება მეტყველებს, კერძოდ:

თავის ყველა ჩვენებაში დაზარალებული განმარტავს, რომ გ. მ-შვილმა ძლიერად დაარტყა მუშტი სახეში, წააქცია და ორივე ხელი წაუჭირა ყელში, ემუქრებოდა მოკვლით, რის შემდეგ დაზიანა სახლში არსებული ნივთები. სწორედ მოკვლის მუქარის შიშით ი. მ-შვილმა მიატოვა თავისი სახლი და ყვირილით ითხოვდა შველას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ დაზარალებულის ბინაში არაერთი ნივთი დაზიანდა, ხოლო შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით, ი. მ-შვილს აღენიშნებოდა ქალატკინის ტრავმა, თავის ტვინის შერყევა და ქვედა ყბის ნამსხვროვანი მოტეხილობა. თავად მსჯავრდებული არ უარყოფს, რომ დაზარალებულს ხელი გაარტყა, თუმცა მიუთითებს, რომ არ დამუქრებია.

პალატა აღნიშნავს, რომ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებები ნათლად მეტყველებს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურობაზე, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებული და სამართლიანია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, დაზარალებულმა სასამართლოში უარი განაცხადა სამოქალაქო სარჩელზე, რასაც სათანადო ყურადღება არ მიექცა. განმარტებულია, რომ სსსკ-ის მე-40 მუხლის შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძველით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა აღნიშნულისა, სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განაჩენი შეიცვალოს: დაზარალებულ ი. მ-შვილის სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდეს წარმოება სარჩელზე უარის გამო.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო მოპასუხედ საქმეში ჩაბმა

განჩინება

#1346აპ.-08

19 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ფ. ო-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განაჩენით ფ. ო-ი -ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე -5 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელები საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე შეიკრიბა და ფ. ო-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ფ. ო-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. მასვე ქვემო ქართლის რეგიონული სატყეო სამმართველოს სასარგებლოდ დაეკისრა 241 ლარისა და 40 თეთრის გადახდა.

ფ. ო-ს მსჯავრი დაედო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აგრეთვე -არაერთგზის ქურდობის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 22 დეკემბერს ბოლნისის რაიონში მცხოვრები ვ. ა-ი და დმანისის რაიონში მცხოვრები რ. ა-ი იმყოფებოდნენ ამ უკანასკნელის საცხოვრებელ სახლში, სადაც მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი -არაყი. სადამოს, დაახლოებით 18.00 საათზე, ფ. ო-მ, ვ. ა-მ და რ. ა-მ გადაწყვიტეს, ჩასულიყვნენ ბოლნისის რაიონში მცხოვრებ რომელიმე ოჯახში და ფარულად, ქურდობის გზით წამოეყვანათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ფ. ო-ი, ვ. ა-ი და რ. ა-ი იმავე დღეს ცხენებით, დაახლოებით 22 საათზე, ჩავიდნენ ბოლნისის რაიონში. 100 მეტრის მოშორებით მათ გააჩერეს ცხენები, რომლებიც ჩააბარეს ვ. ა-ს, ხოლო ფ. ო-მ და რ. ა-მ შეაღწიეს ტ. პ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებულ საქონლის სადგომში, საიდანაც ფარულად, მისაკუთრების მიზნით გამოიყვანეს მისი კუთვნილი, ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და ორი სული დეკეული, რომლებიც მათ რ. ა-ს სახლში მიიყვანეს. აღნიშნული ქმედებით ფ. ო-მ, ვ. ა-მ და რ. ა-მ დაზარალებულ ტ. პ-ს მიაყენეს 3 000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის იანვრის შუა რიცხვებში (15-16 იანვარი) ფ. ო-მ განიზრახა, უკანონოდ მოეჭრა სოფელ დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარი ერთი ძირი წიფელი, ერთი ძირი რცხილა და ნეკერჩხალი, შემდგომ ფარულად გამოეტანა ტყიდან და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მათ. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2008 წლის იანვრის შუა რიცხვებში ფ. ო-მ ტყეში მოჭრა ზემოთ აღნიშნული ჯიშის ხეები, რის შემდეგაც ისინი თავის საცხოვრებელ სახლში გადაიტანა და დააწყო ეზოში, რითაც ქვემო ქართლის რეგიონულ სატყეო სამმართველოს მიაყენა 241,40 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ფ. ო-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. გ-მ.

აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა ფ. ო-ს მიმართ დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ ფ. ო-ს საქონლის ქურდობაში მონაწილეობა არ მიუღია; ვ. ა-ს მიერ მისი მამხილებელი ჩვენების მიცემა განპირობებული იყო სხვა პირების დაფარვით, ვისთან

ერთადეც ვ. ა-მ რეალურად ჩაიდინა დანაშაული და ასევე -პირადი პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით, რასაც მიაღწია კიდევ პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით. რაც შეეხება ბრალად შერაცხულ მეორე ეპიზოდს, მსჯავრდებულ ფ. ო-ს განმარტებით, 2007 წლის ნოემბერში მან აიღო ხის მოჭრის ნებართვა, მაშინვე წავიდა ტყეში, მოჭრა ხეები, მაგრამ წვიმების გამო, იქიდან გამოიტანა მოგვიანებით.

აპელანტი ასევე აყენებს ალტერნატიულ მოთხოვნას: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს ფ. ო-ს ბრალდებას, უნდა გადაიხედოს დანიშნული სასჯელის სამართლიანობის საკითხი. აპელანტის განმარტებით, მსჯავრდებულს სასჯელი დანიშნული აქვს თითოეული ეპიზოდისათვის, რაც მიაჩნია არასწორად. მისი აზრით, ამ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანი -არაერთგზისობა -მოიცავს ყველა ეპიზოდს და მათი ცალკე კვალიფიკაცია, სასჯელების ცალ-ცალკე განსაზღვრა და დანაშაულთა ერთობლიობის წესით შეჯამება არ არის სწორი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენით დმანისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განაჩენი ფ. ო-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ფ. ო-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ფ. ო-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ფ. ო-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ფ. ო-ს ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებით, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ფ. ო-ს მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ფ. ო-ს დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა მსჯავრდებულ ფ. ო-ს სამოქალაქო მოპასუხედ ცნობა, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულ ფ. ო-ს დაეკისრებინათ ქვემო ქართლის რეგიონული სატყეო სამმართველოს სასარგებლოდ 241 ლარისა და 40 თეთრის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება ფ. ო-ს სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ქვემო ქართლის რეგიონული სატყეო სამმართველოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, ქვემო ქართლის რეგიონულ სატყეო სამმართველოს აქვს უფლება, იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ფ. ო-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება ქვემო ქართლის რეგიონული სატყეო სამმართველოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო მოსაპუხედ საქმეში ჩაბმა

განჩინება

#152აპ-09

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ზ. გ-იანის, დ. ფ-იანის, მსჯავრდებულ გ. ი-ნისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-იანის, მსჯავრდებულ ზ. ფ-ნისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ნის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის განაჩენით:

ზ. გ-იანს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდებები და ბრალდების ამ ნაწილებში გამართლდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ზ. გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -ჯარიმა 2000 ლარი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით - 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ზ. გ-იანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 30 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი. აღნიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით შეუმცირდა 30 წლამდე და საბოლოოდ ზ. გ-იანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 30 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 22 ოქტომბრიდან.

ზ. ფ-ნს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდებები და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ზ. ფ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით -5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ზ. ფ-ნს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 25 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -14 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯე-

ლის მოხდის საერთო ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში გატარებული დრო 2007 წლის 4 ოქტომბრიდან -2007 წლის 26 ოქტომბრამდე და სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 23 ოქტომბრიდან.

გ. ი-ნს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

გ. ი-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით -5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით -11 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ გ. ი-ნს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 20 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -11000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 ოქტომბრიდან.

დ. ფ-იანს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

დ. ფ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და დ. ფ-იანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით, ე.ი. 2 წლის, 7 თვისა და 15 დღის ვადით და მოსახდელად განესაზღვრა 7 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის გამოსაცდელი ვადით და იგი შეიცვალა 4 წლით თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლი შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობით, ზემოაღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ დ. ფ-იანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დაკმაყოფილდა გ. ბ-შვილის, ი. ტ-ძის, ლ. ბ-შვილის, თ. ბ-შვილისა და ე. ბ-შვილის სამოქალაქო სარჩელები.

მსჯავრდებულებს -გ. ი-ნსა და ზ. გ-იანს სოლიდარულად დაეკისრათ: გ. ბ-შვილის სასარგებლოდ -3430 აშშ დოლარის, 250 ევროსა და 430 ლარის გადახდა, ი. ტ-ძის სასარგებლოდ -3505 ლარის გადახდა, ლ. ბ-შვილის სასარგებლოდ -1710 ლარის გადახდა, თ. ბ-შვილის სასარგებლოდ -850 ლარის გადახდა და ე. ბ-შვილის სასარგებლოდ -1045 ლარის გადახდა.

დაზარალებულების -რ. ქ-შვილის, სეიფადან გარაევის, ს. ა-ვის, ე. მ-ვის, ა. ტ-ვის, ა. ა-იანის მოთხოვნები დარჩა ღიად, სამოქალაქო სარჩელების წარმოუდგენლობის გამო.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

„GOLDEN შთაღ-2002“ მოდელის, 9 მმ კალიბრის, შავი პლასტმასის-ტარიანი, #58368 პისტოლეტი წარწერით Vალტრო D-04664, ერთი მჭიდი, 6 ვაზნა, სამხედრო დანა ე.წ. „შტიკონოჟი“, 330 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა კოროზიულ მდგომარეობაში, 91 მმ კარაბინის ტყვია, 10 მასრა, 2 სანადირო დანა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას;

„HOLEK-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი 820, წარწერით „ბროკოვა შტრელა“, რომელშიც მოთავსებულია ორი ვაზნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესანახად უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას შესანახად. დაზარალებულის უფლებამონაცვლეს -ტ. ჩ-ძეს კი დარჩეს უფ-

ლება, მისი შვილის -გ. ჩ-მის კუთვნილ იარაღთან დაკავშირებით იდავოს სამოქალაქო სამართალ-წარმოების წესით;

სანადირო თოფი „Vინცესტერ მოდელ 1300 დეფენდერ 12 GA“ და მისი 7 ვაზნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესანახად უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას. დაზარალებულ გ. ბ-შვილს კი დარჩეს უფლება, ადრე მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ზემოაღნიშნულ იარაღთან დაკავშირებით იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით;

„ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი და დამტენი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ა. ტ-ოვს;

„სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი და დამტენი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ე. მ-ვს.

„ალკატელის“ ფირმის მობილური ტელეფონი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ქ. პ-შვილს;

კომპაქტდისკზე მოთავსებული ჩანაწერი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა შეინახოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად სისხლის სამართლის შენახვის ვადით;

წითელი ფერის ქურთუკი და შავი ფერის ჟაკეტი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ზ. ფ-ნსა და გ. ი-ნს.

ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესადგენად წარდგენილი ზ. ფ-ნისა და გ. ი-ნის ტანსაცმელი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უნდა დაუბრუნდეს ზ. ფ-ნსა და გ. ი-ნს;

გ. ი-ნის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ჩანთა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს გ. ი-ნს;

გ. ი-ნის პირადი ჩხრეკისას მის ხელთ არსებული ჩანთიდან ამოღებული შარვლის ტოტის გადანაჭერი და შავი ფერის ქსოვილი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს;

მ. გ-ნის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონის -“სამსუნგის“ ორი ყუთი და ერთი წყვილი ხელთათმანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მ. გ-ანს;

ზ. გ-იანის სახლიდან ამოღებული ჯინსის შარვალი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ზ. გ-იანს;

ზ. ფ-ნის ჟაკეტიდან ამოღებული თმები, გ. ი-ნის ნერწყვისა და თმის ნიმუშები, ზ. ფ-ნის ნერწყვისა და თმის ნიმუშები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს;

დ. ფ-იანის სახლიდან ამოღებული შავი ფერის ერთი ტყავის საფულე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ რ. ქ-შვილს, ხოლო ყავისფერი საფულე -დაზარალებულ ა. ა-იანს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების -გ. ი-ნის, ზ. გ-იანის, ზ. ფ-ნისა და დ. ფ-იანის დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

გ. ი-ნმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა: “ფ-1” ტიპის ხელყუმბარა, 9 მმ კალიბრის პისტოლეტი “ვალტრო”, 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტი “გოლდ სტარ-2002”, 38 კალიბრიანი რევოლვერი “ბროკოვა სტრელა”, 9 მმ კალიბრის 3 ვაზნა და 38-კალიბრიანი რევოლვერის სამი ვაზნა, რომლებსაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2007 წლის 4 ოქტომბერს გ. ი-ნმა ზემოთ აღნიშნული ხელყუმბარა, ორი პისტოლეტი, ერთი რევოლვერი და 6 ვაზნა მოათავსა ღია ლურჯი ფერის ხელჩანთაში. ატარებდა რა მართლსაწინააღმდეგოდ ზემოაღნიშნულ ცეცხლსასროლ იარაღებს, საბრძოლო მასალასა და ასაფეთქებელ მოწყობილობას, უკანონოდ გადაზიდა ქ. თბილისში, რა დროსაც იგი დააკავეს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავების ადგილზე, პირადი ჩხრეკისას, გ. ი-ნს თანაქონ ხელჩანთაში აღმოაჩნდა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი “ფ-1” ტიპის ხელყუმბარა, რაც შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური ექსპერტის #355\ამ დასკვნით წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომელიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას; 9 მმ კალიბრის პისტოლეტი “გოლდ სტარ-2002”, რაც ბალისტიკური ექსპერტიზის #6\2-125\ბ დასკვნით მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; ასევე ამოიღეს თვითნაკეთი წესით დამზადებული 9 მმ კალიბრის სამი ვაზნა, რაც ამავე ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად, სამი ვაზნა -1877

წლის ნიმუშისათვის განკუთვნილი, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

გ. ი-ნი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობს -ზ. ფ-ნს და შესთავაზა ტურისტთა ჯგუფზე ყაჩაღური თავდასხმა. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2004 წლის 11 აგვისტოს, დაახლოებით 11 საათზე, ისინი შეიარაღდნენ ერთლულიანი და ორლულიანი სანადირო თოფებით, ნიღბებით და ყაჩაღურად თავს დაესხნენ რ. ე-ძეს, გ. ლ-ძეს, რ. ა-ძეს, გ. ჩ-ძეს და ბრიტანელ მოქალაქეებს, ცოლ-ქმარს -ჰ. ბ-ნს და დ. გ-კას. გ. ი-ნმა და ზ. ფ-ნმა იარაღის გამოყენების მუქარით რ. ე-ძეს გასტაცეს "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 150 ლარად, "ზლატოუსტის" ფირმის სანადირო დანა, ღირებული 100 აშშ დოლარად და "ზენიტის" ფირმის ფოტოაპარატი, ღირებული 100 ლარად, სულ -250 ლარისა და 100 აშშ დოლარის საერთო ღირებულების ნივთები. გ. ლ-ძეს გასტაცეს "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 350 ლარად და 30 ლარი; რ. ა-ძეს გასტაცეს "ენგიჯის" ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 700 ლარად; გ. ჩ-ძეს -საფანტის რევოლვერი, ღირებული 450 აშშ დოლარად, "რიტას" ფირმის სანადირო დანა, ღირებული 200 აშშ დოლარად, "ლიზერმენის" ფირმის ინსტრუმენტებიანი დანა, ღირებული 150 აშშ დოლარად, "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 500 აშშ დოლარად, თავზე დასამაგრებელი ფარანი, ღირებული 50 ლარად, სულ -1300 აშშ დოლარისა და 60 ლარის საერთო ღირებულების ნივთები; დ. გ-კას გასტაცეს 240 აშშ დოლარი, 350 ლარი, 2000 რუსული რუბლი, 20 ფუნტი სტერლინგი, "ნიკონის" ფირმის ბინოკლი, ღირებული 250 აშშ დოლარად, "მინოლეტა ვივა-ზუმ 28-90" ფირმის მაჯის საათი, ღირებული 40 აშშ დოლარად, ზურგჩანთა, ღირებული 80 აშშ დოლარად, "ფორსტრეიდის" ფირმის პირველადი დახმარების ზურგჩანთა, ღირებული 150 აშშ დოლარად, სულ -1160 აშშ დოლარის ღირებულების ნივთები, ასევე 350 ლარი, 2000 რუსული რუბლი და 20 ფუნტი სტერლინგი, ხოლო მის მეუღლეს -ჰ. ბ-ნს კი გასტაცეს საქორწინო ბეჭედი, ღირებული 300 აშშ დოლარად, ბეჭედი, ღირებული 200 აშშ დოლარად, "ბარკლის" ფირმის ბინოკლი, ღირებული 60 აშშ დოლარად, ფოტოკამერა, ღირებული 100 აშშ დოლარად, "კოდაკის" ფირმის ერთჯერადი ფოტოაპარატი, ღირებული 5 აშშ დოლარად, "სიმენსის" ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 200 ლარად და 20 აშშ დოლარი, სულ -785 აშშ დოლარისა და 200 ლარის საერთო ღირებულების ნივთები. თავდამსხმელებმა გატაცებული ნივთები ჩაალაგეს დ. გ-კას კუთვნილ ზურგჩანთაში, შესხდნენ ე-ძისა და ჩ-ძის კუთვნილ ცხენებზე და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. წასვლამდე ისინი ტურისტული ჯგუფის წევრებს დაემუქრნენ, რომ ნახევარი საათის განმავლობაში ფეხი არ მოეცვალოთ ადგილიდან, შემდეგ კი მოენახათ თავიანთი ცხენები, რომლებსაც დატოვებდნენ მდინარის პირას. მოგვიანებით მათ მართლაც ნახეს ცხენები თავდამსხმელების ნიღბებთან ერთად.

სახელმწიფო ბრალმდებელმა სასამართლო სხდომაზე გ. ი-ნს მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, ყაჩაღობა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, რის საფუძვლადაც მიუთითა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება 10000 ლარის ზევით. განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს კი გატაცებული ნივთებისა და თანხის საერთო რაოდენობა შეადგენს 1740 ლარს, 3245 აშშ დოლარს, 2000 რუსულ რუბლსა და 20 ფუნტ სტერლინგს, რაც არ შეადგენს 10000 ლარს.

2007 წლის 6 ივნისს გ. ი-ნი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ქ. არასრულწლოვნებს -ზ. გ-ანსა და ლ. ჩ-იანს, ასევე ზ. გ-იანს, რომლებმაც განიზრახეს ყაჩაღურად, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით შეიარაღებულები თავს დასხმოდნენ გ. ბ-შვილის ოჯახს და გაეტაცათ ფული, ძვირფასეულობა, მობილური ტელეფონები და ოჯახის კუთვნილი სხვა პირადი ნივთები.

თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გ. ი-ნი 2007 წლის 6 ივნისს შეიარაღდა პისტოლეტის სისტემის იარაღით, ზ. გ-იანი -რევოლვერის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო ლ. ჩ-იანი -ცივი იარაღით -დანით. ოთხივემ სახეზე აიფარა ნიღბები, რის შემდეგ იმავე დღეს, დაახლოებით 22 საათზე, მივიდნენ გ. ბ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს ამ უკანასკნელის ბინაში, შევიდნენ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე და იქ მყოფ გ. ბ-შვილს, ი. ტ-ძეს, ლ. ბ-შვილს, ე. და თ. ბ-შვილებს ყაჩაღურად დაესხნენ თავს. ხელ-ფეხი და პირი შეუკრეს "სკოჩით", ამასთან, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით წაართვეს ფული და სხვა ძვირფასი სამკაულები, "ვინჩესტერის" სისტემის თოფი, უცხოური წარმოების "რესივერი" და "დივიდი ფლეერი", ხუთი მობილური ტელეფონი, ყულაბაში არსებული ფულადი თანხა და სხვა ნივთები, რომელთა ღირებულებამ მთლიანად შეადგინა 7540 ლარი. ასევე ყაჩაღური გზით გაიტაცეს 3430

აშშ დოლარი და 250 ევრო. ამის შემდეგ გ. ი-ნი, ლ. ჩ-იანი და ზ. გ-იანი გავიდნენ საცხოვრებელი სახლიდან. აღნიშნულმა პირებმა პარკის გავლით მოახერხეს მიმალვა, ხოლო შემთხვევის ადგილზე დარჩა შეიარაღებული და სახეზე ნიღაბფარებული ზ. გ-იანი, რომელმაც ასევე დაახლოებით 15 წუთის შემდეგ დატოვა შემთხვევის ადგილი და სხვა თანამზრახველებთან ერთად მიმალა. დანაშაულებრივი გზით დაუფლებული ფული და სხვა ნივთები თავდამსხმელებმა ერთმანეთში გაინაწილეს და გადამალეს, რომელთა ნაწილი ამოღებულ იქნა გამოძიების მიერ.

2007 წლის 7 ივნისს, 12 საათსა და 5 წუთზე, დაზარალებულ გ. ბ-შვილისაგან ამოიღეს "გოლდ სტარ-2002" მოდელის პისტოლეტი, რომელიც იმავე დღეს, დილის საათებში, დაზარალებულის სახლში მიიტანეს არასრულწლოვანმა პირებმა -ა. ხ-მემ და ე. გ-იანმა. მათ პისტოლეტი იპოვეს პარკში, სადაც იგი დატოვეს ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე გ. ი-ნმა, ლ. ჩ-იანმა და ზ. გ-იანმა.

ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, #23401 პისტოლეტი არის ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ კალიბრის, თავდაცვითი დანიშნულების პისტოლეტის მოდელი "გოლდ სტარ-2002". ვინაიდან მას არ გააჩნია ტიხარ-მზლუდავი, პისტოლეტს დაკარგული აქვს თავდაცვითი დანიშნულების ფუნქცია, მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

2007 წლის 23 ოქტომბერს ზ. გ-იანის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს დაზარალებულ გ. ბ-შვილის კუთვნილი KBBK-ს მარკის დივიდი ფლეერი.

2007 წლის 23 ოქტომბერს ზ. გ-იანის მამიდის -ნ. გ-იანის საცხოვრებელი სახლისა და მისი დამხმარე სათავსების ჩხრეკის შედეგად ამოიღეს დაზარალებულ გ. ბ-შვილის კუთვნილი #LL 2930145 "ვინჩესტერის" სისტემის სანადირო თოფი და შვიდი ვაზნა, თავისი შალითით, რომლებიც გადამალული ჰქონდა ზ. გ-იანს.

სახელმწიფო ბრალმდებელმა სასამართლო სხდომაზე გ. ი-ნის მიმართ ზემოთ აღნიშნულ კვალიფიკაციაში შეიტანა დაზუსტება, კერძოდ: გ. ი-ნის მიერ ჩადენილი ორივე დანაშაული -2004 წლის 11 აგვისტოს განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმა და 2007 წლის 6 ივნისს გ. ბ-შვილის ოჯახზე ყაჩაღობა დააკვალიფიცირა, როგორც არაერთგზის ჩადენილი დანაშაული. გამომდინარე იქიდან, რომ 2007 წლის 4 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში შესულმა ცვლილებამ დაამძიმა განსასჯელის მდგომარეობა, ჩათვალა, რომ უნდა გამოყენებულიყო დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი და გ. ი-ნს მთლიანობაში ბრალად შერაცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტები და 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები.

ზ. გ-იანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან შეიძინა "ნაგანის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 91 ცალი 1908 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრის, 376 ცალი 1974 წლის ნიმუშის 5,45 მმ კალიბრიანი ვაზნები, რომლებსაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2007 წლის 6 ივნისს ზ. გ-იანმა გ. ი-ნთან და არასრულწლოვან პირებთან -ლ. ჩ-იანთან და ზ. გ-იანთან ერთად ჩაიდინა გ. ბ-შვილის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა (დეტალურად გადმოცემულია გ. ი-ნის მიმართ წარდგენილი ბრალდების აღწერილობით ნაწილში).

ზ. ფ-ნი, რომელიც ხშირად ჩადიოდა დასთან -ზ. ფ-ნთან და იცნობდა მოსახლეობას, მათ შორის, ზ. გ-იანს, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ამ უკანასკნელს. ზ. ფ-ნმა და ზ. გ-იანმა იცოდნენ, რომ რაიონის ტერიტორიის გავლით ყოველდღიურად მოძრაობდა სამარშრუტო მიკროავტობუსი. მათ განიზრახეს მიკროავტობუსის მძღოლსა და მგზავრებზე ყაჩაღური თავდასხმა. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2007 წლის 8 სექტემბერს, დაახლოებით 14 საათზე, ზ. გ-იანი და ზ. ფ-ნი მინდვრების გავლით ცხენებით წავიდნენ მიმართულებით. ზ. გ-იანი ყაჩაღური თავდასხმის განსახორციელებლად შეიარაღდა სანადირო თოფით, ე.წ. "ვინჩესტერით" და რევოლვერით, რომელიც გადასცა ზ. ფ-ნს. გზაშივე მათ დაამზადეს ზ. გ-იანის სახლიდან სპეციალურად წამოღებული შავი ფერის სვიტრის სახელოებიდან ნიღბები, ცხენები დამალეს ტყეში და ორივე მათგანი, შეიარაღებულები, ნიღბებით, დაიმალნენ ტყეში და დაელოდნენ მიკროავტობუსის გამოვლას. დაახლოებით 16 საათზე მათ იარაღის მუქარით გააჩერეს მიმართულებით მოძრავი სამგზავრო მიკროავტობუსი, რომელსაც მართავდა მძღოლი რ. ქ-შვილი და რომლითაც მგზავრობდა 13 მგზავრი. მათ იარაღის მუქარით აიძულეს მძღოლი და მგზავრები ჩამოსულიყვნენ მიკროავტობუსიდან. ზ. გ-იანმა და ზ. ფ-ნმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მძღოლ რ. ქ-შვილს გასტაცეს 300 ლარი და მობილური ტელეფონი "ნოკია", ღირებული 100 ლარად; მგზავრ ნ. ხ-იმეს გასტაცეს 110 ლარი; მგზავრ ე. დვას გასტაცეს 30 ევრო, 10 ლარი, ოქროს ბეჭედი, ღირებული 200 ლარად და ბრილიანტის საყურე, ღირებული 950 ლარად; მგზავრ ს. ა-იანს გასტაცეს ვერცხლის ორი ჯაჭვი, ერთი ღირებული 15 ლარად, მეორე -10 ლარად, მაჯის საათი, ღირებული 25 ლარად და 28 ლარი;

მგზავრ მ. ო-ვს გასტაცეს მობილური ტელეფონი "სამსუნგი", ღირებული 200 ლარად, 10 ლარი და სპორტული ჩანთა, ღირებული 10 ლარად; მგზავრ ა. ტ-ვს გასტაცეს 100 ლარი და მობილური ტელეფონი "ნოკია", ღირებული 150 ლარად; მგზავრ ე. მ-ვს გასტაცეს 20 ლარი და მობილური ტელეფონი "სამსუნგი", ჩართული "მაგთიკომის" ქსელში ღირებული 70 ლარად; მგზავრ ქ. პ-შვილსა და მის მეუღლეს -დ. ნ-ვს გასტაცეს 174 ლარი და მობილური ტელეფონი "ალკატელი", ღირებული 130 ლარად; მგზავრ ს. ა-ევს გასტაცეს 30 ლარი; მგზავრ თ. ზ-ვს გასტაცეს 30 ლარი და პირადი ნივთები, 30 ლარის საერთო ღირებულებით; მგზავრ ა. ა-იანს წაართვეს ყავისფერი ტყავის საფულე და 7 ლარი. მათ დანით დაჭრეს მიკროავტობუსის წინა ორი საბურავი, მძღოლსა და მგზავრებს უბრძანეს, ასულიყვნენ მიკროავტობუსში, მიებრუნებინათ და წასულიყვნენ ისევ მიმართულებით, რის შემდეგ წართმეული ნივთები ჩაყარეს მ. ო-ვის სპორტულ ჩანთაში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გამოძიების პროცესში ამოიღეს რ. ქ-შვილისა და მ. ო-ვისაგან გატაცებული მობილური ტელეფონები, რომლებსაც ზ. ფ-ნმა გაუკეთა რეალიზაცია, ხოლო ზ. გ-იანის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას კი ამოიღეს ე. მ-ვის, ა. ტ-ვისა და ქ. პ-შვილისაგან გატაცებული მობილური ტელეფონები.

ზ. გ-იანის ზემოხსენებული ქმედება წინასწარი გამოძიების დროს დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით. სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალმძებელმა ზ. გ-იანს ბრალდებიდან ამოურიცხა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობა, ე.ი. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება, ვინაიდან სამგზავრო მიკროავტობუსზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს მძღოლისა და მგზავრებისგან გატაცებულმა ნივთებმა და თანხამ სულ შეადგინა 2709 ლარი და 30 თეთრი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. გ-იანის ქმედება კონკრეტულ ეპიზოდში ბრალდების მხარემ საბოლოოდ დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით.

ზ. გ-იანი 2007 წლის 16 ოქტომბერს დანაშაულებრივად დაუკავშირდა არასრულწლოვან დ. ფ-იანს. მათ განიზრახეს ყაჩაღურად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ცივი იარაღებით შეიარაღებულები, თავს დასხმოდნენ ლ. რ-შვილის ოჯახს და გაეტაცათ ფული, ძვირფასეულობა, მობილური ტელეფონები და სხვა პირადი ნივთები. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ზ. გ-იანი და დ. ფ-იანი 2007 წლის 16 ოქტომბერს შეიარაღდნენ ცივი იარაღით -დანით. სახეზე ორივემ აიფარა ნიღაბი, რის შემდეგ იმავე დღეს, დაახლოებით 23 საათზე, მივიდნენ ლ. რ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს მის ბინაში, შევიდნენ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე და იქ მყოფ ლ. რ-შვილსა და თ. რ-შვილს ყაჩაღურად დაესხნენ თავს, ხელფეხი და პირი შეუკრეს ე.წ. "სკოჩით", ამასთან, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით გასტაცეს ბანკის ვიზაბარათი, რისი საშუალებითაც იმავე ღამეს ბანკომატიდან აიღეს ფული 150 ლარისა და 100 აშშ დოლარის ოდენობით. ასევე ბინიდან ყაჩაღურად გაიტაცეს ძვირფასი სამკაულები, "პოლაროიდის" ფირმის ფოტოაპარატი, მობილური ტელეფონები, შაქრის საზომი აპარატი, ტანსაცმელი, სამზარეულოდან -სასადილო ჭურჭელი, ხოლო ლ. რ-შვილის კუთვნილი ავტომანქანიდან დაეუფლნენ უცხოურ მაგნიტოფონს და ოჯახის კუთვნილ სხვა ნივთებს, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 4000 ლარი. ასევე ზ. გ-იანმა გაიტაცა რ. რ-შვილის პირადობის მოწმობა, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და მძღოლის მართვის მოწმობა. ამის შემდეგ ზ. გ-იანი და დ. ფ-იანი გავიდნენ საცხოვრებელი სახლიდან და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2007 წლის 23 ოქტომბერს თეთრიწყაროს რაიონში მდებარე ზ. გ-იანის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს დაზარალებულ ლ. რ-შვილის კუთვნილი "პოლაროიდის" ფირმის ფოტოაპარატი, შაქრის საზომი აპარატი, ავტომანქანის მაგნიტოფონი, სამი წყვილი კედი და სამკაულები.

2007 წლის 23 ოქტომბერს ზ. გ-იანის მამიდის -ნ. გ-იანის საცხოვრებელი სახლისა და მისი დამხმარე სათავსების ჩხრეკის შედეგად ამოიღეს დაზარალებულ ლ. რ-შვილის ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს გამოყენებული ცივი იარაღები -დანები, რომლებიც გადამალული ჰქონდა ზ. გ-იანს.

სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალდებამ ზ. გ-იანს ბრალდებიდან ამოურიცხა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, იმ საფუძველით, რომ ლ. და თ. რ-შვილებზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს გატაცებული ნივთებისა და თანხის საერთო რაოდენობა შეადგენს 4000 ლარს და ამ კონკრეტულ ეპიზოდში ზ. გ-იანის ქმედება დაკვა-

ლიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

ზ. ფ-ნმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა, 9 მმ კალიბრის პისტოლეტი "ვალტრო", 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტი "გოლდ სტარ-2002", 38 მმ კალიბრის "ბროკოვა სტრელას" მოდელის რევოლვერი, 9 მმ კალიბრიანი 3 ცალი ვაზნა და 38 კალიბრის რევოლვერის სამი ვაზნა, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა. 2007 წლის 4 ოქტომბერს ზ. ფ-ნმა და გ. ი-ნმა აღნიშნული იარაღი, საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩააწყვეს ღია ლურჯი ფერის ხელჩანთაში. ატარებდნენ რა მართლსაწინააღმდეგოდ ზემოაღნიშნულ ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალასა და ასაფეთქებელ მოწყობილობას, უკანონოდ გადაზიდეს ქ. თბილისში, რა დროსაც დააკავეს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავების ადგილზე, პირადი ჩხრეკისას, გ. ი-ნს თანაქონ ხელჩანთაში აღმოაჩნდა ხსენებული იარაღი.

ზ. ფ-ნი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. ი-ნს და შესთავაზა თეთრიწყაროს რაიონში მდებარე სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე დაბანაკებულ ტურისტთა ჯგუფზე ყაჩაღური თავდასხმა. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2004 წლის 11 აგვისტოს, დაახლოებით 11 საათზე, ისინი შეიარაღდნენ ერთლულიანი და ორლულიანი სანადირო თოფებით, ნიღბებით და ყაჩაღურად თავს დაესხნენ რ. ე-ძეს, გ. ლ-ძეს, რ. ა-ძეს, გ. ჩ-ძეს და ბრიტანელ მოქალაქეებს - ცოლ-ქმარს - ზ. ბ-სა და დ. გ-კას. გ. ი-ნმა და ზ. ფ-ნმა იარაღის გამოყენების მუქარით აღნიშნულ პირებს გასტაცეს სხვადასხვა ნივთი (დეტალურად იხილეთ გ. ი-ანის მიმართ შერაცხული ბრალდების აღწერილობით ნაწილში).

სახელმწიფო ბრალმდებელმა სასამართლო სხდომაზე ზ. ფ-ნს მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, ყაჩაღობა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, რის საფუძველზეც მიუთითა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება 10000 ლარის ზევით. ტერიტორიაზე დაბანაკებულ პირებზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს კი გატაცებული ნივთებისა და თანხის საერთო რაოდენობამ შეადგინა 1740 ლარი, 3245 აშშ დოლარი, 2000 რუსული რუბლი და 20 ფუნტი სტერლინგი, რაც არ შეადგენს 10000 ლარს.

ზ. ფ-ნმა 2007 წლის 8 სექტემბერს, დაახლოებით 16 საათზე, ზ. გ-იანთან ერთად სამგზავრო მიკროავტობუსზე ჩაიძინა ყაჩაღობა, რომლის მგზავრებსაც იარაღის მუქარითა და ძალადობის გამოყენებით გასტაცეს სხვადასხვა ნივთი და ფული.

ზ. ფ-ნის ზემოთ ხსენებული ქმედება წინასწარი გამოძიების დროს დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით. სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელმა ზ. ფ-ნს ბრალდებიდან ამოურიცხა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობა, ე.ი. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება, ვინაიდან სამგზავრო მიკროავტობუსზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს მძღოლისა და მგზავრებისაგან გატაცებულმა ნივთებმა და თანხამ სულ შეადგინა 2709 ლარი და 30 ევრო.

არასრულწლოვანი დ. ფ-იანი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, შეეცვალა 4 წლის პირობით გამოსაცდელი ვადით და მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა - 2000 ლარი. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიძინა განზრახვი დანაშაული, კერძოდ:

დ. ფ-იანი 2007 წლის 16 ოქტომბერს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ზ. გ-იანს. მათ განზრახეს ყაჩაღურად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ცივი იარაღებით შეიარაღებულები, თავს დასხმოდნენ ლ. რ-შვილის ოჯახს და გაეტაცათ ფული, ძვირფასეულობა, მობილური ტელეფონები და ოჯახის კუთვნილი სხვა პირადი ნივთები.

დ. ფ-იანი და ზ. გ-იანი 2007 წლის 16 ოქტომბერს შეიარაღდნენ ცივი იარაღით - დანით. სახეზე ორივემ აიფარა ნიღაბი, რის შემდეგ იმავე დღეს, დაახლოებით 23 საათზე, მივიდნენ ქ. ბოლნისში, მცხოვრებ ლ. რ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს მის ბინაში, შევიდნენ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე და იქ მყოფ ლ. რ-შვილსა და თ. რ-შვილს ყაჩაღურად დაესხნენ თავს (დეტალურად იხილეთ ზ. გ-იანის მიმართ შერაცხული ბრალდების აღწერილობით ნაწილში).

2007 წლის 23 ოქტომბერს დ. ფ-იანის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა დაზარალებულ ლ. რ-შვილის კუთვნილი ნივთები და სამკაულები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ გადამალა დ. ფ-იანმა.

2007 წლის 24 ოქტომბერს დ. ფ-იანის ბიძის -მ. გ-ნის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ამოიღეს სხვადასხვა ნივთი, მათ შორის, ლ. რ-შვილის საცხოვრებელი სახლიდან გატაცებული ქურთუკი, ე.წ. "პილოტკა". აღნიშნული ნივთების ნაწილი ზემოხსენებულ საცხოვრებელ სახლში მიიტანა და გადამალა დ. ფ-იანმა.

სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალდებად დ. ფ-იანს ბრალდებიდან ამოურიცხა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, იმ საფუძველით, რომ ლ. და თ. რ-შვილებზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს გატაცებული ნივთებისა და თანხის საერთო რაოდენობა შეადგენს 4000 ლარს და ამ კონკრეტულ ეპიზოდში დ. ფ-იანის ქმედება პროკურორმა დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 იანვრის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

გ. ი-ნს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდებები და ბრალდების ამ ნაწილებში გამართლდა.

გ. ი-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით -5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტებით -11 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ გ. ი-ნს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა -9000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 ოქტომბრიდან.

ზ. გ-იანს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდებები და ბრალდების ამ ნაწილებში გამართლდა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ზ. გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა 2000 ლარი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით -10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ზ. გ-იანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 30 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი. აღნიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით შეუმცირდა 30 წლამდე და საბოლოოდ ზ. გ-იანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 30 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 22 ოქტომბრიდან.

ზ. ფ-ნს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებები და ბრალდების ამ ნაწილებში გამართლდა.

ზ. ფ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით -5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-

ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი ჯარიმა -4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ზ. ფ-ნს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 22 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა -12 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდის საერთო ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში გატარებული დრო 2007 წლის 4 ოქტომბრიდან -2007 წლის 26 ოქტომბრამდე და სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 23 ოქტომბრიდან.

დ. ფ-იანს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის I ნაწილით წარდგენილი ბრალდებები და ბრალდების ამ ნაწილებში გამართლდა.

დ. ფ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და და მიესაჯა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით, ე.ი. 2 წლის, 7 თვისა და 15 დღის ვადით და მოსახდელად განესაზღვრა 7 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის გამოსაცდელი ვადით და იგი შეიცვალა 4 წლით თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენთა ერთობილობით, ზემოაღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ დ. ფ-იანს სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით, 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

დაკმაყოფილდა გ. ბ-შვილის, ი. ტ-ძის, ლ. ბ-შვილის, თ. ბ-შვილისა და ე. ბ-შვილის სამოქალაქო სარჩელები.

მსჯავრდებულებს -გ. ი-ნსა და ზ. გ-იანს სოლიდარულად დაეკისრათ გ. ბ-შვილის სასარგებლოდ -3430 აშშ დოლარის, 250 ევროსა და 430 ლარის გადახდა, ი. ტ-ძის სასარგებლოდ - 3505 ლარის გადახდა, ლ. ბ-შვილის სასარგებლოდ -1710 ლარის გადახდა, თ. ბ-შვილის სასარგებლოდ -850 ლარის გადახდა და ე. ბ-შვილის სასარგებლოდ -1045 ლარის გადახდა.

დაზარალებულების -რ. ქ-შვილის, სეიფადან გ-ის, ს. ა-ვის, ე. მ-ვის, ა. ტ-ვის, ა. ა-იანის მოთხოვნები დარჩა ღიად სამოქალაქო სარჩელების წარმოუდგენლობის გამო.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი:

„GOLDEN შთად-2002“ მოდელის, 9 მმ კალიბრის, შავი პლასტმასის ტარიანი #58368 პისტოლეტი წარწერით „Vალტრო D-04664“, ერთი მჭიდი, 6 ვაზნა, სამხედრო დანა ე.წ. „შტიკონოჟი“, 330 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა კოროზიულ მდგომარეობაში, 91 კარაბინის ტყვია, 10 მასრა, 2 სანადირო დანა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას;

„HOLEK-ის მოდელის“ ცეცხლსასროლი იარაღი 820, წარწერით „Bროკოვა შტრელა“, რომელშიც მოთავსებულია ორი ვაზნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესანახად უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას შესანახად. დაზარალებულის უფლებამონაცვლეს ტ. ჩ-ძეს კი დარჩეს უფლება მისი შვილის -გ. ჩ-ძის კუთვნილ იარაღთან დაკავშირებით იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით;

სანადირო თოფი „Vინცესტერ Mოდელ 1300 დეფენდერ 12 GA“ და მისი 7 ვაზნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესანახად უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებას. დაზარალებულ გ. ბ-შვილს კი დარჩეს უფლება, ადრე მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ზემოაღნიშნულ იარაღთან დაკავშირებით იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით;

„ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი და დამტენი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ა. ტ-ოვს;

„სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი და დამტენი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ე. მ-ოვს.

„ალკატელის“ ფირმის მობილური ტელეფონი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ქ. პ-შვილს;

კომპაქტდისკზე მოთავსებული ჩანაწერი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა შეინახოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად სისხლის სამართლის შენახვის ვადით;

წითელი ფერის ქურთუკი და შავი ფერის ჟაკეტი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ზ. ფ-ნსა და გ. ი-ნს.

ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესადგენად წარდგენილი ზ. ფ-ნისა და გ. ი-ნის ტანსაცმელი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ზ. ფ-ნსა და გ. ი-ნს;

გ. ი-ნის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ჩანთა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს გ. ი-ნს;

გ. ი-ნის პირადი ჩხრეკისას მის ხელთარსებული ჩანთიდან ამოღებული შარვლის ტოტის გადა-ნაჭერი და შავი ფერის ქსოვილი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განდგურდეს.

მ. გ-ნის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონის - "სამსუნგის" ორი ყუთი და ერთი წყვილი ხელთათმანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მ. გ-ანს;

ზ. გ-იანის სახლიდან ამოღებული ჯინსის შარვალი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ზ. გ-იანს;

ზ. ფ-ნის ჟაკეტიდან ამოღებული თმები, გ. ი-ის ნერწყვისა და თმის ნიმუშები, ზ. ფ-ნის ნერწყვისა და თმის ნიმუშები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს;

დ. ფ-ნის სახლიდან ამოღებული შავი ფერის ერთი ტყავის საფულე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ რ. ქ-შვილს, ხოლო ყავისფერი საფულე - დაზარალებულ ა. ა-იანს.

მსჯავრდებული ზ. გ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენების საფუძველზე შეკრებითი სასჯელის მოხდას იმ მოტივით, რომ დაავადებულია ტუბერკულოზით და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება.

მსჯავრდებული დ. ფ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ იგი გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; დანაშაულის ჩადენის დროს იყო არასრულწლოვანი; ჰყავს მოხუცებული, ავადმყოფი მშობლები და არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

მსჯავრდებული გ. ი-ანი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. მ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ გ. ი-ანის უდანაშაულოდ ცნობას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სისხლის სამართლის საქმეში მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით აშკარად და ნათლად დასტურდება მსჯავრდებულ გ. ი-ანის უდანაშაულობა; სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და გ. ი-ანი უკანონოდ ცნო დამნაშავედ; არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, მისი ოჯახი მიეკუთვნება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახთა კატეგორიას და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მისთვის 9000 ლარის დაკისრება არ შეიძლებოდა, მით უფრო, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება არ დასტურდება უტყუარი მტკიცებულებებით და არის უდანაშაულო.

მსჯავრდებული ზ. ფ-ანი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ბ-უანი საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 იანვრის განაჩენის გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ წინასწარ გამოძიებაში არ დაიკითხნენ ის პირები, რომელთა ჩვენებებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; შეგნებულად არ გამოითხოვეს დოკუმენტები, რომელთა გარეშეც განაჩენი აშკარად დაუსაბუთებელია; გასაჩივრებულ განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ და სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; სასამართლოს განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების -გ. ი-ანის, ზ. ფ-ანის, და. ფ-იანისა და ზ. გ-იანის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომ-

ლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. მსჯავრდებულების -გ. ი-ანის, ზ. ფ-ანის, დ. ფ-იანისა და ზ. გ-იანის ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებით, საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მსჯავრდებულების -გ. ი-ანის, ზ. ფ-ანის, დ. ფ-იანისა და ზ. გ-იანის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდებები. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები და არ არსებობს საფუძველი მათი შეცვლისათვის.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულების -გ. ი-ანის, ზ. ფ-ანის, დ. ფ-იანისა და ზ. გ-იანის მიმართ დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი განსაზღვრულია მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულების პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს საფუძველი მათი შეცვლისათვის.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა მსჯავრდებულების -გ. ი-ანისა და ზ. გ-იანის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობა, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ გ. ი-ანისა და ზ. გ-იანისთვის სოლიდარულად დაეკისრებინათ გ. ბ-შვილის სასარგებლოდ -3430 აშშ დოლარის, 250 ევროსა და 430 ლარის გადახდა, ი. ტ-ძის სასარგებლოდ -3505 ლარის გადახდა, ლ. ბ-შვილის სასარგებლოდ -1710 ლარის გადახდა, თ. ბ-შვილის სასარგებლოდ -850 ლარის, ხოლო ე. ბ-შვილის სასარგებლოდ -1045 ლარის გადახდა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება გ. ი-ანისა და ზ. გ-იანის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება დაზარალებულების -გ. ბ-შვილის, ი. ტ-ძის, ლ. ბ-შვილის, თ. ბ-შვილისა და ე. ბ-შვილის სასარგებლოდ მსჯავრდებულების -გ. ი-ანისა და ზ. გ-იანის მიერ სოლიდარულად ზემოაღნიშნული თანხის გადახდევინების შესახებ.

ამასთან, დაზარალებულებს -გ. ბ-შვილს, ი. ტ-ძეს, ლ. ბ-შვილს, თ. ბ-შვილსა და ე. ბ-შვილს აქვთ უფლება, იდავონ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების -ზ. გ-იანის, დ. ფ-იანის, მსჯავრდებულ გ. ი-ანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-იანის, მსჯავრდებულ ზ. ფ-ანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ანის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულების -გ. ი-ანისა და ზ. გ-იანის მიერ სოლიდარულად დაზარალებულ გ. ბ-შვილის სასარგებლოდ -3430 აშშ დოლარის, 250 ევროსა და 430 ლარის, ი. ტ-ძის სასარგებლოდ -3505 ლარის, ლ. ბ-შვილის სასარგებლოდ -1710 ლარის, თ. ბ-შვილის სასარგებლოდ -850 ლარის, ხოლო ე. ბ-შვილის სასარგებლოდ -1045 ლარის გადახდის თაობაზე.

დაზარალებულებს -გ. ბ-შვილს, ი. ტ-ძეს, ლ. ბ-შვილს, თ. ბ-შვილსა და ე. ბ-შვილს განემარტოთ, რომ მათ უფლება აქვთ, იდავონ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო მოსაპუხედ საქმეში ჩაბმა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის განაჩენით კ. ხ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. მასვე დაზარალებულის უფლებამონაცვლის -ნ. ჩ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა 2 000 ლარის გადახდა. განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგისათვის:

2008 წლის 2 ივნისს, დაახლოებით 23.00 საათზე, კ. ხ-ია, საცოლესთან -ხ. ო-რთან ერთად სეირნობდა თბილისში, რა დროსაც დაინახეს, რომ აღნიშნულ გამზირის # ...-ის შესასვლელ კართან, კიბეზე ჩამომჯდარი იყო კ. ხ-ის ნაცნობი -ნ. ჩ-ოვი, რომელიც იყო მთვრალი. კ. ხ-იამ მას შესთავაზა დახმარება, რის საპასუხოდაც ნ. ჩ-ოვმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, დედა შეაგინა. აღნიშნულით განაწყენებულმა კ. ხ-იამ განიზრახა ნ. ჩ-ოვისათვის მიეყენებინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ხ-იამ ნ. ჩ-ოვს რამდენჯერმე დაარტყა ხელი სახის არეში, რის გამოც ეს უკანასკნელი ძირს დაეცა, მაგრამ კ. ხ-იამ კვლავ გააგრძელა წაქეცილი ნ. ჩ-ოვის ცემა ხელებისა და ფეხების მეშვეობით სხეულის სხვადასხვა ნაწილში, რითაც მას განზრახ მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რის შემდეგაც იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების გამო, ნ. ჩ-ოვი გადაიყვანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც, მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, 2008 წლის 4 ივნისს იგი გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ხ-იამ. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანასა და მისთვის სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ იგი აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ ქმედებას, ჰყავს 81 წლის დედა და ფეხმძიმე მეუღლე, რომელთაც მის გარდა სხვა მარჩენალი არ ჰყავთ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ კ. ხ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა კ. ხ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მისთვის სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. ხ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ კ. ხ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულის არ უარყოფს. რაც შეეხება კ. ხ-ის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, რომელსაც ასაჩივრებს კასატორი, უნდა აღინიშნოს, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, ასევე, მისი ჩამდენის პიროვნების გათვალისწინებით, იგი არის სამართლიანი, რომელიც წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ამჟამად მოქმედი კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმს და რომლის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ყველა ის შემამსუბუქებელი გარემოება, რაზეც მითითებულია საკასაციო საჩივარში. ვინაიდან არ არსებობს აღნიშნული სასჯელის ზომის შეცვლის კანონიერი საფუძველი, გასაჩივრებული განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა მსჯავრდებულ კ. ხ-ის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობა, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულ კ. ხ-ისათვის დაეკისრებინათ დაზარალებულის უფლებამონაცვლის -ნ. ჩ-ოვას სასარგებლოდ 2 000 ლარის გა-

დახდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება კ. ხ-ის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ კ. ხ-იაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლის -ნ. ჩ-ოვასათვის გადასახდელად 2 000 ლარის დაკისრების თაობაზე. ამასთან, ნ. ჩ-ოვას უნდა დარჩეს უფლება, აღნიშნულ თანხაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ კ. ხ-ისათვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის -ნ. ჩ-ოვას სასარგებლოდ 2 000 ლარის დაკისრების შესახებ, ხოლო ნ. ჩ-ოვას დარჩეს უფლება, აღნიშნულ თანხაზე იდავოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ კ. ხ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად გადაცემა სამოქალაქო სამართლისწარმოების წესით

განჩინება

#454-აპ

12 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეთევილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. გ-ვის, ასევე -მსჯავრდებულ ვ. ყ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. კ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 მაისის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. შ. გ-ვი -საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა დიდი ოდენობით ნივთის ქურდობა; ასევე -ყაჩაღობა არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება და მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტების გატაცება;

2. ვ. ყ-შვილი -საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა დიდი ოდენობით ნივთის ქურდობა; ასევე -ყაჩაღობა არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ჯგუფურად;

3. რ. ი-ვი -საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმე-

ბით ჯგუფის მიერ; ასევე –ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით;

4. ნ. ა-ვი –საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა ყაჩაღობა, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით;

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ რ. კ-ძეს შორის, რომლის მიხედვით, რ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, რ. კ-ძემ თავისუფლების აღკვეთის სახით უნდა მოიხადოს 3 წელი და 6 თვე, ხოლო დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალია პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

შ. გ-ვის, ვ. ყ-შვილის, რ. ი-ვის, ნ. ა-ვისა და რ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ვ. ყ-შვილი, რ. კ-ძე, შ. გ-ვი და რ. ი-ვი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს ნ. ო-შვილის კუთვნილი ავტომანქანა „ბმვ-528-ის“ ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის სექტემბერში რ. კ-ძე დაუკავშირდა ნ. ო-შვილს, რომელიც ჰყიდა ზემოაღნიშნულ მანქანას. იგი ამ უკანასკნელს გაეცნო მ. მ-ძის სახელით და უთხრა, რომ სურდა მისი ავტომანქანის შეძენა. ნ. ო-შვილის შეცდომაში შესაყვანად ავტომანქანა მასთან ერთად წაიყვანა „ბმვ-ს“ ცენტრში, ვითომდა ტექნიკური მდგომარეობის შესამოწმებლად. რ. კ-ძემ ნ. ო-შვილისაგან ფარულად დაამზადა ავტომანქანის გასაღების ასლი და მანქანის პატრონს შეუთანხმდა ფასზე –13 200 აშშ დოლარზე. რამდენიმე დღის შემდეგ, 2006 წლის 16 სექტემბერს, რ. კ-ძე კვლავ დაუკავშირდა ნ. ო-შვილს და ბეს სახით გადასცა 500 აშშ დოლარი; ფულის გადაცემა მოხდა თბილისში. დარჩენილი თანხის გადაცემამდე მანქანა გააჩერეს თბილისში, ავტოსადგომზე. 2006 წლის 17 სექტემბერს, ღამის საათებში, როდესაც ავტოსადგომის დარაჯი შეიკვალა, რ. კ-ძე, შ. გ-ვი, რ. ი-ვი და ვ. ყ-შვილი მივიდნენ ავტოსადგომზე, რ. კ-ძემ წინასწარ მორგებული გასაღებით გააღო მანქანა, დარაჯს უთხრა, რომ ავტომანქანა უკვე შეიძინა და ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თანამზრახველებთან ერთად გაიტაცა ნ. ო-შვილის კუთვნილი, 17500 ლარად ღირებული ავტომანქანა „ბმვ-528“, რის შემდეგაც ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2006 წლის 30 სექტემბერს რ. კ-ძეს დაუკავშირდნენ გარდაბნის რაიონის მცხოვრებნი შ. გ-ვი და რ. ი-ვი, რომლებმაც შესთავაზეს, გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალიდან, მოტყუებით წაეყვანათ სატვირთო ავტომანქანა „კამაზი“, შემდგომში კი მძღოლისათვის ძალადობის მუქარით წაერთმიათ ავტომანქანა. ისინი შეჰპირდნენ რ. კ-ძეს, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში გასამრჯელოს სახით გადაუხდიდნენ 2 000 აშშ დოლარს, რაზეც შეთანხმდნენ. შეთანხმებისამებრ, რ. კ-ძე და ვ. ყ-შვილი მეორე დღეს მივიდნენ შპს „კომპლექსის“ ტერიტორიაზე, სადაც მათ შეიძინეს სამშენებლო მასალა –ლორდი და შეუთანხმდნენ სატვირთო ავტომანქანა „კამაზის“ მძღოლ რ. ც-ძეს მის მოგვიანებით წაღებაზე. იმავე დღეს, დაახლოებით 22 საათზე, რ. კ-ძე და ვ. ყ-შვილი მივიდნენ შპს „კომპლექსში“, ჩაუხდნენ რ. ც-ძეს ავტომანქანაში და წამოვიდნენ. გზაში მათ მოტყუებით გადაახვევინეს მძღოლს სავალი ნაწილიდან, ცრემლსადენი ბალონის გამოყენებითა და რ. კ-ძის მიერ შენახვის უფლებით შეძენილი „ტტ-ს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გაკოჭეს რ. ც-ძე და ჩამოსვეს ავტომანქანიდან. წინასწარი შეთანხმებისამებრ, იქვე მყოფმა შ. გ-ვმა მას წაართვა 152 ლარად ღირებული, „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი და მართვის მოწობა. მათ რ. ი-ვსა და ნ. ა-ვთან ერთად სცადეს 20 760 ლარად ღირებული ავტომანქანა „კამაზის“ გატაცება, მაგრამ უცხო მანქანის გამოჩენის გამო თავდამსხმელებმა მიატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. ყ-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 16 წლით, შ. გ-ვს –20 წლითა და 6 თვით, რ. ი-ვს –15 წლით, ხოლო ნ. ა-ვს –9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს დაზარალებულ ნ. ო-შვილის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 13 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. შ. გ-ვს, რ. ი-ვსა და ნ. ა-ვს სასჯელის მოხდა დაეწყით 2006 წლის 24 ნოემბრიდან, ხოლო ვ. ყ-შვილს –2006 წლის 25 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა შ. გ-ვმა და მისმა ადვოკატმა მ. ლ-ძემ, ასევე –მსჯავრდებულ ნ. ა-ვის ადვოკატმა ნ. ც-შვილმა და მსჯავრდებულ ვ. ყ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა –რ. დ-ძემ, ვ. ქ-ძემ და მსჯავრდებულმა რ. ი-ვმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებელსა და მსჯავრდებულებს -რ. ი-ვსა და ნ. ა-ვს შორის, რომლის თანახმად, რ. ი-ვს, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, საიდანაც 4 წელი უნდა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთის ადგილას, ხოლო დარჩენილი 6 წელი ჩათვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 70 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ნ. ა-ვს განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელი უნდა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთის ადგილას, ხოლო დარჩენილი 6 წელი ჩათვალა პირობით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 8 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამავე განაჩენით შ. გ-ვს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა; შ. გ-ვს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის შესაბამისად და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით; საბოლოოდ მას მიესაჯა 17 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს -რ. კ-ძეს, ვ. ყ-შვილს, შ. გ-ვსა და რ. ი-ვს დაზარალებულ ნ. ო-შვილის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 13 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული შ. გ-ვი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რაც, საქართველოს სსკ-ის 563-ემუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 562-ე მუხლის თანახმად, განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია; მსჯავრდებულების -რ. კ-ძის, ნ. ა-ვისა და რ. ი-ვის აღიარებითი ჩვენებები არ შეიძლება, საფუძვლად დაედოს დასკვნას შ. გ-ვის დამნაშავედ ცნობის შესახებ, რადგან მათი აღიარებები მიღებულია მათთვის სასჯელის ნაწილში გაწეული შედავათების სანაცვლოდ, უშუალოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღიარებითი ჩვენებები განპირობებული იყო, ბრალის აღიარების შემთხვევაში, პროკურატურის მხრიდან თითოეული მათგანისათვის საპროცესო შეთანხმებით დაპირებული და გაწეული შედავათების სანაცვლოდ; სხვა რაიმე მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

გარდა ამისა, კასატორი აღნიშნავს, რომ მას განაჩენით ჩამოერთვა მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული პისტოლეტები, 12 მმ კალიბრის, ცალკულიანი „ვინჩესტერი“ ერთი მჭიდით, 20 ვაზნა, ცეცხლსასროლი იარაღისა და „ვინჩესტერის“ კუთვნილების მოწმობები და გადაეცა საქართველოს შსს სამინისტროს, რაც აშკარად უკანონოა; საქმის მასალებში არის ცნობა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული იარაღები ეკუთვნის შ. გ-ვს შენახვის უფლებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული შ. გ-ვი ითხოვს განაჩენის გაუქმებას, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასა და უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლებას.

მსჯავრდებულ ვ. ყ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. კ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, რადგან არსებითად დარღვეულია სამართლებრივი პროცედურები და მსჯავრდებულის ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული; ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება და არა -მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, როგორც განაჩენშია აღნიშნული; სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული ქმედება (რაც ითვალისწინებს 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) განეგრცო ქურდობაზე დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით (ითვალისწინებს 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას); მეტიც, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ რ. კ-ძემ ჩაიდინა სხვისი მოძრავი ნივთის არა ფარული, არამედ -აშკარა დაუფლება ავტოსადგომის მუშაკთა თვალწინ, რის გამოც მისი ქმედება ატარებს თაღლითობის აშკარა ნიშნებს; ნათელია, რომ მსჯავრდებულთა ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა, ასევე უგულებელყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი და სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი; სასამართლო ვალდებულია, განახორციელოს მართლმსაჯულება და გამოასწოროს შეცდომები, თუნდაც სარევიზიო წესით; სასამართლოს კანონით რომ ეხელმძღვანელა, მაშინ, რ. კ-ძის გარდა, სხვა პირებს თაღლითობისათვის პასუხისგებაში ვერ მისცემდა; სასამართლომ სსკ-ის 177-ე მუხლის დისპოზიციაში ქურდობის მაკვალიფიცირებელი (ფარული) ქმედება ოსტატურად ჩაანაცვლა სსკ-ის 180-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი ნიშნით (მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი).

კასატორის აზრით, რ. კ-ძის ქმედების კვალიფიკაცია უნდა დასრულებულიყო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რადგან ადგილი არა აქვს არაერთგზისობას და დიდი ოდენობას, ვინაიდან კანონმდებელმა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შემოსაზღვრა არა დიდი ოდენობით, არამედ -სატრანსპორტო საშუალებით; თუ საქმე გვაქვს

ხარვეზთან, მაშინ, სსკ-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, დასაშვებია კანონის ანალოგის გამოყენება, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები, რაც მოცემულ შემთხვევაში სახე-ზეა.

ადვოკატ ა. კ-ძეს მიაჩნია, რომ ვ. ყ-შვილმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და მას არ შეიძლება, ბრალი დაედოს ნ. ო-შვილის ავტომანქანის თაღლითურად დაუფლებისათვის; რაც შეეხება ყაჩაღობის ფაქტს, აქაც მან ჩაიდინა ასევე მხოლოდ დანაშაულის შეუტყობინებლობა; იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უკანონოდ არ მიიჩნევს ყოველივე აღნიშნულს, ვ. ყ-შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დადგინდეს მისი პიროვნებიდან გამომდინარე და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, სანქციის მინიმუმის ფარგლებში და შეკრების წესის გამოყენებლად, რადგან ქმედება განხორციელებულია სსკ-ის 59-ე მუხლის დღევანდელ რედაქციამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა მსჯავრდებულ შ. გ-ვის საჩივრის მოტივი, თითქოს გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად უდევს მხოლოდ სხვა მსჯავრდებულთა აღიარებითი ჩვენებები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შ. გ-ვისა და ვ. ყ-შვილის ბრალეულობა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის:

დაზარალებულ რ. ც-ძის ჩვენებით დადგენილია, რომ თავდასხმისას იარაღები ჰქონდათ რ. კ-ძესა და შ. გ-ვს. მათთან ერთად იყო ვ. ყ-შვილიც. ბოროტმოქმედებმა თვალეში შეასხეს ცრემლსადენი აირი და ხელბორკილით შებოჭეს, წაართვეს მობილური ტელეფონი და მანქანის საბუთები, რის შემდეგ სცადეს ავტომანქანის ძრავის ამუშავება, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში იქვე გამოჩნდა უცხო ავტომანქანა და თავდასხმელები გაიქცნენ. დაზარალებულმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი იყო ვ. ყ-შვილი.

დაზარალებულმა რ. ც-ძემ საქმის წინასწარი გამოძიებისას ფოტოსურათებით და პირადად ამოიცივნო ვ. ყ-შვილი.

დაზარალებულმა ნ. ო-შვილმა განაცხადა, რომ ავტომანქანის 13200 აშშ დოლარად შეძენის სურვილი გამოთქვა რ. კ-ძემ, რომელიც სხვა სახელით გაეცნო. მას ახლდა ვ. ყ-შვილიც და ზეს სახით 500 აშშ დოლარი შეიტანეს ნ. ო-შვილის სახელზე ბანკ "რესპუბლიკაში". ნ. ო-შვილმა მიუთითა, რომ მის დაუკითხავად ავტოსადგომიდან მანქანა თანხის გადაცემამდე არავის უნდა გაეყვანა, რის შესახებაც მიიღო შესაბამისი ჩეკი.

მსჯავრდებულ რ. კ-ძის მშობლებმა -ზ. და მ. კ-ძეებმა სასამართლოს განუმარტეს, რომ დაკავების შემდეგ მათმა შვილმა უთხრა, დაკავშირებოდნენ შ. გ-ვს, რათა ამ უკანასკნელს დაებრუნებინა მოპარული ავტომანქანა "ბმვ". შ. გ-ვმა მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ მოითხოვა 2500 აშშ დოლარი.

თავად მსჯავრდებული ვ. ყ-შვილი არ უარყოფს, რომ ახლდა რ. კ-ძეს ნ. ო-შვილთან მოლაპარაკებისას, ხოლო ავტომანქანის სადგომიდან წამოყვანის დროს მათთან ასევე იმყოფებოდნენ შ. გ-ვი და რ. ი-ვი. მსჯავრდებული მიუთითებს, რომ მანქანის წაყვანისას, როგორც იცოდა, ფული გადახდილი იყო. ვ. ყ-შვილი აღწერს რ. ც-ძეზე განხორციელებულ თავდასხმას და განმარტავს, რომ შეიარაღებულმა რ. კ-ძემ "კამაზის" მძღოლი ჩამოსვა ძირს და მოშორებით გაიყვანა. იქვე კიდევ ორი პირი მივიდა. მოგვიანებით უცხო ავტომანქანა გამოჩნდა და ყველანი გაიქცნენ. რამდენიმე დღეში რ. კ-ძემ უთხრა, რომ მანქანის წართმევა სურდა.

შ. გ-ვისა და ვ. ყ-შვილის მიერ გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ დანაშაულთა ჩადენა, სხვა მტკიცებულებთან ურთიერთშეჯერებით, უდავოდ დადასტურებულია მსჯავრდებულ რ. კ-ძის არაერთი ჩვენებითაც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალები გამოკვლეული და შეფასებულია სრულად და ობიექტურად და სააპელაციო პალატის განაჩენი დასაბუთებულია.

ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ვ. ყ-შვილის ადვოკატის მოტივებზე პალატა განმარტავს, რომ ავტომანქანა "ბმვ" იმყოფებოდა ნ. ო-შვილის კანონიერ მფლობელობაში და დაზარალებულის ნებართვის გარეშე მანქანის სადგომიდან წაყვანის უფლება არავის ჰქონდა, შესაბამისად, ავტომანქანა არ იმყოფებოდა ბოროტმოქმედთა მფლობელობაში. პირის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს იმ შემთხვევაშიც, როცა ნივთის დაუფლება ხდება აშკარად, სხვა პირის ან პირთა (მოცემულ შემთხვევაში -დარაჯის) თანდასწრებით, რომლებიც ამ ქმედებას მართლზომიერად აღიქვამენ.

რაც შეეხება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტს (ქურდობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ), დანაშაულის აღნიშნული მაკვალიფიცირებელი ნიშანი ამოქმედდა 2007

წლის 18 იანვრიდან, ვ. ყ-შვილის და სხვათა მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ და სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ შემთხვევაში ახალ კანონს უკუმაღლა არ აქვს. ამასთან, ქურდობის შემთხვევაში, როდესაც დაუფლებული ნივთის, მათ შორის -ავტომანქანის ღირებულება აჭარბებს 10 ათას ლარს, პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, თუ არ არსებობს მუხლის აღნიშნული ნაწილით გათვალისწინებული სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შ. გ-ვის ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებების საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერაციების ცენტრისათვის გადაცემის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც ირკვევა, შ. გ-ვის სახლში აღმოჩენილი იარაღები არ იყო მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული და ამისათვის ბრალიც არავის წარდგენია. ამასთან, შ. გ-ვი გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და რომელიმე საგნის დანაშაულის იარაღად მიჩნევის საფუძველიც არ არსებობს. საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ნასამართლევ პირებზე არ გაიცემა იარაღთან დაკავშირებული ნებართვა, რაც ცხადია იმას გულისხმობს, რომ ნასამართლევ პირებს არ აქვთ იარაღის შენახვის უფლება. ამის გამო, შ. გ-ვის ბინის ჩხრეკისას ამოღებული ცეცხლსასროლი და საფანტის იარაღები უნდა დარჩეს შ. გ-ვის საკუთრებაში მფლობელობის უფლების გარეშე, განკარგვის უფლებით -ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს რ. ი-ვის კუთვნილი იარაღების საკითხიც.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუშვებელია პირის კანონიერ მფლობელობაში არსებული ნებისმიერი საგნის, მათ შორის -ცეცხლსასროლი ან სხვა სახის იარაღის ჩამორთმევა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში შ. გ-ვისა და რ. ი-ვის კუთვნილი იარაღების ჩამორთმევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს.

ამოღებულ სხვა ნივთებზე საკასაციო პალატა არ მსჯელობს, რადგან ისინი კანონით დადგენილი წესით არ არის ცნობილი ნივთმტკიცებად.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დაზარალებულ ნ. ო-შვილის სასარგებლოდ 13 450 აშშ დოლარი გადახდა, სხვა ოთხ პირთან ერთად, დაეკისრა ნ. ა-ვსაც. სააპელაციო პალატამ სწორად აღნიშნა, რომ ნ. ა-ვს ავტომანქანის ქურდობაში ბრალი არ ედებოდა, ამიტომ აღნიშნული თანხის გადახდა დააკისრა რ. კ-ძეს, ვ. ყ-შვილს, შ. გ-ვს და რ. ი-ვს, თუმცა ამით ფაქტობრივად გაუარესდა ამ უკანასკნელთა მდგომარეობა, რაც ამ შემთხვევაში დაუშვებელი იყო. გარდა ამისა, საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ ნ. ო-შვილის ავტომანქანის ღირებულება შეადგენდა 17 500 ლარს, მაგრამ დაზარალებული თავისი სარჩელით ითხოვდა 13 450 აშშ დოლარის ანაზღაურებას და მიუთითებდა ავტომანქანის განბაჟების და ტრანსპორტირების ხარჯებსაც, ასევე - მიუღებელ შემოსავალს.

ორივე ინსტანციის სასამართლომ ისე დააკისრა მსჯავრდებულებს 13 450 აშშ დოლარის გადახდა, რომ არაფრით დაასაბუთა თანხის ეს ოდენობა. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, ნ. ო-შვილს ბეს სახით გადაეცა 500 აშშ დოლარი. ამდენად, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში გადაწყვეტილება არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და შეუძლებელია მისი კანონიერების შემოწმება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო სასჯელების დანიშვნის ნაწილში -სამართლიანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ შ. გ-ვის, ასევე -მსჯავრდებულ ვ. ყ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. კ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს: ნივთმტკიცებები -შ. გ-ვის ბინის ჩხრეკისას ამოღებული "BAIKAL-

442" სისტემის პისტოლეტი მჭიდით, საფანტის იარაღი "VOLთღAN" მჭიდით, ერთ ლულიანი "ვინჩესტერი", მჭიდი და 20 ვაზნა დარჩეს შ. გ-ვის საკუთრებაში მფლობელობის უფლების გარეშე, განკარგვის უფლებით -ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე. აღნიშნული იარაღების კუთვნილების მოწმობები დაუბრუნდეს შ. გ-ვის ოჯახის წევრებს;

რ. ი-ვის ბინის ჩხრევისას ამოღებული და ნივთმტკიცებად ცნობილი "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და 45 ვაზნა, პისტოლეტი "FOღჟE-919", მჭიდი და 15 ვაზნა, "APIღ-2003-LIUG" პისტოლეტი, მჭიდი და 5 ვაზნა დარჩეს რ. ი-ვის საკუთრებაში მფლობელობის უფლების გარეშე, განკარგვის უფლებით -ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე, ხოლო ამ იარაღების კუთვნილების მოწმობები დაუბრუნდეს რ. ი-ვის ოჯახის წევრებს;

გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის
გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა
განსახილველად გადაცემა სამოქალაქო
სამართლისწარმოების წესით**

განჩინება

#760-აპ

12 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ს-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ა-ლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენით ნ. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, განსაკუთრებული სისასტიკით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. ს-შვილმა ეჭვიანობის ნიადაგზე განიზრახა თავისი ნაცნობის -ო. გ-შვილის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში -განსაკუთრებული სისასტიკით. 2007 წლის 7 ივნისს, დაახლოებით 1.30 საათზე, ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მყოფი ნ. ს-შვილი მივიდა თბილისში მდებარე ბენზინგასამართ სადგურთან, სადაც ო. გ-შვილი მუშაობდა ღამის დარაჯად. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან თავისი საცხოვრებელი ბინიდან, პოლიეთილენის ნახევარლიტრიანი ბოთლით წაიღო ბენზინი. მიზნად ისახავდა რა ო. გ-შვილისათვის სიცოცხლის მოსპობას განსაკუთრებული ტანჯვის მიყენებით -ცოცხლად დაწვით, ნ. ს-შვილმა სხეულზე შეასხა მას ბენზინი და ასანთით წაუკიდა ცეცხლი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ო. გ-შვილი გადაიყვანეს თერმოდანიანებთან და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში, სადაც იგი მიღებული დაზიანებების შედეგად 2007 წლის 9 ივნისს გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. ს-შვილს მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 28 ივლისიდან. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ო. გ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 10 ათასი ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა დ. ა-ლმა. მან ითხოვა ნ. ს-შვილის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა, ასევე -განაჩენის გაუქმება სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები -მსჯავრდებული ნ. ს-შვილი და მისი ადვოკატი დ. ა-ლი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით; ვერც ბრალდებამ და ვერც სასამართლომ ვერ დაადასტურა, რომ ნ. ს-შვილმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული; განაჩენი დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 6 ივნისს ბენზინგასამართი სადგურის საოპერატორში ნ. ს-შვილსა და ო. გ-შვილს შორის მოხდა კონფლიქტი, რასაც მოჰყვა ხანძარი, რომლის შედეგად ორივე მიიღო დამწვრობა; ო. გ-შვილი გარდაიცვალა; როდესაც ბენზინი ააღდა, ნ. ს-შვილმა სცადა, დახმარებოდა ო. გ-შვილს, რა დროსაც თვითონ მასაც მოეკიდა ცეცხლი, რასაც ადასტურებს სამედიცინო დასკვნაც; ზემოაღნიშნული კი გამორიცხავს მსჯავრდებულის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენას, ამიტომ დაცვის მხარე სრულიად სამართლიანად ითხოვდა ნ. ს-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ექსპერტიზის დასკვნით, შეუძლებელი აღმოჩნდა ხანძრის გაჩენის წყაროს დადგენა; ასევე ვერ აღმოაჩინეს რაიმე საგანი, რაც დაადასტურებდა ცეცხლის განზრახ მოკიდებას; სამედიცინო ექსპერტ გ. მ-ძის ჩვენებით, ო. გ-შვილი დამწვრობის შედეგად იმყოფებოდა შოკურ მდგომარეობაში და პერიოდულად იყო არაადეკვატური, რაც გამოიცხავს, რომ მისი ნალაპარაკები არ შეესაბამებოდა რეალურად მომხდარ ფაქტს.

კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ს-შვილმა გამოავლინა ულმოზელი სისასტიკე, მას შეგნებული ჰქონდა, რომ თავისი მოქმედებით უდიდეს ტანჯვასა და ტკივილს აყენებდა ო. გ-შვილს, რაც არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; ხანძრის გაჩენის შემდეგ ნ. ს-შვილი რომ ცდილობდა ო. გ-შვილის დახმარებას, ამას ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ნ. ს-შვილი და ადვოკატი დ. ა-ლი ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას, ნ. ს-შვილის ქმედების საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირებას და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას, ასევე -განაჩენის გაუქმებას სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით, მათ შორის დაზარალებულის უფლებამონაცვლე ო. გ-შვილის, მოწმეების -ა. ქ-ძის, ა. ქ-ძის, სხვადასხვა სახის ექსპერტიზის დასკვნებით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ ნ. ს-შვილმა განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა ო. გ-შვილი.

კასატორი აპელირებს იმ გარემოებაზე, თითქოს დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და სხვა პირთა ჩვენებით არ ირკვევა, რამ გამოიწვია ააღება.

ო. გ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ თავისმა აწ გარდაცვლილმა ძმამ უთხრა: ნ. ს-შვილმა "ბენზინი შემომასხა და დამწვაო".

მოწმე ა. ქ-ძემ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას აღნიშნა, რომ მომხდარისთანავე ტელეფონით ესაუბრა ო. გ-შვილს, რომელმაც უთხრა -ვიწვი, ნ. ს-შვილმა ჯერ ბოთლით ბენზინი შემასხა, შემდეგ კი ასანთით ცეცხლი წამიკიდაო.

სასამართლოში დაიკითხა ექსპერტი დ. ხ-კი, რომელმაც გამორიცხა ელექტრო-ტექნიკური მიზეზით ააღება.

მსჯავრდებულის მეუღლისა და თავად ნ. ს-შვილის ჩვენებებიდან უდავოდ გამომდინარეობს, რომ დანაშაული ჩადენილია ეჭვიანობის ნიადაგზე.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, კერძოდ:

დაზარალებულის უფლებამონაცვლე სამოქალაქო სარჩელით ითხოვდა 10 ათას ლარს, თუმცა საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მას არ დაუკონკრეტებია, რა სახის ზიანის ასანაზღაურებლად ითხოვდა ამ თანხას. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სარჩელი საფუძვლიანი იყო ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, რადგან დაზარალებულის უფლებამონაცვლემ განიცადა მძიმე მორალური და მატერიალური ზიანი.

სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენიდან სწორად ამორიცხა მითითება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, თუმცა დაკისრებული თანხის ოდენობა უცვლელად დატოვა. გასაჩივრებულ განაჩენში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო სარჩელი ო. გ-შვილის მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მოტივით საფუძვლიანია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება ო. გ-შვილის მკურნალობის ხარჯებთან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტი და მსჯავრდებულისათვის დაკისრებული თანხის ოდენობა არ არის დასაბუთებული, მით უფრო, რომ გაურკვეველია დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია ზიანის სახესთან დაკავშირებით. სამოქალაქო სარჩელი ნაწილში გადაწყვეტილება არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და შეუძლებელია მისი კანონიერების შემოწმება. ამიტომ, საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად გადაეცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ს-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ა-ლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განაჩენი ნ. ს-შვილის მიმართ გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის
გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა
განსახილველად გადაცემა სამოქალაქო
სამართლისწარმოების წესით**

განჩინება

#140-აპ-08

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ო-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენზე გ. ო-შვილის, ზ. მ-შვილის, ლ. მ-შვილის, ვ. ქ-შვილის, შ. ჩ-შვილის, თ. ჟ-ძის, უ. ქ-შვილისა და . ქ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის განაჩენით გ. ო-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტებითა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, განსაკუთრებული სისასტიკითა და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ასევე -ხულიგნობა,

ე.ი. ქმედება, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოები-სადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღად ხელკეტის გამოყენებით.

ამავე განაჩენით: ზ. მ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღად დანის გამოყენებით; უ. ქ-შვილი, და დ. ქ-შვილი, ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინეს ხულიგნობა, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღად ხელკეტის გამოყენებით, ხოლო ლ. მ-შვილი, ვ. ქ-შვილი, შ. ჩ-შვილი, ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს ხულიგნობა, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; თ. ჟ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 30 აპრილს გ. ო-შვილი, ზ. მ-შვილი, ლ. მ-შვილი, დ. ქ-შვილი, უ. ქ-შვილი და თ. ჟ-ძე იმყოფებოდნენ კასპში, ტ. თ-შვილის ოჯახში, სადაც დალიეს ალკოჰოლური სასმე-ლი. დაახლოებით 17 საათისათვის მთვრალეები გამოვიდნენ ქუჩაში გ. ო-შვილის კუთვნილი ავტომანქანით. სამხედრო კომისარიატის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ შეხვდათ შ. ჩ-შვილი და ვ. ქ-შვილი. მათ შენიშნეს ... ქუჩის მცხოვრები ა. მ-შვილი და განიზრახეს, მის მიმართ გამოეჩინათ აშკარა უპატივცემულობა ძალადობით და უხეშად დაერღვიათ საზოგადოებრივი წესრიგი. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მისცვივდნენ ა. მ-შვილს, დაუწყეს ხელებითა და ფეხებით ცემა და გინება უცენზურო სიტყვებით. მათი ხულიგნური ქმედების აღკვეთას შეეცადა იქ მისული ს. თ-ძე, რომელიც ა. მ-შვილის მეზობლად ცხოვრობდა. მან მოუწოდა ბიჭებს წესრიგისაკენ, თუმცა გ. ო-შვილმა და სხვებმა კვლავ განაგრძეს ხულიგნური ქმედება, რა დროსაც თ. ჟ-ძემ ს. თ-ძეს დაუწყო ცემა და ფეხი ჩაარტყა მკერდის არეში. ამ დროს ა. მ-შვილმა სცადა თავის დაღწევა და გაიქცა, ხოლო ზ. მ-შვილი გაეკიდა მომარჯვებული დანით, მაგრამ მან შეძლო, გასცლოდა იქაურობას. ს. თ-ძემ ამ დროს დაურეკა ბიძას -მ. მ-ძეს და სთხოვა მათთან მისვლა. რამდენიმე წუთში იმ ადგილზე მივიდნენ მ. მ-ძე და დ. მ-ძე. ისინი გადმოსულები არ იყვნენ მანქანიდან, რომ გ. ო-შვილი და მასთან მყოფი პირები მისცვივდნენ მათ და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. მათი მოგერიების მიზნით, მ. მ-ძემ ავტომანქანიდან ამოიღო ხელკეტი, თუმცა იგი წაართვა გ. ო-შვილმა და ამ ხელკეტით დაუწყო მას გამეტებით ცემა თავსა და ხელში. გ. ო-შვილის შემდეგ ამავე ხელკეტით უ. ქ-შვილმა და დ. ქ-შვილმა დაუწყეს ცემა მ. მ-ძეს და მიაყენეს ნაკვეთი ჭრილობები მარცხენა მტევნის მე-2 თითის არეში და დაჟეჟილი ჭრილობა კეფის არეში. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული დაზიანებები მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. ჩხუბის დროს ს. თ-ძე კვლავ შეეცადა ხულიგნური ქმედების აღკვეთას, მაგრამ თ. ჟ-ძემ კვლავ მიაყენა მას ფიზიკური შეურაცხყოფა, ფეხი ჩაარტყა გულმკერდის არეში და დააგდო დაბლა, რის შედეგადაც ს. თ-ძისათვის მიყენებული დაზიანებები -ექსკორაციები ორივე მუხლის სახსრის არეში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოშლის გარეშე. ყველა დანარჩენი განაგრძობდა მ. მ-ძის ცემას. ყვირილისა და ჩხუბის ხმაზე თავი მოიყარეს მოქალაქეებმა, რომელთა თანდასწრებითაც გ. ო-შვილი და სხვები განაგრძობდნენ ხულიგნურ ქმედებას, მ. მ-ძის, ს. თ-ძისა და დ. მ-ძის ცემასა და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

გ. ო-შვილმა აღნიშნული ქმედებით გამოხატა აშკარა უპატივცემულობა იქ მყოფი პირებისა და იმ დროს გზაზე მიმავალი ლ. ხ-იას მიმართ, რომელიც მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად ფეხით მიდიოდა სამხედრო კომისარიატის ტერიტორიაზე; ასევე აშკარად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატა მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი კორპუსების მცხოვრებთა მყუდროების დარღვევაში. მისი ხულიგნური ქმედება გაგრძელდა დაახლოებით 15-20 წუთს და შეწყდა შემთხვევის ადგილზე სხვა მოქალაქეთა მისვლის შემდეგ.

იმავე საღამოს, დაახლოებით 21 საათზე, გ. ო-შვილი თავისი ავტომანქანით იმყოფებოდა ქ. კასპში, მდინარე ლეხურის მარცხენა სანაპიროზე, 3-ას ქ-ზე მდებარე ავტოსამრეცხაოსთან და ესაუბრებოდა ზ. მ-შვილს, თ. ჟ-ძესა და უ. ქ-შვილს. მათგან მოშორებით გაჩერდა თეთრი ფერის, „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ მ. მ-ძე, დ. ფ-შვილი, ა. რ-შვილი და ს. თ-ძე.

მ. მ-ძე გამოელაპარაკა მასთან მისულ ზ. მ-შვილს მომხდარ ჩხუბთან დაკავშირებით. ა. რ-შვილი და დ. ფ-შვილი გადავიდნენ მანქანიდან და ზ. მ-შვილთან ერთად გავიდნენ მოშორებით,

რათა გაერკვიათ, თუ რატომ სცემეს იმავე დღეს კომისარიატის მიმდებარე ტერიტორიაზე მ. მ-მე-სა და სხვებს, რა დროსაც მათ შორის გაიმართა ხმამაღალი საუბარი. მ. მ-მემ, რომელსაც მანქანის კარი ჰქონდა ღია და სხეულის მიტრიალებული იყო მოკამათეთა მხარეს, დაუძახა მეგობრებს და მოსთხოვა მქანაში დაბრუნება. დ. ფ-შვილი და ა. რ-შვილი გამოემართნენ ავტომანქანისაკენ და აპირებდნენ ჩასხდომას, რა დროსაც გ. ო-შვილმა განიზრახა მ. მ-მის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან საკუთარი ავტომანქანიდან ამოიღო თავისზე რეგისტრირებული, ცალპირიანი, „მც-4067“ მოდელის სანადირო თოფი, ლულა მიმართა მ. მ-მის მიმართულებით, რომლის გვერდით იყვნენ მისი არასრულწლოვანი დისშვილი ს. თ-მე და სხვა პირები, ორჯერ მიყოლებით გაისროლა, ხოლო შემდეგ, დაინახა რა, რომ მ. მ-მე, რომელსაც ჭრილობა მიყენებული ჰქონდა კისრის არეში, დავარდა, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მივიდა მასთან და თოფის კონდახი ჩაარტყა თავის არეში. აღნიშნულის შემდეგ გ. ო-შვილმა გადაწყვიტა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა, რა დროსაც საკუთარი ავტომანქანით კასპი-იგოეთის საავტომობილო გზაზე მოუხდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევა.

მ. მ-მე მიყენებული ცეცხლნასროლი დაზიანების შედეგად კასპის რაიონულ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მისი სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, განვითარებული ცეცხლნასროლი ჭრილობებიდან სისხლდენის შედეგად. მითითებული დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებას და მიზეზობრივ კავშირშია მ. მ-მის სიკვდილთან.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ო-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 1 მაისიდან; ზ. მ-შვილს, დ. ქ-შვილსა და უ. ქ-შვილს განესაზღვრათ 3-3 წლით, შ. ჩ-შვილსა და თ. ჟ-მეს -2-2 წლით, ხოლო ლ. მ-შვილსა და ვ. ქ-შვილს თითოეულს -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყებათ დაკავების მომენტიდან. ზ. მ-შვილს, ლ. მ-შვილსა და დ. ქ-შვილს სასჯელის მოხდაში ჩათვლებათ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2006 წლის 29 ივნისიდან 2006 წლის 7 ივლისამდე, ვ. ქ-შვილსა და უ. ქ-შვილს -2006 წლის 29 ივნისიდან 18 ივლისამდე, შ. ჩ-შვილს -2006 წლის 29 ივნისიდან 2006 წლის 5 ივლისამდე, ხოლო თ. ჟ-მეს -2006 წლის 29 ივნისიდან 2006 წლის 3 ივლისამდე.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დაზარალებულ ს. თ-მის სამოქალაქო სარჩელი და გ. ო-შვილს მის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 5 ათასი ლარის გადახდა, ხოლო ყველა მსჯავრდებულს ერთად ს. თ-მის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 2 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლებმა -ნ. და ლ. მ-მეებმა, დაზარალებულმა ს. თ-მემ, მსჯავრდებულ ვ. ქ-შვილის ადვოკატმა თ. მ-მემ, მსჯავრდებულ გ. ო-შვილის ადვოკატმა ა. ა-შვილმა, მსჯავრდებულებმა -ზ. მ-შვილმა, ლ. მ-შვილმა, შ. ჩ-შვილმა და მათმა ადვოკატმა ა. შ-შვილმა, ასევე -თ. ჟ-მის ადვოკატმა გ. ჭ-შვილმა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლებმა და დაზარალებულმა სააპელაციო საჩივრით ითხოვეს კასპის რაიონული სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, გ. ო-შვილისათვის სასჯელის გამკაცრება, მისთვის ს. თ-მის სასარგებლოდ 30 ათასი ლარის, ხოლო ყველა მსჯავრდებულისათვის -სოლიდარულად 10 ათასი ლარის დაკისრება.

ადვოკატმა თ. მ-მემ ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ვ. ქასოშვილის გამართლება, ხოლო ადვოკატმა ა. ა-შვილმა -კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა, გ. ო-შვილის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით -განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ადვოკატმა ა. შ-შვილმა სააპელაციო საჩივრებით ითხოვა განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების -ზ. მ-შვილის, ლ. მ-შვილისა და შ. ჩ-შვილის გამართლება, ადვოკატმა გ. ჭ-შვილმა კი -დანაშინული სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლა და დამატებით სასჯელად 5 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის განაჩენი შეიცვალა:

გ. ო-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი; ლ. მ-შვილს, ვ. ქ-შვილს, შ. ჩ-შვილს, თ. ჟ-მეს, უ. ქ-შვილსა და დ. ქ-შვილს მოეხსნათ სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი; გ. ო-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხ-

ლის „ზ“ პუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე; გ. ო-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა; ზ. მ-შვილს, შ. ჩ-შვილსა და ლ. მ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 2 ივლისიდან, თ. ჟ-ძეს კი -2007 წლის 9 ივლისიდან; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულ გ. ო-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ა-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, დადგენილია საქართველოს სსსკ-ის 496-ე, 503-ე და 509-ე მუხლების მოთხოვნათა უხეში დარღვევით; სასამართლომ განაჩენი დაადგინა პროკურორის უკანონო და დაუსაბუთებელი მოთხოვნის საფუძველზე.

ადვოკატის განმარტებით, გ. ო-შვილმა ნაწილობრივ აღიარა ჩადენილი დანაშაული და აჩვენა, რომ კომისარიატის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ყოფილა და ხულიგობა არ ჩაუდენია, მ. მ-ძე მას სისტემატურად სთხოვდა ფულს, სამრეცხაოსთან დაემუქრა მოკვლით და წავიდა მანქანისაკენ, ხოლო გ. ო-შვილმა მას დაასწრო, ამოიღო თოფი და ორჯერ ესროლა 2-3 მეტრის დაშორებიდან; ამ დროს მანქანაში არავინ იჯდა, ხოლო მეორე დღეს ჩაჰხარდა პოლიციას; გ. ო-შვილის ჩვენების სისწორეს ადასტურებენ ზ. მ-შვილი და უ. ქ-შვილი და აცხადებენ, რომ „მ. მ-ძე იყო მკვლელი, ბევრი ჰყავდა მოკლული, არავის არაფერს აპატიებდა და ყველას მოკლავდა“; ს. თ-ძე პირველ ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებით ადასტურებდა, რომ გასროლის მომენტში მანქანაში არავინ იჯდა; ა. რ-შვილისა და დ. ფ-შვილის ჩვენებებით, გასროლის მომენტში მ. მ-ძე იდგა მარტო, მასთან არავინ მდგარა; შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა ბეისბოლის ჯოხი, რომელიც აწ გარდაცვლილმა ჩაარტყა გ. ო-შვილს; დაუსაბუთებელია განაჩენის მტკიცება, რომ, თითქოს, სასიკვდილოდ დაჭრილ მ. მ-ძეს გ. ო-შვილმა თოფის კონდახი ჩაარტყა თავის არეში; გვამის სასამართლო-სამედიცინო და ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით, ექსპერტების ჩვენებებით უდავოდაა დადგენილი, რომ მ. მ-ძისათვის მიყენებული 4 დაზიანება სიცოცხლისდროინდელია, ორი მიყენებულია ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლით, ერთი დაზიანება გაკერილია და დამუშავებულია ქირურგიულად, სხვა დაზიანება თავის არეში მას არ ჰქონია.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატამ იგნორირება გაუკეთა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, საერთოდ არიდა თავი იმ მტკიცებულებათა განხილვას, რომლებითაც დასტურდებოდა მსჯავრდებულ გ. ო-შვილის ჩვენების სისწორე და ვერ დაასაბუთა, რატომ მიიჩნია სწორად მისთვის წარდგენილი ბრალდება; 3-5 მეტრის მანძილიდან თოფიდან ორჯერ გასროლა არ შეიძლება სხვა პირებისათვის წარმოადგენდეს საფრთხეს, მით უმეტეს, არ შეიძლება ასეთი ქმედება ჩაითვალოს განზრახ ჩადენილად, ვინაიდან გ. ო-შვილის განზრახვაში არ იყო და არც შეიძლება და ყოფილიყო იმის ნება, რომ სხვა ადამიანები საფრთხეში აღმოჩენილიყვნენ; ასევე დაუსაბუთებელია განაჩენის მოსაზრება, რომ გ. ო-შვილის ქმედებაში სახეზეა განსაკუთრებული სისასტიკე; ახლო ნათესავის თანდასწრებით მკვლელობის ჩადენა, როგორც დამამძიმებელი გარემოება, პირდაპირ არ არის კანონით გათვალისწინებული; ასეც რომ იყოს, დისშვილი ახლო ნათესავად ვერ ჩაითვლება, რადგან ახლო ნათესავის დეფინიცია იმპერატიულადაა განსაზღვრული სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნაში და სსსკ-ის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილით; გ. ო-შვილისათვის არ იყო ცნობილი, რომ ს. თ-ძე იყო მ. მ-ძის დისშვილი, რაც დაადასტურა ს. თ-ძემაც და აღნიშნა, რომ გ. ო-შვილს პირადად არ იცნობდა და მასთან რაიმე შეხება არ ჰქონია; განსაკუთრებულ სისასტიკედ არ შეიძლება ჩაითვალოს განზრახი მკვლელობა ობიექტურად ახლო ნათესავების თანდასწრებით, თუ იმავდროულად დამნაშავეს სუბიექტურ ნებას არ წარმოადგენს მკვლელობის დროს ახლობლისათვის განსაკუთრებული სულიერი ტანჯვა-წამების მიყენება ხალხმრავალ ადგილას; მკვლელობის ჩადენისას შესაძლებელია იყვნენ გარდაცვლილის ახლობლები, მაგრამ დამნაშავე ამას არ აღიქვამდეს სუბიექტურად და არ ანიჭებდეს მნიშვნელობას; კონკრეტულ შემთხვევაში გარდაცვლილის ახლობლების ყოფნა სრულიად ირელევანტურია დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, რადგან ეს გარემოება დამნაშავეს ნებით არ იყო სუბიექტურად აღქმული და, შესაბამისად, მისი ქვენაგრძნობები არ იყო ამ დამამძიმებელი გარემოებებით განპირობებული.

ადვოკატ ა. ა-შვილის მოსაზრებით, გ. ო-შვილის ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მოჩვენებითი მოგერიება, რომლისთვისაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რით არის შეცდომა გამოწვეული; მთავარია, რომ განზრახვა გამოირიცხება, რადგან სახეზე არ არის განზრახვის ისეთი მესამე კომპონენტი, როგორცაა ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება; ე.წ. „მოჩვენებითი მოგერიების“ დროს, როგორც გაუფრთხილებლობისათვის, როცა პირმა დაუშვა მიუტევებელი შეცდომა, ე.ი. როცა შეცდომა თავიდან აცილებადი იყო, ხოლო ე.წ. „მისატევებელი შეცდომის“ დროს პირი საერთოდ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მის ქმედებაში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არარსებობის გამო; ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოირიცხება განზრახი ქმედება და საუბარი შესაძლებელია მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზე, რაც კვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით.

განაჩენი უკანონოა გ. ო-შვილის საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდების ნაწილშიც, რადგან მას სამხედრო კომისარიატთან ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია; აღნიშნულს ადასტურებენ დ. მ-ძე და ა. მ-შვილი, რომლებიც კარგად იცნობდნენ გ. ო-შვილს და ის ჩხუბში არ დაუნახავთ; მათი ჩვენებებით უარყოფილია დაზარალებულ ს. თ-ძის ურთიერთგამომრიცხავი, წინააღმდეგობრივი და ცრუ ჩვენებები, თითქოს ჩხუბში მონაწილეობდა გ. ო-შვილი; გაუგებარია ის გარემოება, რომ დ. მ-ძე და ა. მ-შვილი დაზარალებულებად არ ცნეს მიუხედავად იმისა, რომ დადასტურებულად მიიჩნიეს მათი ცემის ფაქტი; მსჯავრდებულებმა ხულიგნობის ჩადენა და მასში გ. ო-შვილის მონაწილეობა აღიარეს იმიტომ, რომ მათ დაჰპირდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებასა და პირობითი სასჯელების შეფარდებას, საქმის მასალებით კი გ. ო-შვილის მონაწილეობა ამ ჩხუბში არ დასტურდება; სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მ. მ-ძე, მეტსახელად „ლაგერა“, ორჯერ იყო ნასამართლევი; ის სისტემატურად სძალავდა ფულს გ. ო-შვილს და ემუქრებოდა სიკვდილით; პალატამ არც ის გაითვალისწინა, რომ გ. ო-შვილი პირველად სამართალში, აღიარებით გამოცხადდა პოლიციაში, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, ხასიათდება დადებითად და, პიროვნების წარსული ცხოვრებისა და დაზარალებულების მართლსაწინააღმდეგო ქმედების გათვალისწინებით, აშკარად არასწორად განუსაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა; სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა ცალმხრივი, ტენდენციური და დაუსაბუთებელი განაჩენი, რომ არ დაეყრდნო უტყუარ მტკიცებულებებს, რითიც დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, ასევე -ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნა საქმის სამართლიანი განხილვის შესახებ.

ადვოკატ ა. ა-შვილის აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენი უნდა შეიცვალოს, ვინაიდან არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობა მტკიცებულებებს შორის; სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

მითითებულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, გ. ო-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით -განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოა დადგენილი გ. ო-შვილის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან არანაკლებ ორჯერ გასროლის ფაქტი. ამაზე მეტყველებს ოქმიც, რომლის შესაბამისად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ორი მასრა. დაზარალებული ს. თ-ძე თავის ჩვენებებში მიუთითებს, რომ სროლების შემდეგ გ. ო-შვილმა მიიღო დაჭრილთან და იარაღის კონდახი ჩაართვა თავში. საგულისხმოა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებულია თოფის დაზიანებული კონდახი და მისი ნატეხები. აღნიშნული გარემოებები ნათლად მეტყველებს გ. ო-შვილის მიზანმიმართულ მოქმედებაზე და კასატორის მითითება "შეცდომის" შესახებ საფუძველს მოკლებულია.

მოწმე ლ. ხ-ია განმარტავს, რომ დაინახა, როგორ უმოწყალოდ სცემდა დაახლოებით თხუთმეტი ბიჭი ერთს. იქვე იყო ს. თ-ძეც, რომელსაც წიხლი ჩაართყეს მუცელში. მოგვიანებით იქ გაჩერდა ავტომანქანა, საიდანაც გადმოათრეს მ. მ-ძე და სცემდნენ, მათ შორის -ხელჯობითაც. ინციდენტის გამო შეიყარა ხალხი და გამოიძახეს პოლიცია.

აღსანიშნავია, რომ ლ. ხ-იას ჩვენებები ემთხვევა ს. თ-ძის მიერ გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზი უდავოდ ადასტურებს გასროლების დროს შემთხვევის ადგილზე არაერთი პირის ყოფნას. აღნიშნულზე მიუთითებს მოწმე ა. რ-შვილიც, რომელიც განმარტავს, რომ გასროლებისას შემთხვევის ადგილზე ხალხი იყო და "გამოკვეთილად" ვერ იტყვის, მ. მ-ძე მარტო იდგა თუ არა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ხალხის თავშეყრის ადგილზე სანადირო თოფიდან არაერთი გასროლა ცხადად მეტყველებს არაერთი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნაზე. მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენაზე მიუთითებს დაჭრილი და ძირს დავარდნილი ადამიანისათვის იარაღის კონდახის თავში ჩართყმაც.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ს. თ-ძის სასარგებლოდ მსჯავრდებულთათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2000 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში, კერძოდ: თავის სამოქალაქო სარჩელში ს. თ-ძე აღნიშნავს, რომ გ. ო-შვილის, თ. ჟ-ძის, დ. ქ-შვილის, ზ. და ლ. მ-შვილების, შ. ჩ-შვილის, უ. და ვ. ქ-შვილების ქმედებით მიადგა ფიზიკური ზიანი 1000 ლარის ოდენობით.

სასამართლო სხდომაზე ს. თ-ძემ მხარი დაუჭირა თავის სამოქალაქო სარჩელს, მაგრამ ორივე ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულებს ს. თ-ძის სასარგებლოდ დააკისრა 2000 ლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამრიგად, სასამართლომ მსჯავრდებულებს დააკისრა დაზარალებულის მიერ მოთხოვნილ თანხაზე მეტის გადახდა და თან სხვა სახის ზიანის ასანაზღაურებლად.

აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია ს. თ-ძის მიერ მოთხოვნილი ფიზიკური ზიანის ოდენობის განსაზღვრა, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს გ. ო-შვილის, ზ. მ-შვილის, ლ. მ-შვილის, ვ. ქ-შვილის, უ. ქ-შვილის, თ. ჟ-ძის, შ. ჩ-შვილის და დ. ქ-შვილისათვის დაზარალებულ ს. თ-ძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულებების საფუძველზე მსჯავრდებულები -ზ. მ-შვილი და უ. ქ-შვილი შეწყალებულ იქნენ და გათავისუფლდნენ საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ზ. მ-შვილისა და უ. ქ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ", "დ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილით, 568-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ო-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულებების საფუძველზე მსჯავრდებულების -ზ. მ-შვილისა და უ. ქ-შვილის მიმართ, მათი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი გაუქმდეს გ. ო-შვილის, ზ. მ-შვილის, ლ. მ-შვილის, ვ. ქ-შვილის, უ. ქ-შვილის, თ. ჟ-ძის, შ. ჩ-შვილის და დ. ქ-შვილისათვის დაზარალებულ ს. თ-ძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს.

მსჯავრდებულ დ. ქ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყოს ბრალდებულის სახით დაკავების დღიდან -2008 წლის 16 მარტიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის -გ. ო-შვილისათვის დაზარალებულ ს. თ-ძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 5 000 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის
გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა**

**განსახილველად გადაცემა სამოქალაქო
სამართლისწარმოების წესით**

განჩინება

#39¹-08

19 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ზ-ს დამცველის, ადვოკატ ლ. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივლისის განაჩენით, ა. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. იმავე განაჩენით ა. ზ-ს დაზარალებულ ნ. გ-ს სასარგებლოდ დაეკისრა მისი ქმედებით მიყენებული ქონებრივი ზიანის -ავტომანქანის ღირებულების შესაბამისი 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი -9130 ლარის ანაზღაურება, ასევე მატერიალური ზარალის -2003 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის 20 ივლისის ჩათვლით, 3 წლისა და 10 თვის განმავლობაში ავტომანქანის ქირავნობიდან მიუღებელი შემოსავლის -9200 აშშ დოლარის ეკვივალენტი -16744 ლარის ანაზღაურება, გარდა ამისა, დამატებით ავტომანქანის აკუმულატორის საყიდლად ნასესხები თანხის -130 ლარის, აგრეთვე, მორალური და ფიზიკური ზიანის ასანაზღაურებლად 5000 აშშ დოლარის შესაბამისი 9130 ლარის გადახდა, სულ -35134 ლარის ანაზღაურება.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგისათვის:

2004 წლის აგვისტოში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ნ. გ-მ გადაწყვიტა, გაექირავებინა თავის საკუთრებაში მყოფი სატვირთო ავტომანქანა "გაზ-53", სახელმწიფო ნომრით რის შესახებაც მან შესაბამისი განცხადება გამოაქვეყნა გაზეთ "სიტყვა და საქმეში".

იმავე წლის სექტემბერში, ზუსტი დრო უცნობია, აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა ა. ზ-ი, რომელიც დაუკავშირდა ნ. გ-ს და გამოთქვა სურვილი, დაექირავებინა მისი ავტომანქანა. მოლაპარაკების მიზნით, ა. ზ-ი შეხვდა ნ. გ-ს ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ბინაში, ქ. თბილისი, სადაც ისინი შეთანხმდნენ, რომ ა. ზ-ი ნ. გ-ს ავტომანქანას იქირავებდა თვეში 200 აშშ დოლარად. ამასთან, შეთანხმების მიხედვით, ნ. გ-სა და ა. ზ-ს შორის ნოტარიული წესით უნდა გაფორმებულიყო ქირავნობის ხელშეკრულება, რა დროსაც იპოთეკით დაიტვირთებოდა ამ უკანასკნელის რაიმე სახის უძრავი ან მოძრავი ქონება, რაც გახდებოდა იმის გარანტი, რომ ქირავნობის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე ა. ზ-ი ნ. გ-ს ავტომანქანას დაუბრუნებდა გამართულ და მუშა მდგომარეობაში. ნ. გ-ს კუთვნილი ავტომანქანა "გაზ-53", შესანახად იდგა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ . . . , ჯ. ხ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში. ვინაიდან ავტომანქანას ესაჭიროებოდა ახალი აკუმულატორი, მის შესამენად ა. ზ-მ ნ. გ-სგან სესხად მიიღო 130 ლარი, რომლის გადახდასაც შეჰპირდა პირველივე ქირის გადახდასთან ერთად.

ა. ზ-მ ნ. გ-სგან მიიღო ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და, შესაბამისად, უფლება, დაეკომპლექტებინა ავტომანქანა, ემართა იგი და ჩაეყვანა ქ. თბილისში სათანადო დოკუმენტების გასაფორმებლად.

ა. ზ-მ ნ. გ-ს ავტომანქანა "გაზ-53", რომელიც იმყოფებოდა მის მართლზომიერ მფლობელობაში, ავტომანქანის მესაკუთრესთან შეუთანხმებლად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, 2004 წლის შემოდგომაზე, ზუსტი დრო უცნობია, ჩააბარა დედოფლისწყაროში მდებარე ჯართის მიმღებ პუნქტში 300 ლარად, ხოლო აღნიშნული თანხა მიითვისა, რითაც დაზარალებულ ნ. გ-ს მიაყენა 9130 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. ზ-მ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; "დაკავებისას მისთვის არ განუმარტავთ კანონით მინიჭებული უფლებები და არც განაჩენის ასლი ჩაჰბარებია, თუმცა, ზოგადად, მისთვის ცნობილი იყო, რომ ბრალს სდებდნენ სხვისი ქონების მითვისებაში, რასაც არ ეთანხმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ ა. ზ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივლისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: განაჩენი გაუქმდა სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ერთ ნაწილში, კერძოდ, დაზარალებულისათვის მორალური და ფიზიკური ზიანის (5000 აშშ დოლარის, შესაბამისად - 9130 ლარის) ანაზღაურების ნაწილში. ამასთან, ა. ზ-ს ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), რისთვისაც მას სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. ზ-ს დამცველმა ლ. გ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ ა. ზ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლისსამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას, ხოლო სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტისას არასწორად იქნა გამოყენებული სამოქალაქო სამართლის ნორმები. "კასატორის განმარტებით, სასამართლო საქმის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულისა და მისი ახლობლების ჩვენებებს, ასევე უსაფუძვლოდ უარყო განსასჯელ ა. ზ-ს ჩვენება და საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დასტურდებოდა ა. ზ-ს უდანაშაულობა. ქონებრივი ზიანის განსაზღვრისას სასამართლომ არ გამოიყენა საშუალო-საბაზრო ფასების ინდექსაცია, ხოლო ანაცდენი სარგებელი გამოიანგარიშა 2003 წლის ოქტომბრიდან, მაშინ, როდესაც ნ. გ-სა და ა. ზ-ს ურთიერთობა დაიწყო 2004 წლის შემოდგომიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ზ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულ ა. ზ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, რადგან საამისოდ საქმეში არ მოიპოვება სათანადო საფუძველი, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნა არის დაუსაბუთებელი. ა. ზ-ს მიმართ შერაცხული ბრალდება მის მიერ მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით თაღლითობის ჩადენის თაობაზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), სარწმუნოდ არის დადასტურებული საქმეში არსებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ მოიპოვება სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ექვევმ დააყენებდა სასამართლოს დასკვნებს ა. ზ-ს ბრალეულობის თაობაზე. ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება -მსჯავრდებულის მიერ სატვირთო ავტომანქანის ქირავნობასთან დაკავშირებით შეთანხმების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ა. ზ-სათვის დაზარალებულ ნ. გ-ს სასარგებლოდ 16744 ლარის, აგრეთვე, აღნიშნული ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად 9130 ლარის დაკისრების თაობაზე -დაუსაბუთებელია. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ავტომანქანის ქირავნობის თაობაზე მსჯავრდებულ ა. ზ-სა და დაზარალებულ ნ. გ-ს შორის შეპირი შეთანხმება შედგა 2004 წლის სექტემბერში და იგი არ ყოფილა განსაზღვრული რაიმე ვადით. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, ქირავნობის ღირებულების -თვეში 200 ლარის -გადახდა უნდა დაწყებულიყო 2004 წლის ოქტომბრიდან, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე, ზუსტი დრო დაუდგენელია (სავარაუდოდ, არა უგვიანეს 2004 წლის ნოემბრისა), ა. ზ-მ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ავტომანქანა ჩააბარა ჯარტის მიმღებ პუნქტში, რა დროიდანაც ქირავნობის საგანი აღარ არსებობდა. ამასთან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. გ-სათვის უკვე 2005 წლის იანვარში გახდა ცნობილი ა. ზ-ს მიერ მისი ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების შესახებ, რის თაობაზეც მან განცხადებით მიმართა პოლიციას და რომლის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება ა. ზ-ს მიმართ. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული შეთანხმების შეუსრულებლობით მიყენებული მატერიალური ზიანი გამოთვალა 2003 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის ივლისის ჩათვლით, ესე იგი ა. ზ-ს მიმართ განაჩენის გამოტანის დღემდე, 16744 ლარის ოდენობით, რაც ძალზე გაუგებარია, ვინაიდან, სხვა ყველაფერთან ერთად, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე და 414-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ასევე დაუსაბუთებელია, გარდა დაზარალებულ ნ. გ-ს განცხადებისა, სხვა რომელი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეფასდა მისი კუთვნილი ავტომანქანის ღირებულება 9130 ლარად, რომლის გადახდაც ა. ზ-ს დაეკისრა, თუმცა მნიშვნელოვანი ზიანის არსებობა უდავოა, რადგან დადასტურებულია, რომ ხსენებული ავტომანქანის ჯართის სახით ჩაბარებისას ა. ზ-ს 300 ლარი გადაუხადეს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე გადაეცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად, რა დროსაც მხარეებს მიეცემა შესაძლებლობა, თანაბარ პირობებში ამტკიცონ თავიანთი პოზიციები სადავო საგნის თაობაზე.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ა. ზ-სათვის დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით -არის ზედმეტად მკაცრი, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს მისი ქმედებისათვის სასჯელის მაქსიმალური ზომა იყო თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, ხოლო ა. ზ-ი პირველად არის სამართალში, წარსულში კი უარყოფითად არ ხასიათდება, რის თაობაზეც არც პირველი ინსტანციის სასამართლოს გაუმახვილებია ყურადღება და რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სასჯელის დანიშვნისას. აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, ა. ზ-ს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით -უნდა შეუმცირდეს 1 წლით და საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ა. ზ-ს სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-4 ნაწილითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ზ-ს დამცველის, ადვოკატ ლ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სამოქალაქო მოსარჩელის -ნ. გ-ს მოთხოვნა მის სასარგებლოდ მსჯავრდებულ ა. ზ-სათვის ავტომანქანის მისაკუთრებით მიყენებული ქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად 9130 ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის (2003 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის 20 ივლისის ჩათვლით ავტომანქანის ქირაფნობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავლის გათვალისწინებით) ასანაზღაურებლად 16744 ლარის დაკისრების თაობაზე, გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე გადაეცეს შესაბამის სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

მსჯავრდებულ ა. ზ-ს იმავე განაჩენით დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 5 წლით -შეუმცირდეს 1 წლით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორალური ზიანის ასანაზღაურების დაკისრება

განჩინება

#356-აპ-09

30 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ უ. შ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენზე უ. შ-შვილისა და უ. შ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენით უ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება და განზრახ მკვლელობა;

ამავე განაჩენით უ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 14 თებერვალს უ. შ-შვილი სტუმრად იმყოფებოდა სიღნაღის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ე. შ-შვილის საცხოვრებელ სახლში, სადაც ასევე იმყოფებოდნენ ამავე სოფელში მცხოვრებნი, მათ შორის -თ. ტ-შვილი. მათ სუფრასთან დალიეს ალკოჰოლური სასმელი და დათვრნენ. დაახლოებით 18 საათზე უ. შ-შვილი და თ. ტ-შვილი გავიდნენ სახლთან გამავალ საავტომობილო გზაზე, სადაც მათ შორის დაწყებული კამათი გადაიზარდა ჩხუბში. განაწყენებულმა უ. შ-შვილმა საქმრედან ამოიღო პაპის -უ. შ-შვილის კუთვნილი, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და მოკვლის მიზნით ესროლა თ. ტ-შვილს, რომელიც დაეცა მიწაზე. ამ დროს სახლიდან გამოვიდნენ სუფრის წევრები -გ. რ-შვილი და გ. ე-შვილი, რომლებმაც შეძლეს უ. შ-შვილისათვის იარაღის წართმევა. სროლის შედეგად თ. ტ-შვილმა მიიღო ბრმა ჭრილობა მუცლის წინა კედელზე, რამაც გამოიწვია სისხლნაკლებობა და მისი სიკვდილი.

2003 წლის 1 აგვისტოს უ. შ-შვილმა შეიძინა ბულგარული წარმოების „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და მისთვის განკუთვნილი ვაზნები, რაზედაც შსს-ს მიერ იმავე დღეს გაცა 2006 წლის 1 აგვისტომდე იარაღის შენახვის უფლება. ამ ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ უ. შ-შვილი მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტსა და მისთვის განკუთვნილ ვაზნებს.

აღნიშნული ქმედებისათვის უ. შ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო უ. შ-შვილს -ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და უ. შ-შვილს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. ტ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 8 388 ლარის გადახდა. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 14 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. ტ-შვილმა და მსჯავრდებულმა უ. შ-შვილმა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მოითხოვა უ. შ-შვილისათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრება, ხოლო მსჯავრდებულმა უ. შ-შვილმა -სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულ უ. შ-შვილის ადვოკატი რ. ა-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან ემყარება დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; საქმის წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით, რის გამოც ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენით გაუქმებასა და უ. შ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 113-ე მუხლით.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. ტ-შვილი შესაგებლით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას იმ მოტივით, რომ გარდაცვლილი მსჯავრდებულს არც კი მიჰკარებია, მის წინააღმდეგ არ გამოუყენებია იარაღი ან სხვა საგანი; ფიზიკო-ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, თ. ტ-შვილს ჭრილობა მიყენებული აქვს არა ახლო მანძილიდან, რაც ადასტურებს უ. შ-შვილის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენას და გამორიცხავს მისი ქმედების სსკ-ის 113-ე მუხლით დაკვალიფიცირების შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ

უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეშია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომლებიც ობიექტურად შეფასდა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

კასატორი მოითხოვს უ. შ-შვილის ქმედების სსკ-ის 113-ე მუხლით დაკვალიფიცირებას, მაგრამ ამ მოთხოვნის უსაფუძვლობაზე არაერთი ექსპერტიზის დასკვნაც მეტყველებს, კერძოდ, უ. შ-შვილისა და აწ გარდაცვლილ თ. ტ-შვილის ტანსაცმელზე ურთიერთგარდამავალი ბოჭკოს მიკრონაწილაკები არ აღმოჩნდა, ხოლო სროლა ნაწარმოებია არა ახლო -სულ მცირე 80 სმ-ზე მეტი მანძილიდან.

ამასთან, საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურებას არ ითვალისწინებს. ამავე კოდექსის 30-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს. ამრიგად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს უ. შ-შვილისათვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 5 000 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში. რაც შეეხება ფიზიკურ ზიანს -დაკრძალვისა და საფლავის მოწყობისათვის ა. ტ-შვილის სასარგებლოდ 3 388 ლარის გადახდის მსჯავრდებულისათვის დაკისრებას, გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში კანონიერია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდა სამოქალაქო სარჩელის საკითხისა, სხვა ნაწილში, მათ შორის -უ. შ-შვილის მსჯავრდების ნაწილში სააპელაციო პალატის განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ უ. შ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენი გაუქმდეს უ. შ-შვილისათვის დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. ტ-შვილის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 5 000 ლარის დაკისრების ნაწილში;

სააპელაციო პალატის განაჩენი უ. შ-შვილისათვის დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. ტ-შვილის სასარგებლოდ ფიზიკური ზიანის ასანაზღაურებლად 3 388 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის -უ. შ-შვილის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პრეიუდიციები

განჩინება

#514-აპ-08

29 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ზ. შ-ის, ჯ. მ-ის, პ. მ-ის, თ. პ-ის და ლ. ყ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის განაჩენზე ზ. შ-ის, ჯ. მ-ის, პ. მ-ის, თ. პ-ის, ლ. ყ-ის და ზ. შ-ის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 სექტემბრის განაჩენით ზ. შ-ლი, ჯ. მ-ლი, პ. მ-ლი, თ. პ-ლი, ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 224-ე მუხლით და მიესაჯათ: ზ. შ-ლს -15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 თვე და განესაზღვრა 15 წლით და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა; ჯ. მ-ლს -10 წლით; პ. მ-ლს -15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 თვე და განესაზღვრა 15 წლით და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა; თ. პ-ლს -10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წელი და განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა; ლ. ყ-ლს -8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით ზ. შ-ლი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის "გ", "დ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. შ-ლს სასჯელის ათვლა დაეწყო 2004 წლის 8 მარტიდან, ჯ. მ-ლს -2004 წლის 29 ივნისიდან, პ. მ-ლს -2004 წლის 8 მარტიდან, თ. პ-სა და ლ. ყ-ლს -2003 წლის 11 დეკემბრიდან, ხოლო ზ. შ-ლს -2004 წლის 7 თებერვლიდან.

გარდა აღნიშნულისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელებს -გ. ფ-ლს, შ. გ-ლს, ს. შ-სა და ნ. ო-მეს შორის.

განაჩენით დადგენილია, რომ ზ. შ-მა, ჯ. და პ. მ-მა შექმნეს მყარი, შეიარაღებული ჯგუფი -ბანდა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ და მონაწილეობდნენ განხორციელებულ თავდასხმებში; თ. პ-მა და ლ. ყ-მა ჩაიდინეს ბანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა, ხოლო ზ. შ-მა -ქურდობა ჯგუფურად და არაერთგზის, საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის. ყოველივე კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის ივლისში, რიცხვი დაუდგენელია, ზ. შ-ლი და ჯ. მ-ლი დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა, რომელსაც ორივე უხელმძღვანელებდნენ. მათ ბანდიტურ ჯგუფში ჩააბეს ქურდობისათვის და მარცვისათვის არაერთხელ ნასამართლევ პ. მ-ლი, თ. პ-ლი, ლ. ყ-ლი და ნ. ო-მე.

აღნიშნულმა ჯგუფმა დანაშაულებრივი გზით მოიპოვა და დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღები, მათ შორის ერთლულიანი და ორლულიანი სანადირო თოფები, რომელთაგან დაამზადეს ატიპიური ცეცხლსასროლი იარაღები, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, „ფ-1“ ტიპის საბრძოლო ხელყუმბარა, დაამზადეს ნიღბები, შეიძინეს თოკები და საიზოლაციო ლენტები.

მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ და დამზადებულ ცეცხლსასროლ იარაღს დანაშაულებრივი ჯგუფი, ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა, ატარებდა და გადაზიდავდა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის ადგილამდე.

2003 წლის 30 ივლისს ზ. შ-ლი და ჯ. მ-ლი დაუკავშირდნენ დაუდგენელ პირს და იმავე დღეს, 2 საათზე, ატიპიური ცეცხლსასროლი იარაღით და პისტოლეტით შეიარაღებულები თავს დაესხნენ ქ. მ-ის ოჯახს. სახლში იმყოფებოდა ქ. მ-ლი, რომელსაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით გასტაცეს „კორფუჯის“ მარკის ტელევიზორი, მამაკაცის შავი ტყავის ქურთუკი და მიიძალნენ.

აღნიშნული ტელევიზორი ზ. შ-მა, ტყავის ქურთუკთან ერთად, გადასცა ჯ. მ-ლს. ამ უკანასკნელმა ტელევიზორი აჩუქა ნ. მ-ლს, რომლისგანაც ამოიღეს, ხოლო ქურთუკი ვერ იქნა აღმოჩენილი.

2003 წლის 28 ნოემბერს ზ. შ-ლი, თ. პ-ლი, ლ. ყ-ლი და პ. მ-ლი, წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღებულები იყვნენ რა ატიპიური ცეცხლსასროლი იარაღით, პისტოლეტით და ხელყუმბარით, სახეზე ნიღბაფარებულები თავს დაესხნენ ხ-ის რაიონში მცხოვრებ მ. კ-პის ოჯახს. სახლში ამ დროს იმყოფებოდნენ მ. კ-მე და მისი მეუღლე -კ. გ-ვა. დაზარალებულების მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს 700 აშშ დოლარი და 460 ლარი, სხვადასხვა ნივთები და მიიძალნენ.

2004 წლის 5 იანვარს, ღამით, ზ. შ-ლი, პ. და ჯ. მ-ები, დაუდგენელ პირთან ერთად, შეიარაღებული იყვნენ რა ატიპიური ცეცხლსასროლი იარაღებით, „მაკაროვით“, „ნაგანით“ და

ხელყუმბართ, სახეზე ნიღაბფარებულები თავს დაესხნენ გ-ის რაიონში მცხოვრებ ვ. ბ-ის ოჯახს, სადაც თავდასხმისას იმყოფებოდნენ: კ. და ნ. ბ-ები, შ. მ-ლი და მ. გა-ლი. თავდამსხმელებმა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს ფული და სხვადასხვა ნივთები, მათ შორის - ორლულიანი სანადირო თოფი და ავტომანქანა, რომლითაც მიიძალნენ.

2003 წლის 28 დეკემბერს ზ. შ-ლი, ჯ. და პ. მ-ები, დაუდგენელ პირთან ერთად, შეიარაღებული იყვნენ რა ატიპიური ცეცხლსასროლი იარაღებით, პისტოლეტით და ხელყუმბართ, თავს დაესხნენ გ-ის რაიონში მცხოვრებ დ. მ-ის ოჯახს. თავდასხმისას სახლში იმყოფებოდნენ ე. მ-რი, დ. მ-ლი და ამ უკანასკნელის ნათესავი დ. ფ-რი. თავდამსხმელებმა ე. მ-სა და დ. ფ-რს გასტაცეს ოქროს საყურეები, ასევე გაიტაცეს ვიდეომანქანა, მობილური ტელეფონი და მიიძალნენ.

2003 წლის 7 ნოემბერს ზ. შ-ლი, თ. პ-ლი, ჯ. მ-ლი და ნ. ო-მე თავს დაესხნენ ქ. გ-ში მცხოვრებ გ. გ-ლს, მისსავე საცხოვრებელ ბინაში. თავდასხმისას ბოროტმოქმედები შეიარაღებული იყვნენ დანებით და მოკვლის მუქარით გაიტაცეს ფული, საათები და მიიძალნენ შემთხვევის ადგილიდან.

2003 წლის 27 სექტემბერს, ღამით ზ. შ-მა და ზ. შ-მა შეაღწიეს გ-ს რაიონში მცხოვრებ გ. ც-მის ბინის ეზოში და სადგომიდან გამოიყვანეს ორი სული მსხვილფეხა პირუტყვი და გადაიყვანეს სოფ. ხ-ში მცხოვრებ ს. შ-ის საქონლის სადგომში, ხოლო მეორე დღეს, ამ უკანასკნელის ხელშეწყობითა და დახმარებით, რომელსაც გაუმხილეს, თუ რა გზით ჰყავდათ საქონელი მისაკუთრებული, დაკლეს საქონელი და ხორცი გაყიდეს ქ. თბილისში 500 ლარად.

2003 წლის მარტში, რიცხვი დაუდგენელია, ზ. შ-ლი, თ. პ-ლი და ზ. შ-ლი დაუკავშირდნენ კ-ის რაიონში მცხოვრებ შ. გ-ლსა და გ-ის რაიონის მცხოვრებ გ. ფ-ლს. ამ უკანასკნელებმა შესთავაზეს სოფ. დ-ში მცხოვრებ ნ. ტ-ისა და ე. შ-ის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქურდობა, რაზეც შეთანხმდნენ. იმავე ღამით, შ. გ-მა თავისი "ვაზ-2106" მარკის ავტომანქანით ზ. შ-ლი, თ. პ-ლი და ზ. შ-ლი წაიყვანა სოფ. დ-ში, მიანიშნა ნ. ტ-სა და ე. შ-ლის საქონლის სადგომზე. ამის შემდეგ მათ უკანონოდ შეაღწიეს სადგომში, საიდანაც, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ფარულად გაიტაცეს ნ. ტ-ის ძროხა, მოზვერი და ე. შ-ლის მოზვერი. მოპარული პირუტყვი, შეთანხმებისამებრ, მიიყვანეს გ. ფ-ის სახლში, გ-ის რაიონის სოფ. ხ-ში და ორი დღის შემდეგ გადაიყვანეს მარნეულში, სადაც საკოლმეურნეო ბაზარზე მიჰყიდეს დაუდგენელ პირს 900 ლარად.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა - ზ. შ-მა, პ. მ-მა, ჯ. მ-მა, თ. პ-მა და ლ. ყ-ის ადვოკატმა დ. დ-მა.

ზ. შ-მა და პ. მ-მა მოითხოვეს მათი ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის შეცვლა, ჯ. მ-მა - გამართლება, თ. პ-მა ითხოვა სასჯელის შემსუბუქება, ხოლო ლ. ყ-ის ადვოკატმა - გამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ ბრალად შერაცხული ქმედებისათვის ლ. ყველაშვილი უკვე გასამართლებული იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: თ. პ-სა და ლ. ყ-ლის ქმედებები სსკ-ის 224-ე მუხლიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, ხოლო ზ. შ-ლის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებითა და მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით. სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

ზ. შ-ლი და თ. პ-ლი თავის საჩივრებში აღნიშნავენ, რომ სსკ-ის 224-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება არ ჩაუდენიათ, რის გამოც ითხოვენ მათი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას და სასჯელის შემსუბუქებას.

პ. და ჯ. მ-ები ითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო ლ. ყ-ლი თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ბანდიზტიზმი არ ჩაუდენია, მონაწილეობდა ყაჩაღური თავდასხმის მხოლოდ ერთ ეპიზოდში და მისი ქმედების სსკ-ის 224-ე მუხლით დაკვალიფიცირება კანონის უხეში დარღვევაა.

აღნიშნულის გამო, ლ. ყ-ლი ითხოვს მისი ქმედების ისევ სსკ-ის 179-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას და სასჯელად 6 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების შესაბამისად, თ. პ-ლი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

გარდა ამისა, პ. მ-ლი 2007 წლის 25 აპრილს გასამართლა მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სსკ-ის 378-ე მუხლით და განაჩენთა ერთობლიობით მიუსაჯა 13 წლით, 3 თვით და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 25 აპრილიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ლ. ყ-ისა და პ. მ-ის მიმართ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 21 მაისს ლ. ყ-ლი და თ. პ-ლი გაასამართლა მ. კ-მის ოჯახზე თავდასხმისათვის. ლ. ყ-ლს სსკ-ის 179-ე მუხლით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა მსჯავრდებულს დაეწყო 2003 წლის 11 დეკემბრიდან. განაჩენი ლ. ყ-ლის მიმართ უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2004 წლის 8 სექტემბრისა და უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება უარყო ორივე ინსტანციის სასამართლომ იმ მოტივით, რომ მ. კ-მის ოჯახზე ბანდის თავდასხმაში მონაწილეობდნენ ლ. ყ-ლი და თ. პ-ლი და მათ მიერ ჩადენილია სსკ-ის 224-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ამის გამო, ლ. ყ-ისა და თ. პ-ის მიმართ გასაჩივრებულ განაჩენზე უნდა იმსჯელოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ, სსკ-ის 113-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. საბრალდებო დასკვნაშიც მითითებულია, რომ ბრალად შერაცხული ქმედებისათვის ლ. ყ-ლი და თ. პ-ლი გასამართლებული იყვნენ ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ, 2004 წლის 21 მაისს.

ამდენად ცხადია, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ უარყო არა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არამედ მათი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 113-ე მუხლი არ გულისხმობს მხოლოდ სამართლებრივი შეფასების უარყოფის შესაძლებლობას. ამ მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუცილებელია არა მხოლოდ სამართლებრივი შეფასების, არამედ ფაქტობრივი გარემოებების უარყოფაც, რაც, როგორც აღინიშნა, არ მომხდარა. სწორედ ფაქტობრივი გარემოებების უარყოფა იწვევს სამართლებრივი შეფასების კორექტირებას და არა პირიქით. გარდა ამისა, სსკ-ის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ "სხვა სისხლის სამართლის საქმეში" იგულისხმება არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ შინაარსობრივადც სხვა სისხლის სამართლის საქმე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ლ. ყ-ლი მსჯავრდებულია ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ლ. ყ-ლის სსკ-ის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და მის მიმართ შეწყდეს საქმე. ამასთან, პალატა მხედველობაში იღებს, რომ ლ. ყ-ლი იმავე ქმედებისათვის მსჯავრდებულია ხაშურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 მაისის განაჩენით და სსკ-ის 179-ე მუხლით დანიშნული აქვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელსაც იხდის 2003 წლის 11 დეკემბრიდან.

ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე თ. პ-ლი შეწყალბულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდინისაგან, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გარდა ამისა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მყარი შეიარაღებული ჯგუფი შექმნეს ზ. შ-მა და ჯ. მ-მა, რომლებმაც ბანდიტურ ჯგუფში, სხვა პირებთან ერთად, ჩააბეს პ. მ-ლიც. შესაბამისად, არასწორია პ. მ-ლის მსჯავრდება ბანდის შექმნის ან მისი ხელმძღვანელობისათვის. ამასთან უდავოდ დადგენილია, რომ პ. მ-ლი მონაწილეობდა ბანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პ. მ-ლის ქმედება სსკ-ის 224-ე მუხლიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - ზ. შ-ლის მსჯავრდების ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან არაერთი უტყუარი მტკიცებულებით დასტურდება და ექვს არ იწვევს ზ. შ-ლის, ჯ. მ-ლის და ზ. შ-ლის მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რისთვისაც დანიშნული აქვთ სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ჟ" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ", "დ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების -ზ. შ-ისა და ჯ. მ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ პ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს, ხოლო ლ. ყ-ლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841-ე განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებულ თ. პ-ლის მიმართ, მისი შეწყალების გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის;

პ. მ-ლის ქმედება 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 224-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს მოქმედი რედაქციის სსკ-ის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიესაჯოს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის განაჩენი გაუქმდეს ლ. ყ-ლის მსჯავრდების ნაწილში და მის მიმართ საქმე შეწყდეს;

მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ლ. ყ-ლი მსჯავრდებულია ხაშურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 მაისის განაჩენით და სსკ-ის 179-ე მუხლით დანიშნული აქვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელსაც იხდის 2003 წლის 11 დეკემბრიდან;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და პ. მ-ლს განესაზღვროს 12 წლით და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ექსტრადიცია

განჩინება

#1505-აპ-08

3 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ი-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით კ. ი-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კ. ი-ძის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

კ. ი-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა 5,45 მმ კალიბრის "კალაშნიკოვის" კონსტრუქციის ავტომატი 2 მჭიდით და 39 ვაზნით, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავისი საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოში. იგი იქვე უკანონოდ ინახავდა 6,8 გრამ "მარიხუანას" და აღნიშნული ნივთები პოლიციელებმა ამოიღეს 2003 წლის 26 ნოემბერს ჩატარებული ჩხრეკისას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა და მოითხოვეს სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, კ. ი-ძის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა. მსჯავრდებულს მოსახდელად განესაზღვრა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი -2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 14 სექტემბრიდან -საქართველოში ექსტრადირების დღიდან.

კასატორი -მსჯავრდებული კ. ი-ძე თავის საჩივარში მიუთითებს, რომ ავსტრიაში დააკავეს 2004 წლის 14 ოქტომბერს და სასჯელი მოიხადა 2008 წლის 1 სექტემბერს. მისი საქართველოში ექსტრადირება მოხდა ავსტრიის შესაბამისი სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით. კასატორის აზრით, მას ავსტრიაში დაკავების დრო -2004 წლიდან 2008 წლამდე უნდა ჩათვალოს სასჯელის მოხდის ვადაში, "პატიმრობის შესახებ" კანონის, ასევე -სსკ-ის 62-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კ. ი-მე მოითხოვს სასჯელის მოხდისაგან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალები უტყუარად ადასტურებს კ. ი-მის მიერ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას, რასაც მსჯავრდებულები არ უარყოფს.

სსკ-ის 62-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელზეც აპელირებს კასატორი, ითვალისწინებს საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის განაჩენის აღსრულების მიზნით პირის გადაცემისას სასჯელის ჩათვლის წესს, რასაც არაფერი აქვს საერთო განსახილველ საკითხთან და აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის მოტივი უსაფუძვლოა.

ამასთან, კ. ი-მე საქმის წინასწარი გამოძიებისას დააკავს 2003 წლის 26 ნოემბერს და იგი გათავისუფლდა იმავე წლის 29 ნოემბერს, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

გარდა ამისა, საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსსკ-ის 162-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში პატიმრობის ვადა ჩაითვლება დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად უნდა დადგინდეს.

მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ ავსტრიის რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულისათვის კ. ი-მის მიმართ განსაზღვრული სასჯელის ვადა იწურებოდა 2008 წლის 2 ივლისს და მისი საქართველოში ექსტრადირება გადაიდო ავსტრიის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდამდე. 2008 წლის 2 ივლისიდან, საქართველოში ექსტრადიციის მიზნით, კ. ი-მე იმყოფებოდა პატიმრობაში, შესაბამისად, მას დანიშნული სასჯელის ვადაში მოხდილად უნდა ჩაეთვალოს საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკავების დრო -3 დღე და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის ვადა - 2008 წლის 2 ივლისიდან იმავე წლის 14 სექტემბრამდე -2 თვე და 12 დღე, სულ -2 თვე და 15 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ი-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: კ. ი-მეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის -2 წლით თავისუფლების აღკვეთის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკავებისა და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო -2 თვე, 15 დღე და სასჯელის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 14 სექტემბრიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

#22^I

17 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,

ი. ტყეშელაშვილი

მონაწილეობით განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის -რ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ზ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ივლისის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე რ. მ-ანი, როგორც სომხეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი, 3.20 საათზე დააკავეს საქართველოში.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურიდან შევიდა შუამდგომლობა თანდართული საექსტრადიციო მასალებით რ. მ-იანის სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობის თანახმად, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველოს წარმომავალი სისხლის სამართლის საქმე, რომლის თანახმადაც, რ. მ-იანი იმხილება სახელმწიფო მოღვაწის მკვლელობის მცდელობის თანამონაწილედ წამქეზებლის სახით.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. მ-იანი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ს/რ სსკ-ის 34-ე, 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-6 პუნქტით, 235-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და სომხეთის რესპუბლიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 მაისის დადგენილებით მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ივნისის ბრძანებით ბრალდებულ რ. მ-იანს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით და შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2009 წლის 2 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა -რ. მ-იანმა და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-იანის 2009 წლის 16 ივნისის დადგენილების გაუქმება იმ მოტივით, რომ სომხეთში გამოძიება არაკანონიერად ჩატარდება, მასზე ხდება ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ამასთან იგი არის ოპოზიციური პარტიის წევრი, რის გამოც ავიწროებენ და აპირებს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ივლისის დადგენილებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-იანის 2009 წლის 16 ივნისის დადგენილება რ. მ-იანის სომხეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით დარჩა უცვლელად.

რ. მ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ზ-შვილი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ივლისის დადგენილების გაუქმებას. რ. მ-იანს მიეცეს დრო, რათა მის მიმართ გადაწყდეს პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების საკითხი, მით უმეტეს, რომ მის მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის 3-თვიანი ვადიდან ჯერ მხოლოდ 1 თვეა გასული.

საკასაციო პალატის სხდომაზე რ. მ-იანის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ფ-მემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა ადვოკატი გ. ზ-შვილი.

საკასაციო პალატის სხდომაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა -რ. მ-იანმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, მან იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ივლისის დადგენილების გაუქმება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორებმა -ი. ჩ-შვილმა და ბ. ბ-მემ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები, მათ იშუამდგომლეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ივლისის დადგენილების ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დადგენილება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საერთაშორისო თანამშრომლობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII-ე თავი. წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ რ. მ-იანი არის სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომლის მიმართაც სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველოს წარმომავალი სისხლის სამართლის საქმე,

რომლის თანახმად, რ. მ-იანი იმხილება სახელმწიფო მოღვაწის მკვლელობის მცდელობის თანამონაწილედ წამქეზების სახით. აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის, რ. მ-იანი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ს/რ სსკ-ის 34-ე, 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-6 პუნქტით და სსკ-ის 235-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და სომხეთის რესპუბლიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 მაისის დადგენილებით რ. მ-იანს აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვს დაპატიმრება და გამოცხადებულია ძებნა.

საკასაციო პალატა ეთანხმება დადგენილებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-იანის 2009 წლის 16 ივნისის დადგენილება რ. მ-იანის ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე, 256-ე, 259-ე მუხლის მოთხოვნებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რაც, საქართველოს სსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციის უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციის დაქვემდებარებულ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომ რ. მ-იანის ქმედებები შეესაბამება საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების დასჯადობას; მოქალაქეობის და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებს და პრინციპს „ნე ბის ინ იდემ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული დადგენილება შეესაბამება „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის არსებული 1997 წლის 3 მაისის „გადაცემის შესახებ“ ორმხრივი ხელშეკრულებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ივლისის დადგენილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ივლისის დადგენილება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის -თ. ბ-იანის 2009 წლის 16 ივნისის დადგენილება რ. მ-იანის სომხეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. გირაო

განჩინება

#175-აპ-09

27 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ა-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ბ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 371¹ მუხლით 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით -8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ბ. ა-ძეს სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 2 თვის ვადით.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულ ბ. ა-ძეს 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური, საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ბ. ა-ძის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება -დაპატიმრება გაუქმდა. ბ. ა-ძეს წინასწარ გამოძიებაში ყოფნის ვადა ჩათვალა სასჯელის მოხდის ვადაში და მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან -2008 წლის 9 ნოემბრიდან.

გაუქმდა ბ. ა-ძის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული გ. ა-ძის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების წილი -3000 ლარის წილი, მდებარე: ქ. ბათუმში, გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ბ. ა-ძის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ბ. ა-ძემ 2006 წლის 15-17 ნოემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას, სასამართლოს მისცა 2006 წლის 15 ივნისს წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენები-საგან განსხვავებული, არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება და სასამართლოს განუცხადა, რომ, მართალია, ის მიწვეული იყო დამსწრედ ნ. ჯ-ძის პირადი და ბინის ჩხრეკის დროს, მაგრამ მას საერთოდ არაფერი დაუნახავს, თუ რა ფხვნილი ან რა ნივთიერება ამოიღეს ნ. ჯ-ძის ბინის ჩხრეკისას; ჩხრეკის ოქმებზე ისე მოაწერა ხელი, რომ არ იცოდა, თუ რაზე აწერდა ხელს. აღნიშნული ქმედებით ბ. ა-ძემ სასამართლოს მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება, რითაც შეგნებულად შეუშალა ხელი მართლმსაჯულებას, რადგან 2006 წლის 15 ივნისს, წინასწარი გამოძიების დროს მოწმის სახით დაკითხვისას, აჩვენა, რომ დაინახა, თუ როგორ ამოიღო გამოძიებელმა ტახტის ქვემოდან ვერცხლისფერ ქაღალდში მოთავსებული, თეთრი ფერის ათი ქაღალდის პაკეტი მოყავისფრო ფხვიერი ნივთიერებით.

2007 წლის 6 მარტს ბ. ა-ძეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო -3000 ლარი. მიუხედავად აღკვეთის ღონისძიების ქვეშ ყოფნისა, ბ. ა-ძემ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, კერძოდ:

2008 წლის 19 მარტს ბ. ა-ძე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით დაენიშნა 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -4000 ლარი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მან განმეორებით უკანონოდ მოიხმარა ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერება, რაც 2008 წლის 29 ოქტომბერს ნარკოლოგიურ ცენტრში შემოწმებისას დაუდგინდა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ბ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 371¹ მუხლის I ნაწილით -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2008 წლის 29 ოქტომბრის ეპიზოდში) -8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ბ. ა-ძეს სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 2 თვის ვადით.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულ ბ. ა-ძეს 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანო-

ებში საქმიანობის, პასიური, საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ბ. ა-ძის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება -დაპატიმრება გაუქმდა. ბ. ა-ძეს წინასწარ გამოძიებაში ყოფნის ვადა ჩათვალა სასჯელის მოხდის ვადაში და მას სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან -2008 წლის 9 ნოემბრიდან.

გაუქმდა ბ. ა-ძის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული გ. ა-ძის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების წილი -3000 ლარის წილი, გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში.

მსჯავრდებულ ბ. ა-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენის გაუქმებას გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული უძრავი ქონების -სამი ათასი ლარის ოდენობის წილის სახელმწიფოსთვის გადაცემის ნაწილში და ყადაღის მოხსნას გ. ა-ძის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, მდებარე საცხოვრებელ სახლზე.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი გირაოს უზრუნველყოფისათვის გამოყენებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში არის უკანონო, რადგან სააპელაციო სასამართლომ არსებითად დაარღვია საპროცესო ნორმები და არასწორად გადაწყვიტა ხსენებული სამართლებრივი საკითხი; საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მესამე პუნქტში იმპერატიულად არის ნაჩვენები: "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში"; მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც დაადასტურებს გირაოს შემტანი პირის -გ. ა-ძის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ ბ. ა-ძის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემოდა გირაოს სახით შეტანილი, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების -3000 ლარის ოდენობის წილი; აღნიშნული ოქმის საქმეში არარსებობა ცალსახად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ გირაოს შეტანამდე გირაოს შემტანი პირი გ. ა-ძე არ გაუფრთხილებიათ იმის შესახებ, რომ ბ. ა-ძის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემოდა გირაოს უზრუნველყოფისათვის გამოყენებული უძრავი ქონების -3000 ლარის წილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ბ. ა-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ბ. ა-ძის აღიარებითი ჩვენებით; საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ბათუმის განყოფილების #3423065 დასკვნით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის განაჩენითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია მსჯავრდებულ ბ. ა-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის მითითებულ ნაწილში გაუქმებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ა-ძის ბრალდების საქმეზე ქუთაისის სააპელაციო პალატამ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, გ. ა-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წილი -3000 ლარის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანი პირის -გ. ა-ძის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ ბ. ა-ძის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი, მის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების წილი -3000 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენი უნდა გაუქ-

მდეს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, გ. ა-მის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების წილის -3000 ლარი, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და გ. ა-მის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში მდებარე საცხოვრებელ ბინას (47,2 კვ/მ-ს) უნდა მოეხსნას ყადაღა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ა-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განაჩენი გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, გ. ა-მის საკუთრებაში არსებული ბათუმში მდებარე უძრავი ქონების წილის -3000 ლარის, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და გ. ა-მის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში მდებარე საცხოვრებელ ბინას (47,2 კვ/მ-ს), მოეხსნას ყადაღა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაო

განჩინება

#155-აპ-09

22 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განაჩენზე გ. გ-მისა და გ. ხ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 მაისის განაჩენით:

1. გ. გ-მე გამართლდა სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და მე-3 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით (2007 წლის 29 ოქტომბრის 1-ლი ეპიზოდი) 4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და მე-3 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით (2007 წლის 29 ოქტომბრის მე-2 ეპიზოდი) -4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და მე-3 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით (2007 წლის 30 ოქტომბრის ეპიზოდი) -4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 273-ე მუხლით -ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. გ. გ-მეს განესაზღვრა 12 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

გაუქმდა გ. გ-მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ნ. წ-შვილის საკუთრებაში არსებული თელავის რაიონში მდებარე უძრავი ქონების წილი -2 000 ლარი, გადაეცა სახელმწიფოს;

2. გ. ხ-შვილი გამართლდა სსკ-ის 237-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და მე-3 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი -2 წელი, 6 თვე და განესაზღვრა 6 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2007 წლის 31 ოქტომბრიდან.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელებს - ი. მ-ელსა და ზ. ხ-ძეს შორის: ი. მ-ელს სსკ-ის 375-ე მუხლით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც გაუნახევრდა "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. ზ. ხ-ძეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

საბრალდებო დასკვნით გ. გ-ძემ ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა; მანვე ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე, ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

გ. ხ-შვილმა ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბრალდებო დასკვნით, მსჯავრდებულთა ქმედებები კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 29 ოქტომბერს გ. გ-ძე დაუკავშირდა ზ. ხ-ძეს და შეთანხმდნენ, რომ ლ. კ-ძის სახლის ეზოდან ფარულად გაეტაცებინათ ავზის თავსახური. აღნიშნული პირები მივიდნენ ლ. კ-ძის მეზობლად მცხოვრები მისი მაზლის - ი. კ-ძის სახლთან, გადავიდნენ მავთულბადეზე და შევიდნენ ეზოში, იქიდან კი გადავიდნენ ლ. კ-ძის ეზოში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ავზის 200 ლარად ღირებულ თავსახურს, რითიც დაზარალბულს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ბოროტმოქმედებმა აღნიშნული თავსახური ჩააბარეს ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტში, საიდანაც იგი ამოიღეს პოლიციელებმა.

ლ. კ-ძის სახლის ეზოდან გამოსვლის შემდეგ გ. გ-ძემ და ზ. ხ-ძემ ი. კ-ძის ეზოში შენიშნეს ელექტროსაჭრელი, ე.წ. "ბალგარკა", რომელსაც ფარულად დაეუფლნენ და მიჰყიდეს ქ. თელავში მცხოვრებ ზ. ნ-შვილს. ამ უკანასკნელისაგან ნაქურდალი ნივთი ამოღებულ იქნა.

2007 წლის 30 ოქტომბერს გ. გ-ძე დაუკავშირდა გ. ხ-შვილსა და ი. მ-ელს. ისინი შეთანხმდნენ, გაეჭურდათ ი. კ-ძის ბინა. იმავე დღეს, დაახლოებით 23 საათზე აღნიშნული პირები ავტომანქანით მივიდნენ დაზარალბულის სახლთან, სადაც გ. ხ-შვილი დარჩა ავტომანქანაში, ხოლო გ. გ-ძემ და ი. მ-ელმა გატეხეს კარები და შეაღწიეს ბინაში, საიდანაც გაიტაცეს სხვადასხვა ნივთი, მათ შორის - "კალაშნიკოვის" კონსტრუქციის ავტომატის 1160 და გლუვგულიანი სანადირო თოფის 133 ვაზნა. მათ დაზარალბულს მიაყენეს 2885 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი. ნაქურდალი ნივთები ბოროტმოქმედებმა გადამალეს გ. გ-ძის სახლის სარდაფში, საიდანაც ამოიღეს პოლიციელებმა.

გარდა ამისა, 2007 წლის 12 ივლისს, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის გ. გ-ძეს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 5 დღე-ღამით. იმავე წლის 4 აგვისტოს გ. გ-ძე ადმინისტრაციული წესით დააკავეს და გადაიყვანეს ნარკოლოგიურ განყოფილებაში, სადაც დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმდებელმა და მსჯავრდებულმა გ. გ-ძემ.

პროკურორმა მოითხოვა გ. გ-ძისა და გ. ხ-შვილის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 237-ე მუხლითაც და მათთვის სასჯელის გამკაცრება, ხოლო გ. გ-ძემ - სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება შეიცვალა და გ. გ-ძეს მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2007 წლის 29 ოქტომბრის 1-ლი ეპიზოდი) 4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2007 წლის 29 ოქტომბრის მე-2 ეპიზოდი) - 4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით (2007 წლის 30 ოქტომბრის ეპიზოდი) - 4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 273-ე მუხლით - ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად, გ. გ-ძეს გაუნახევრდა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული და გადაუხდელი ჯარიმა. მას საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და გადაუხდელი ჯარიმის ნახევარი.

გ. ხ-შვილს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით მიესაჯა 4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 3 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2007 წლის 31 ოქტომბრიდან.

გ. გ-ძის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ნ. წ-შვილის საკუთრებაში არსებული თელავის რაიონში მდებარე უძრავი ქონების წილი -2 000 ლარი, გადაეცა სახელმწიფოს.

კასატორი -მსჯავრდებული გ. გ-ძე თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ ბრალად შერაცხული ქმედებების ორ ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ცნობს, რის გამოც მოითხოვს განაჩენის მის სასიკეთოდ შეცვლას და სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს მისი უდანაშაულობის შესახებ, რადგან გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა საქმეში არსებულ არაერთ უტყუარ მტკიცებულებას, მათ შორის დაზარალებულების -ი. და ლ. კ-ძეების, მოწმეების -ზ. ნ-შვილის, ლ. კ-შვილის და თავად განსასჯელთა ჩვენებებს, ჩხრეკის, ამოღების, საგნის ამოსაცნობად წარდგენისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებს, რომელთა შესახებ ამომწურავად იმსჯელა სასამართლომ და გ. გ-ძისა და გ. ხ-შვილის მიმართ დაადგინა დასაბუთებული განაჩენი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. გ-ძის ბრალდების საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ნ. წ-შვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წილის -2 000 ლარის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას დაარღვია სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანი პირის -ნ. წ-შვილის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ გ. გ-ძის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წილის -2 000 ლარის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. წ-შვილის საკუთრებაში არსებულ თელავის რაიონში მდებარე საცხოვრებელ ბინას, უნდა მოეხსნას ყადაღა და გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დაყადაღებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი და სამართლიანია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განაჩენიდან გ. გ-ძისა და გ. ხ-შვილის მიმართ ამოირიცხოს მითითება დაყადაღებული, ნ. წ-შვილის კუთვნილი უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ და თელავის რაიონში მდებარე, ნ. წ-შვილის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინას მოეხსნას ყადაღა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაო

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-რის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ნოემბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ, სტაჟიორ გ. ძ-ძესა და მსჯავრდებულ გ. გ-რს შორის, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რომლის შესაბამისად, გ. გ-რი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად იმავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის, 4 თვის, 1 დღის ვადით და გ. გ-ურს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 4 თვისა და 1 დღის ვადით, საიდანაც 3 წლით თავისუფლების აღკვეთის პირობით მსჯავრად ჩათვლა 3 წლის გამოსაცდელი ვადით, დარჩა უცვლელად. მსჯავრდებულ გ. გ-რს დანიშნული სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის მოხდის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან - 2008 წლის 21 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა 2007 წლის 4 მაისიდან 2007 წლის 4 ივნისამდე დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო. იმავე განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ივნისის ბრძანება ყადაღის დადების შესახებ განაჩენის აღსრულების მიქცევამდე და საქართველოს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ა. ა-ოვას სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ახმეტაში, გირაოს უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი წომეების წილი - 6000 ლარი - გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში დადგენილი წესით.

განაჩენით გ. გ-რს მსჯავრი დაედი იმაში, რომ მან ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 8 მაისს, დაახლოებით 22.00 საათზე, თბილისში, ... ქუჩის, მეორე კორპუსში, თავის საცხოვრებელ ბინაში ა. თ-შვილმა სახლში მიიპატიჟა თავისი მეგობარი ლ. ჯ-ია და ახლად გაცნობილი გ. გ-რი. მათ ერთად დალიეს სპირტიანი სასმელი. დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ ა. თ-შვილმა და მისმა მეუღლემ - მ. დ-შვილმა გ. გ-რი გააცილეს გორგასლის ქუჩამდე. ამ დროს გ. გ-რმა დროებითი სარგებლობის მიზნით ა. თ-შვილს სთხოვა მობილური ტელეფონი, რაზეც ამ უკანასკნელმა უთხრა უარი. ამის შემდეგ მათ გ. გ-რი ჩასვეს ტაქსში და გაუშვეს ვარკეთილის მიმართულებით, რა დროსაც გ. გ-რმა განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების გზით აშკარად დაუფლებოდა ა. თ-შვილის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. გ-რი დაბრუნდა ა. თ-შვილის საცხოვრებელ ბინაში, და ა. თ-შვილს კვლავ მოსთხოვა მობილური ტელეფონი. უარის მიღების შემდეგ გ. გ-რმა სახის არეში ჩაართვა მუშტი ა. თ-შვილს, რის შემდეგაც, აშკარად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა ა. თ-შვილის კუთვნილი "ნოკია 3220" მოდელის მობილური ტელეფონი, რითაც დაზარალებულ ა. თ-შვილს მიაყენა 100 ლარის მატერიალური ზიანი. აღნიშნული ქმედების ჩადენის შემდეგ გ. გ-რი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. გ-რის დამცველმა, ადვოკატმა მ. რ-იამ, რომელიც ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანასა და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი პუნქტის ამოღებას იმ მოტივით, რომ სასამართლომ კანონის დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება ქ. ახმეტაში, მდებარე ა. ა-ოვას სახელზე რეგისტრირებული გირაოთი დატვირთული უძრავი ქონებიდან წილის 6000 ლარის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ. აპელანტის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე აღნიშნულის თაობაზე პროკურორს შუამდგომლობა არ დაუყენებია, ხოლო ის შუამდგომლობა, რომელიც პროკურორმა დააყენა, სასამართლო სხდომის ოქმში არასწორად დაფიქსირდა, რის გამოც დაცვის მხარემ სხდომის ოქმზე შეიტანა შენიშვნა, რაზეც უსაფუძვლოდ მიიღო უარი.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის შესაბამისად, გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით ხდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე და რადგან დაცვის მხარის განმარტებით, პროკურორს ასეთი შუამდგომლობა არ დაუყენებია, მოითხოვს, რომ გირაოს უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი ქონება მთლიანად დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის დადგენილებით ცვლელბა შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენში, კერძოდ, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, გ. გ-რს გაუნახვერდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე (2007 წლის 8 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -6 თვის ვადით. იმავე დადგენილებითა და იმავე საფუძველებით გ. გ-რს გაუნახვერდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე (2008 წლის 16 მარტის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -6 თვის ვადით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში, კერძოდ, გ. გ-რისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის შეფარდებული სასჯელის -4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის ნაწილში დარჩა უცვლელად და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, პროპორციულად 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწყებულეზაში მოხდით, ხოლო 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით, ხოლო გამოსაცდელ ვადად მას დაუდგინდა 3 წელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-რის დამცველის, ადვოკატ მ. რ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ნოემბრის განაჩენში, კერძოდ, სასჯელის ნაწილში შევიდა შემდეგი ცვლილება: საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, გ. გ-რის მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს -2 წლით თავისუფლების აღკვეთას -დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის დადგენილებითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით გ. გ-რისათვის საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის -2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის -მოუხდელი ნაწილი -1 წელი, 9 თვე და 29 დღე და გ. გ-ურს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 9 თვისა და 29 დღის ვადით. ხოლო იმავე განაჩენითა და დადგენილებით დარჩენილი სასჯელი 2 წელი და 6 თვე, რომელიც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი დარჩა უცვლელი. იმავე განაჩენით გაუქმდა გ. გ-რის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -გირაო და დადგინდა, რომ ყადაღა ცმოეხსნას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ივნისის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ახმეტაში, ა. ა-ოვას სახელზე რეგისტრირებული გირაოს უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი ქონების წილი -6000 ლარის ოდენობით და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში დადგენილი წესით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. გ-რმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი პუნქტის ამოღებას, რომელიც ეხება ქ. ახმეტაში მდებარე, ა. ა-ოვის სახელზე რეგისტრირებული გირაოთი დატვირთული უძრავი ქონებიდან წილის 6000 ლარის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემას. კასატორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმავე მოტივებით, რაზეც მის ადვოკატს მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები და გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. გ-რის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარადაა დადასტურებული მსჯავრდებულ გ. გ-რის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, რასაც თვით მსჯავრდებულის არ უარყოფს. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. გ-რის ბრალდების საქმეზე თბილისის სააპელაციო პალატამ თავის განაჩენით გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ქ. ახმეტაში, მდებარე, ა. ა-ოვას სახელზე რეგისტრირებული გირაოთი დატვირთული უძრავი ქონების წილი -6000 ლარის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის დადგენისას არ შეამოწმა გირაოს შეტანისასა დაცული იყო, თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც დაადასტურებს გირაოს შემტანი პირის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ გ. გ-რის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წილი -6000 ლარის ოდენობის წილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენი უნდა გაუქმდეს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ქ. ახმეტაში, მდებარე, ა. ა-ოვას საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების -6000 ლარის წილის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და ა. ა-ოვას საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინას, მდებარე ქ. ახმეტაში, უნდა მოეხსნას ყადაღა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-რის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენი შევიდეს შემდეგი ცვლილება:

აღნიშნული განაჩენი გაუქმდეს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ქ. ახმეტაში, მდებარე, ა. ა-ოვას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების -6000 ლარის წილის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და ა. ა-ოვას საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინას, მდებარე ქ. ახმეტაში, მოეხსნას ყადაღა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

გირაო

განჩინება

#311-აპ-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ც-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის განაჩენით ლ. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით (ბრალდების ორი ეპიზოდი) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წელი და განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით. "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულს სასჯელი გაუნახვევრდა და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. ლ. მ-იანს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 8 ოქტომბრიდან. მასვე 3 წლით ჩამოერთვა "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონში მითითებული უფლებები.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ლ. მ-იანი 2008 წლის 28 იანვარს გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ და სსკ-ის 273-ე მუხლით მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით, ამავე ვადით. იმავე წლის 6 მარტს, გლდანში მდებარე საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე ლ. მ-იანი დააკავეს ადმინისტრაციული წესით. საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამმართველოში შემოწმებისას მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

2008 წლის 1 ივნისს ლ. მ-იანი იმყოფებოდა გურამიშვილის გამზირზე და იწვევდა ექვს, რომ იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. იგი პოლიციელებმა გადაიყვანეს შესაბამის სამსახურში, სადაც კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა სასჯელის შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულის ადვოკატი ს. ც-მე თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ გამოიყენა სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში ნასამართლობა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია; სააპელაციო პალატამ, განიხილა რა საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, სსკ-ის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით მხარეს არ მისცა შესაძლებლობა, წარედგინა წერილობითი მოსაზრებები; სასამართლომ არ გაარკვია დანაშაულის ჩადენის მოტივი; ლ. მ-იანმა იმკურნალა და გამოჯანმრთელდა, რის გამოც მისთვის დანიშნული სასჯელი მკაცრია და დამღუპველი; მას ჰყავს ფემბიმე მეულლე, რის გამოც არსებობდა და არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რათა ლ. მ-იანს სასჯელი მოუხდელი ნაწილი ჩაეთვალოს პირობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს ლ. მ-იანის ნასამართლობისა და გამოსაცდელ ვადაში დანაშაულის ჩადენის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, გასაჩივრებული განაჩენიდან ამორიცხვას და განაჩენითა ერთობლიობით მსჯავრდებულისათვის 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა და 2 000 ლარის ოდენობით ჯარიმის დანიშვნას. გარდა ამისა, მსჯავრდებულის დამცველი ითხოვს, რომ ლ. მ-იანს სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჩაეთვალოს პირობით და გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს ლ. მ-იანის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია, რასაც არც მსჯავრდებული უარყოფს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასჯელის დადგენისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და არა 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნები და ამასთან დაკავშირებით კასატორის მითითება უსაფუძვლოა.

პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არასწორად ჩათვალა მსჯავრდებულის ნასამართლობა, რადგან ლ. მ-იანი სსკ-ის 273-ე მუხლით მსჯავრდებულია სწორედ იმის გამო, რომ იგი წინათ ნასამართლავი იყო ანალოგიური დანაშაულისათვის.

ამდენად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს.

რაც შეეხება სასჯელს, პალატა მიიჩნევს, რომ მისი შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს, რადგან ლ. მ-იანი მსჯავრდებულია სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ორი ქმედებისათვის და ბრალდების ერთ-ერთი ეპიზოდისათვის დანიშნული აქვს ჯარიმა. გარდა ამისა, საბოლოო სასჯელი დადგენილია განაჩენთა ერთობლიობით და ყოველივეს გათვალისწინებით იგი ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად და აშკარად უსამართლოდ.

რაც შეეხება სსკ-ის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილს, მასზე აპელირება უსაფუძვლოა თუნდაც იმის გამო, რომ სააკველაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში იხილავდა საჩივარს და არა შუამდგომლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ სათანადო ყურადღება არ გაამახვილა ლ. მ-იანისათვის შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიება გირაოზე, რომლის თანხა გადახდილია საქმის წინასწარი გამოძიებისას და, შესაბამისად, ამ თანხის საკითხი არ გადაწყდა.

პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ლ. მ-იანს არასრულად განემარტა თავისი ვალდებულებები. შესაბამის ოქმში გირაოს თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის პირობად მითითებულია მხოლოდ საგამოძიებო ორგანოებში გამოუცხადებლობა. გარდა ამისა, აღნიშნული განემარტა ლ. მ-იანს, ხოლო გირაოს თანხა შეტანილია მისი მეუღლის -ქ. ქ-შვილის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. მ-იანის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო უნდა გაუქმდეს, ხოლო გირაოს თანხა დაუბრუნდეს მის შემტანს -ქ. ქ-შვილს.

საკველაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-10 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააკველაციო სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენიდან ამოირიცხოს ლ. მ-იანის ნასამართლობის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების შესახებ მითითება;

ლ. მ-იანის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდეს, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხა -2 500 ლარი დაუბრუნდეს მის შემტანს -ქ. ქ-შვილს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის -ლ. მ-იანისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაო

განჩინება

#375-აპ-09

9 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ა. უ-ძის, მ. დ-ძისა და მ. ლ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ფ. გ-ისა და ი. გ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ნოემბრის განაჩენით ა. უ-ძე და მ. დ-ძე გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მ. ლ-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. ა. უ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ბრალდების ორი ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, ასევე -ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა.

მ. დ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, მ. ლ-ი კი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებითა და 238⁺ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება და ცივი იარაღის ტარება იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქარელის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 29 იანვრის განაჩენით მ. ლ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმ დროს მოქმედი სსკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 152-ე მუხლის 1-ლი, მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საბოლოოდ მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. უ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, კერძოდ: 2007 წლის 4 ივნისს შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გაჩხრიკეს გორში, დროებით მცხ. ა. უ-ძის საცხოვრებელი ბინა. ჩხრეკის დროს ბინის შესასვლელში, ტანსაცმლის საკიდზე მოთავსებული ლაზადის შიგნითა ჯიბიდან ამოიღეს, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელზეც დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნივთი წარმოადგენს საბჭოთა წარმოების, მსხვერვადი „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარას, გამოსაყენებლად ვარგისია და მიეკუთვნება ასაფეთქებელ მოწყობილობათა კატეგორიას.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე 2008 წლის 20 თებერვალს შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გაჩხრიკეს გორში, მდებარე ა. უ-ძის დროებითი საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ამოიღეს ორლულიანი, გადაჭრილი სანადირო თოფი ორი ვაზნით და ხელყუმბარა. ბალისტიკური ექსპერტიზის #25\ბ დასკვნის თანახმად, სანადირო თოფი დამზადებულია ქარხნული წესით, კუსტარულად აქვს გადაჭრილი ლულა და კონდახი, მიეკუთვნება 16 მმ კალიბრის, გლუვლულიან ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; ორი ვაზნა დამზადებულია ქარხნული წესით, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას 16-კალიბრიანი, გლუვლულიანი თოფისათვის; ხელყუმბარა წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ, საბჭოთა წარმოების, თავდაცვითი, მსხვერვადი ტიპის ხელყუმბარას, ვარგისია გამოსაყენებლად და მიეკუთვნება ასაფეთქებელ მოწყობილობათა კატეგორიას.

გორში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში დააკავეს მ. დ-ძე და მ. ლ-ლი. მ. დ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და 30 საბრძოლო ვაზნით, ხელყუმბარა, შავტარიანი დანა, წებოვანი ლენტის და ორი შავი ხელთათმანი. ბალისტიკური ექსპერტიზის #23\ბ დასკვნის თანახმად, მ. დ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი წარმოადგენს საბჭოთა წარმოების, 5,45 მმ კალიბრის, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატურ იარაღ „აკ-74-ს“ და ვარგისია სროლისათვის; 30 ვაზნა წარმოადგენს 1974 წლის ნიმუშის, ქარხნული წესით დამზადებულ, 5,45 მმ კალიბრიან სამხედრო ვაზნებს, განკუთვნილს 1974 წლის ნიმუშის, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატებისათვის, ვარგისია გამოსაყენებლად და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას. მ. დ-საგან ამოღებული ხელყუმბარა არის უცხოური წარმოების, თავდაცვითი ტიპის ხელყუმბარა და მიეკუთვნება ასაფეთქებელ მოწყობილობათა კატეგორიას.

მ. ლ-ის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ცალლულიანი სანადირო თოფი 7 ვაზნით და მცირე ზომის დასაკეცი დანა. ბალისტიკური ექსპერტიზის #24\ბ დასკვნის თანახმად, სანადირო თოფი დამზადებულია ქარხნული წესით, კუსტარულად გადაჭრილი აქვს ლულა და კონდახი, გადაშლი-

ლი აქვს ნომერი, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება 16 მმ კალიბრის ცეცხლსასროლ იარაღ-თა კატეგორიას. 7 ვაზნა წარმოადგენს 16 მმ კალიბრის, ქარხნული წესით დამზადებულ ვაზნებს, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას. კრიმინალისტიკური ექსპერტიზის #1\ც დასკვნის თანახმად, მ. ლ-ის პირადი ჩხრევისას ამოღებული დანა დამზადებულია ქარხნული წესით და მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. უ-მეს საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით; მ. დ-მეს -6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით; მ. ლ-შვილს კი -6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 8 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2008 წლის 20 თებერვლიდან; ა. უ-მეს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -2007 წლის 4 ივნისიდან 2007 წლის 19 ივნისამდე. გაუქმდა ა. უ-მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება -გირაო და გირაოს თანხა - 10 ათასი ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. დ-მემ, მსჯავრდებულ მ. ლ-ის ადვოკატმა ი. გ-მა და გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. შ-მემ.

მსჯავრდებულმა მ. დ-მემ და მსჯავრდებულ მ. ლ-ის ადვოკატმა ი. გ-მა სააპელაციო საჩივრებით ითხოვეს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების გამართლება, ხოლო პროკურორმა -ა. უ-ის საქართველოს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) საბოლოოდ 17 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 4 ათასი ლარის ჯარიმის განსაზღვრა, მ. ლ-ის -მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -საბოლოოდ 18 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 5 ათასი ლარის ჯარიმის განსაზღვრა, მ. დ-ის -მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით -11 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 2 ათასი ლარი ჯარიმა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულების -ა. უ-მისა და მ. დ-მის ადვოკატმა ფ. გ-მა შესაგებლით ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება მსჯავრდებულთა გამართლების ნაწილში, გამამტყუნებელ ნაწილში -გაუქმება და ა. უ-მისა და მ. დ-მის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულების -ა. უ-მისა და მ. დ-მის ადვოკატი ფ. გ-ლი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს; სასამართლო განხილვა წარმართა არასრულად და ცალმხრივად, არ მოხდა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად საჭირო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა; არ მოხდა იმ პირების დაკითხვა, რომელთა ჩვენებებსაც მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად; არ გამოითხოვეს დოკუმენტები და არ აღმოაჩინეს ნივთიერი მტკიცებულებები, რომელთა გარეშეც განაჩენი ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად; არ შემოწმებულა დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ფ. გ-ლი ითხოვს ა. უ-მისა და მ. დ-მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებულ მ. ლ-ის ადვოკატი ი. გ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, რაც არსებითად აისახა საქმის განხილვის შედეგზე, ამიტომ განაჩენი უკანონოა, უსამართლოა და აშკარად არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მასალათა ერთობლიობიდან, იგი ემყარება კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რის გამოც ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მ. ლ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მითითებას მსჯავრდებულთა უდანაშაულობის შესახებ, კერძოდ:

2007 წლის 4 ივნისს დამსწრეთა მონაწილეობით ჩატარებულ ბინის ჩხრეკას ესწრებოდა ა. უ-მეც. ამ უკანასკნელს პრეტენზია არ გამოუთქვამს, ოქმს ხელი მოაწერა და მისი ასლიც ჩაიბარა.

ა. უ-მე სასამართლოშიც ვერ უთითებს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას კანონის რაიმე დარღვევაზე და მხოლოდ აღნიშნავს, რომ გაუკვირდა ხელყუმბარის აღმოჩენა.

აღნიშნული ჩხრეკის ერთ-ერთმა დამსწრემ -ბ. ქ-მემ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დაადასტურა, რომ ხელყუმბარა ამოიღეს დამსწრეთა მონაწილეობით, ხოლო ის გარემოება, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან წელიწადზე მეტი დროის გასვლის შემდეგ მოწმემ ზუსტად ვერ მიუთითა, ქურთუკის რომელი ჯიბიდან ამოიღეს ხელყუმბარა, მისი ჩვენების არაობიექტურობაზე არ მეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ ა. უ-მეს 2008 წლის 20 თებერვალს, დამსწრეთა მონაწილეობით ჩატარებული მისი ბინის ჩხრეკასთან დაკავშირებითაც არ ჰქონდა პრეტენზია და შენიშვნა არ გამოუთქვამს.

პალატა აღნიშნავს, რომ მ. დ-მის ბრალეულობაც უტყუარადაა დადასტურებული კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩატარებული ჩხრეკის ოქმითა და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე დამსწრეთა ჩვენებებით. საქმეში არსებული მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი ქმედებები.

საფუძველს მოკლებულია მითითება საქმის წინასწარი გამოძიებისას მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ, რაც მათივე ჩვენებებიდანაც არ გამომდინარეობს, კერძოდ, ა. უ-მე აღნიშნავს, რომ ბრალდების პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით მის მიმართ რაიმე ზეწოლა არ მომხდარა, ხოლო მეორე ეპიზოდი აღიარა ფიზიკური ზემოქმედებისა და დაკავებიდან გათავისუფლების დაპირების სანაცვლოდ. მ. ლ-მა სასამართლოს განუმარტა, რომ წინასწარი გამოძიებისას ჩვენება მისცა 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დაპირების სანაცვლოდ, ხოლო მ. დ-მე მიუთითებს, რომ სცემეს, მაგრამ ჩხრეკის ოქმს ხელი არ მოაწერა, შემდეგ ჩვენება მისცა, რადგან "მოატყუეს".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მ. ლ-ის პირადი ჩხრეკა ჩატარდა მისი დაკავებისთანავე, რის შესახებ მითითებულია დაკავების ოქმში. ოქმს პირადად გაეცნო მ. ლ-ლი, ხელი მოაწერა და მისი ასლიც მიიღო, ამასთან, შენიშვნა არ გამოუთქვამს. ამდენად, საგამოძიებო მოქმედების კანონის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარების შესახებ ადვოკატ ი. გ-ის მითითება უსაფუძვლოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სასჯელების დანიშვნის ნაწილში -სამართლიანი და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, ა. უ-მის მიმართ გირაოს სახით შეტანილი 10 ათასი ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას სააპელაციო პალატამ დაარღვია სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანი პირის -ნ. მ-მის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ ა. უ-მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი თანხა. როგორც ირკვევა, გირაოს შემტანი თავის არაერთ განცხადებაში მიუთითებდა, რომ არავის გაუფრთხილებია და არ იცოდა გირაოს პირობების თაობაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის გამო გირაოს შემტანს -ნ. მ-მეს უნდა დაუბრუნდეს გირაოს თანხა -10 ათასი ლარი.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-10 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების -ა. უ-მის, მ. დ-მისა და მ. ლ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -გ. გ-ისა და ი. გ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ა. უ-მის მიმართ გირაოს სახით შეტანილი 10 000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ და აღნიშნული თანხა დაუბრუნდეს მის შემტანს -ნ. მ-მეს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაო

განჩინება

#486-აპ

20 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ხ-იანის დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძის საკვასციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით გ. ხ-იანი და გ. შ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ და მიესაჯათ: გ. ხ-იანს -საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე (2008 წლის 7 ივნისის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით, ამასთან, დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა -4500 ლარის ოდენობით, ხოლო იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2007 წლის 25 ივნისის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით და დამატებითი სასჯელის ზომად -ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ხ-იანს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის ზომად -ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით. ამასთან, ვინაიდან გ. ხ-იანმა დაარღვია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ივნისის ბრძანებით განსაზღვრული აღკვეთის ღონისძიება -გირაო, გირაოს სახით 2007 წლის 17 ივლისს საქართველოს ეროვნულ ბანკში მ. ხ-იანის მიერ შეტანილი გ. ხ-იანის საგირავნო თანხა -6000 ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

იმავე განაჩენით დამტკიცდა შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ გ. შ-შვილს შორის. გ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით (2007 წლის 25 ივნისის ეპიზოდი) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა -7000 ლარის ოდენობით. გ. შ-შვილს თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელი შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი.

გ. შ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი -2007 წლის 26 ივნისიდან 2007 წლის 2 ივლისის ჩათვლით. გ. შ-შვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიება - გირაო განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გაუქმდა და გირაოს შემტან პირს -ა. შ-შვილს დაუბრუნდა სს "საქართველოს ბანკში" 2007 წლის 2 ივლისს შეტანილი საგირავნო თანხა -5 000 ლარი.

გ. ხ-იანსა და გ. შ-შვილს მსჯავრი დაედოთ ქურდობაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ხოლო გ. ხ-იანს მსჯავრი დაედო ასევე მარცვაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 25 ივნისს გ. შ-შვილი და გ. ხ-იანი მეგობრებთან -გ. წ-შვილთან, დ. კ-ძესა და მ. მ-შვილთან ერთად იმყოფებოდნენ თბილისში, ... ქ-ის 26-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნავდნენ მ. მ-შვილის დაბადების დღეს. მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი. 2007 წლის 26 ივნისს, დაახლოებით 1 საათსა და 30 წუთზე, გ. შ-შვილმა დ. კ-ძეს სთხოვა, რომ იგი მიეყვანა ქუჩაზე, რაზეც დ. კ-ძე დათანხმდა და ზემოთ აღნიშნულ პირებთან ერთად მითი-

თებულ მისამართზე გაემართნენ ამ უკანასკნელის "ვაზ-2106" მარკის ავტომანქანით. როდესაც მივიდნენ აღნიშნულ ქუჩაზე, მათ გაუფუჭდათ ავტომანქანა. გ. შ-შვილი და გ. ხ-იანი გადმოვიდნენ ავტომანქანიდან, იქვე, ... ქ-ის #23-ის წინ, შენიშნეს დაზარალებულ მ. მ-შვილის მარკის ავტომანქანა, და განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ აღნიშნული ავტომანქანის გვერდით სარკეებს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი მივიდნენ ავტომანქანასთან, მოხსნეს წინა, მარჯვენა და მარცხენა გვერდითი სარკეები, ღირებული 200 ლარად, რითაც დაზარალებულ მ. მ-შვილს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მანქანის სარკეები მათ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს და აპირებდნენ მეგობრებთან ავტომანქანაში ჩასხდომას და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, რადროსაც ისინი უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს პოლიციის მუშაკებმა. ჩატარებული ჩხრეკის შედეგად გ. შ-შვილისაგან ამოღებულ იქნა ზემოთ ხსენებული ავტომანქანის სარკეები.

2008 წლის 7 ივნისს ქ. თბილისში, ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. ხ-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს და მათ განიზრახეს ჩაედინათ მარცვა. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იქვე არსებულ ავტოსადგომთან მათ ქვეითად მომავალ ნ. ს-შვილს შენიშნეს ოქროს ყელსაბამი და მისკენ გაემართნენ. გ. ხ-იანმა ყელსაბამს ჩაავლო ხელი, ჩამოწყვიტა და თანამზრახველთან ერთად გაიქცა, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 1500 ლარის მატერიალური ზიანი. გაქცეულ თანამზრახველებს ნ. ს-შვილი ავტოსადგომის დარაჯთან ერთად დაედევნა. გ. ხ-იანმა გაქცევა ვეღარ მოასწრო და იქვე, ქ. #13-ში, ნ. ლ-ძის საცხოვრებელ ბინაში შევარდა. ყელსაბამი ოთახის კუთხეში დააგდო, თვითონ კი მაგიდის ქვეშ შეძვრა და დაიმალა, ხოლო გ. ხ-იანის თანამზრახველმა შეძლო გაქცევა. დაზარალებული ნ. ს-შვილი საპატრულო პოლიციას დაუკავშირდა. გატარებული ღონისძიებების შედეგად, დაზარალებულის მითითებით, პატრულ-ინსპექტორებმა გ. ხ-იანი მარცვის ფაქტზე დააკავეს ექვმიტანილის სახით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს კი ამოღებულ იქნა ნ. ს-შვილის კუთვნილი ყელსაბამი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ხ-იანის დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მემ.

აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა გ. ხ-იანისათვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას, ჯარიმის მოხსნასა და გირაოს თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდის ნაწილში გაუქმებას. სასამართლოში განხილვისას გ. ხ-იანის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-მემ დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა: გ. ხ-იანის გამართლება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებითა და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში, მისი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისთვის მინიმალური სასჯელის შეფარდება, შემდეგი მოტივებით: მართალია, გ. ხ-იანმა ჩაიდინა მარცვა, რასაც იგი აღიარებს და ინანიებს, მაგრამ ეს დანაშაულებრივი ქმედება მან ჩაიდინა ერთპიროვნულად და არა -პირთა ჯგუფთან ერთად. ამასთან, აპელანტის განმარტებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი გირაოს თანხის -6000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის ნაწილში, იმ მოტივით, რომ პროკურორმა აღნიშნულის შესახებ შუამდგომლობა დააყენა არა სასამართლო კამათის დროს საბრალდებო სიტყვის წარმოთქმისას, არამედ რეპლიკის დროს, დაცვის მხარის მიერ დაცვითი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ. აპელანტს ასევე მიაჩნია, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს დამატებითი სასჯელის ზომად ჯარიმის დაკისრების ნაწილშიც იმ მოტივით, რომ გ. ხ-იანის ოჯახი არის უკიდურესად გაჭირვებული და დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: გ. ხ-იანს მოეხსნა დამატებითი სასჯელის ზომად დანიშნული ჯარიმა. განაჩენი სხვა ნაწილში გ. ხ-იანისა და გ. შ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ხ-იანის დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში გ. ხ-იანის სასიკეთოდ ცვლილების შეტანას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ხ-იანის მიმართ და შეამოწმა მისი დამცველის საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ხ-იანისა და გ. შ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს მათზე ბრალად შერაცხული ქმედებები. მათი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეების ჩვენებებით, ამოღების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებით, რომლებიც წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მათ მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ხ-იანის ბრალდების საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავისი განაჩენით, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, მ. ხ-იანის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხის -6000 ლარის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის დადგენისას არ შეამოწმა, გირაოს შეტანისას იყო თუ არა დაცული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც: "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც დაადასტურებს გირაოს შემტანი პირის -მ. ხ-იანის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ გ. ხ-იანის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი თანხა -6 000 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენი უნდა გაუქმდეს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით მ. ხ-იანის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხის -6000 ლარის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და მ. ხ-იანს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხა -6000 ლარი, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ხ-იანის დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: გ. ხ-იანის მიმართ შერაცხული ადკვეთის ღონისძიება -გირაო გაუქმდეს, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხა -6000 ლარი დაუბრუნდეს მის შემტანს -მ. გ-ხ-იანს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაო

განჩინება

#667-აპ-09

26 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

**ზ. მეიშვილი,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განაჩენზე თ. ბ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის განაჩენით თ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მცხოვრებმა თ. ბ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა. 2008 წლის 5 ივლისს თ. ბ-ძეს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მარცხენა ფეხის წინდიდან ამოუღეს ასანთის 2 კოლოფი, რომლებშიც მოთავსებული იყო მომწვანო მცენარეული მასა -11,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. ბ-ძეს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა დაკავების დრო -2008 წლის 5 ივლისიდან 2008 წლის 31 ივლისის ჩათვლით. თ. ბ-ძეს 5 წლით ჩამოერთვა "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება, ასევე -გირაოს სახით შეტანილი ნივთის მესაკუთრისათვის დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: თ. ბ-ძეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც 2008 წლის 21 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 4 აპრილიდან. გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ნოემბრის დადგენილება თ. ბ-ძისათვის შეფარდებული გირაოს თანხის სანაცვლოდ დაყადაღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ; აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მოეხსნა ყადაღა და დაუბრუნდა მესაკუთრეს. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -პროკურორი გ. კ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ამიტომ უნდა გაუქმდეს და საქმე გაიგზავნოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას თ. ბ-ძე არასაკატიო მიზეზით არ ცხადდებოდა სასამართლოში, რის გამოც 2008 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით მის მიმართ შეფარდებული გირაო შეიცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით -დაპატიმრებით, ხოლო გირაოს პირობების დარღვევის გამო დაყადაღებული უძრავი ქონება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს. სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს შეუმსუბუქა სასჯელი და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება დაუბრუნა მესაკუთრეს. სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებს ყურადღება არ მიაქცია, კერძოდ: თ. ბ-ძეს ჩადენილი აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, წარსულში არაერთგზისაა ნასამართლევი, იმყოფებოდა მიმალვაში -იყო ძებნილი, რა დროსაც ჩაიდინა ახალი დანაშაული. მას ჰქონდა თავისი საქმის სასამართლო განხილვაზე ინფორმაციის მიღების აბსოლუტური შესაძლებლობა.

რაც შეეხება სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების პირვანდელი მესაკუთრისათვის დაბრუნებას, აღნიშნულის მოტივად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, თითქოს, გირაოს შემტანი არ იყო წერილობით გაფრთხილებული გარკვეული პირობების შეუსრულებლობისას მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, მაშინ, როდესაც თავდაპირველად, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, 2008 წლის 8 ივლისს, თავად მსჯავრდებული გააფრთხილეს სათანადო ოქმით გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, ხოლო შემდგომში შეფარდებული გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფის გამო პროცესის მწარმოებელ ორგანოში წარმოადგინეს ქონების მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, სადაც მითითებულია, რომ იგი გაფრთხილებულია გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ თ. ბ-მის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული თავად მსჯავრდებულის ჩვენებითაც და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

რაც შეეხება სასჯელს, მოცემულ შემთხვევაში იგი განსაზღვრულია "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის გამოყენებით, არ არის მეტისმეტად მსუბუქი და, შესაბამისად, აშკარად უსამართლო.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად დანაშაულის კატეგორიასა და პირის მიმალვაზე მითითება არასწორია. პირველი ინსტანციის სასამართლომ ამგვარ გარემოებად განსასჯელს სწორედ მიმალვაში ყოფნა ჩაუთვალა და მიუთითა, რომ შემამსუბუქებელი გარემოებები არ არსებობდა. გარდა იმისა, რომ თ. ბ-მე აღიარებდა და ინანიებდა ბრალად შერაცხულ ქმედებას, მას კმაყოფაზე ჰყავს მოხუცი დედა, ასევე -მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. ამასთან, ნარკოტიკული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაშია მისადები ნარკოტიკული საშუალების სახეობა და ოდენობაც, რაც მოცემულ შემთხვევაში 11 გრამ "მარიხუანას" შეადგენს. მართალია, თ. ბ-მე ნასამართლევი, მაგრამ მხოლოდ ეს გარემოება სასჯელის მეტისმეტი ღმობიერების დასასაბუთებლად არ არის საკმარისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უსამართლობის მოტივით გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველი არ არსებობს. ამასთან, პალატა იზიარებს კასატორის მითითებას გირაოს სახით შეტანილ უძრავ ნივთთან დაკავშირებით, კერძოდ:

გირაოს სახით შეტანილი ნივთი მის შემტანს დაუბრუნდა იმ მოტივით, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილი დოკუმენტი გირაოს შეტანის წინ მისი შემტანის გაფრთხილების თაობაზე წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შესრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში.

პალატა განმარტავს, რომ კანონი მოითხოვს გირაოს შემტანის წერილობით გაფრთხილებას და აღნიშნული ემსახურება შესაძლო შედეგებზე პირის რეალურ ინფორმირებულობას. ამასთან, კანონი არ განსაზღვრავს გირაოს პირობების თაობაზე შესადგენი წერილობითი დოკუმენტის ფორმას.

მოცემულ შემთხვევაში გირაოს შემტანი -მ. დ-შვილი თავის ნოტარიულად დამოწმებულ განცხადებაში მიუთითებდა, რომ მისთვის ცნობილია თ. ბ-მის მიერ გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. თავად ბრალდებულსაც ამომწურავად განემარტა გირაოს პირობების შესახებ, მაგრამ მაინც თავი აარიდა სასამართლოში გამოცხადებას.

ამდენად, საქმეშია წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანის ინფორმირებულობას შესაძლო სამართლებრივ შედეგებზე და საპროცესო კოდექსის მოთხოვნა დაცულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს საკასაციო პალატის მითითებები და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დაზუსტდა ნივთმტკიცების ნაწილში, რაც არ აისახა გასაჩივრებული განაჩენში და საქმის ხელახლა განხილვისას ამ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ გ. კ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განაჩენი თ. ბ-მის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ექსპერტის დასკვნა

განჩინება

#1533-აპ-08

9 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. უ-შვილისა და მისი დამცველის, ადვოკატ ბ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. უ-შვილი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენით ლ. უ-შვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 6 მარტს, დაახლოებით 2 საათზე, გალის რაიონის იძულებით გადაადგილებული, ზუგდიდის რაიონის სოფელ ... დროებით მცხოვრები ლ. უ-შვილი და გამოძიებით დაუდგენელი სამი პირი, სახეზე ნიღაბაფარებული და პისტოლეტით შეიარაღებულნი, მივიდნენ ზუგდიდის რაიონის ... საჯარო სკოლაში და შეაღწიეს შიგ. ისინი ყაჩაღურად თავს დაესხნენ დარაჯს -ბ. ხ-ვას, რომელსაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით შეუკრეს ხელ-ფეხი და საჯარო სკოლიდან გაიტაცეს HP ფირმის კომპიუტერის სისტემური ბლოკები: 1) №HUB 72712ზ0, 2) №HUB 7270ზ8 ჩ; უპეესები -1) 0707020301043, 2) 0707020301788; ორი ცალი კლავიატურა; მონიტორები -1) #ჩNK 7301ქგ, 2) # ჩNK 7301ჰს5; ორი ცალი "მაუსი"; სამუნგის ფირმის კომპიუტერის სისტემური ბლოკები -1) YK9D 030265, 2) YK9D 029948, 3) YK9D 03022274; უპეესები -1) G8D2FმY 0708154742, 2) G8D2FმY 078154744; კლავიატურები -1) #XE 7604011261, 2) #XE 7604013788, 3) #XE 76040113787; მონიტორები -1) #HA17HVDPP80666, 2) #HA17HVDP 807482, 3) #HA17HVDP 80740, და სამი ცალი "მაუსი", საერთო ღირებულებით 4749 ლარი, რის შემდეგაც ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. უ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ბ. ყ-შვილმა. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი; სასამართლოს განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო ის მტკიცებულებები, რომლებსაც განაჩენი ეყრდნობა, მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, 2008 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით უცვლელად დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ლ. უ-შვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. უ-შვილმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ბ. ყ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ლ. უ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო ამავე საქმეზე შეტანილ სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. უ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ლ. უ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას და ამ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას არ შესრულდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის

დადგენის თვალსაზრისით. გარდა ამისა, დარღვეულია საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენები ლ. უ-შვილის მსჯავრდების თაობაზე ძირითადად ეყრდნობა კომპლექსური ბიოლოგიური და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნებს, ვინაიდან საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით უშუალოდ ლ. უ-შვილი ვერ იმ-ხილება ყაჩაღობის ჩადენაში. არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო სასამართლოში არ მომხდარა აღნიშნულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული გარემოებების ჯეროვანი გამოკვლევა მათი კანონიერებისა და უტყუარობის შესამოწმებლად. კერძოდ, საქმეშია ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილი ქუდი -ნიღბიდან აღებული სუნის ნიმუში იდენტურია ლ. უ-შვილის სხეულიდან აღებული სუნის ნიმუშისა, მაგრამ საქმეში არ არის არც დადგენილება ლ. უ-შვილისგან სუნის ნიმუშის აღების შესახებ და არც -ოქმი იმის თაობაზე, თუ ვის მიერ, როდის და სად იქნა აღებული აღნიშნული სუნის ნიმუში, რომელიც შემდგომში წარედგინა ოდოროლოგიურ ექსპერტს.

ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველ ნაწილში მითითებულია, ვის მიერ და რა სა-მართლებრივ საფუძველზე ჩატარდა ექსპერტიზა, რა ნივთები და ნიმუშები იქნა წარდგენილი ექსპერტიზისათვის; მეორე ნაწილში აღნიშნულია, თუ რა კითხვები იყო დასმული გადასაწყვეტად ექსპერტიზის წინაშე; მესამე ნაწილში კი ჩამოყალიბებულია ექსპერტიზის გამოკვლევის შედეგები, კერძოდ ის, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ნიღბიდან აღებული სუნის ნიმუში იდენტურია ლ. უ-შვილისგან აღებული სუნის ნიმუშისა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოების თაობაზე: ხსენებული ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში საერთოდ არაფერია მითითებული, რა ნივთიერი ნიმუშისა, თუ სხვა ობიექტის გამოკვლევა განხორციელდა; რა გამოკვლევა ჩატარდა და რა მეთოდები იქნა გამოყენებული კვლევისათვის; საკმარისად საიმედოა თუ არა ისინი ექსპერტიზის ჩასატარებლად და დასკვნების გამოსატანად; ასევე დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები არ არის დასაბუთებული, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ექსპერტიზის დასკვნის აუცილებელ და სავალდებულო რეკვიზიტებს წარმოადგენს და რომელთა გარეშე ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული. რაც შეეხება ექსპერტის განხილულ დასკვნაში მოხსენიებულ სასამართლო მალღებს, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, თუ რამდენად იყო სათანადო მეცნიერული მეთოდით შემოწმებული და დასაბუთებული საქმეში წარმოდგენილი ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში ცხოველის გამოყენებით მიღებული მონაცემების საიმედოობა და უტყუარობა.

გარდა ამისა, კომპლექსური ოდოროლოგიური და ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშნავსთან დაკავშირებით გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილება ექსპერტისაგან მოითხოვდა იმის განსაზღვრას, იყო თუ არა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ნიღბიდან ამოღებული თმის ნიმუში ლ. უ-შვილისაგან აღებული თმის ნიმუშის იდენტური. ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში კი მითითებულია მხოლოდ იმაზე, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ნიღბიდან ამოღებული თმის ნიმუში ემსგავსება ლ. უ-შვილისგან აღებულ თმის ნიმუშს. არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვიეს; აღნიშნული ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის კატეგორიული თუ -სააღბათი; "იდენტურობა" და "მსგავსება" მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს თუ არა თანაბარმნიშვნელოვან მეცნიერულ ცნებებსა და ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე კატეგორიებს, რის საფუძველზეც უნდა გარკვეულიყო ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის, როგორც მტკიცებულების, დასაშვებობის საკითხი.

ყოველივე ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ნიღბი და მასში არსებული თმები, რომელთა საფუძველზეც ჩატარდა ზემოხსენებული სასამართლო ექსპერტიზები, საქმეზე არ არის ცნობილი ნივთმტკიცებად. საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში ლ. უ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას დაირღვა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა სასამართლო განხილვის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე, რაც იმაში გამოვლინდა, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში არ არის შეფასებული დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ მსჯავრდებულის ალიბს. განაჩენში მხოლოდ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებებია განხილული, ამასთან, ისინი კრიტიკულად არ არის შეფასებული, მათი სარწმუნოებისა და პირის მსჯავრდებისათვის საკმარისობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზეა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არსებითი საპროცესო დარღვევა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი ლ. უ-შვილის ბრალ-

დების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში ლ. უ-შვილის ბრალდების საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს სრული სასამართლო გამოძიება შესაბამისი საპროცესო მოქმედებების გზით, დაცვისა და ბრალდების მხარეებისათვის შეჯიბრებითობის პრინციპისა და თანასწორი პირობების უზრუნველყოფით, რა დროსაც უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები: წინასწარი გამოძიების სტადიაზე იყო თუ არა რეალურად გამოტანილი დადგენილება ლ. უ-შვილისგან სუნის ნიმუშის აღების თაობაზე და შედგა თუ არა სათანადო ოქმი აღნიშნული სუნის ნიმუშის აღებისას; რა გამოკვლევა ჩატარდა და რა მეთოდები იქნა გამოყენებული ოდოროლოგიური ექსპერტიზის პროცესში; საკმარისად საიმედოა თუ არა ისინი მეცნიერული თვალსაზრისით და რაში მდგომარეობს მიღებული დასკვნების დასაბუთებულობა; მოცემული აუცილებელი რეკვიზიტები რატომ არ არის წარმოდგენილი ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში, რასაც მოითხოვს საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქმეში არსებული ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა წარმოდგენს თუ არა კატეგორიულ დასკვნას, რასაც მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებად მისი ცნობისათვის. უნდა გაირკვეს ასევე, რატომ არ იქნა ცნობილი ნივთმტკიცებად შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ნიღაბი და თმის ნიმუში. ბრალდების მტკიცებულებებთან ერთად უნდა შემოწმდეს და შეფასდეს აგრეთვე დაცვის მტკიცებულებებიც, მათი უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო შემდეგ ორივე მხარის მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ერთობლივად. მხოლოდ მითითებული საკითხების გარკვევითა და ამ გზით მიღებული სარწმუნო მტკიცებულებების მეშვეობით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე შეიძლება იქნეს საბოლოოდ გამოტანილი სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილება ლ. უ-შვილის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. უ-შვილისა და მისი დამცველის, ადვოკატ ბ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი ლ. უ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. სასამართლო გამოძიება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

განჩინება

#1105-აპ

13 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ხ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძისა და ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ბ. ხ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით ა. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მესამე ნაწილით 4 წლით თავისუფ-

ლების აღკვეთა, 151-ე მუხლით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და მესამე ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -5000 ლარი, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -2000 ლარი, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3500 ლარი, ამავე მუხლის მესამე ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -4500 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -15000 ლარი.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ა. ხ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ხ-მ თერჯოლის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემდეგ, დაუდგენელ დროსა და გარემოებებში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 9 მმ კალიბრის #64222 "გოლდსტარ-2002" მოდელის ატიპური გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

2006 წლის 26 ივნისს მთვრალი ა. ხ-მე ზემოაღნიშნული იარაღით მივიდა ქ. ქუთაისში, სადარაჯო ჯიხურთან, უმიზეზოდ აუხირდა იქ მყოფ რ. ჩ-იანს და თავდაპირველად მის მიმართ მუქარის განხორციელების მიზნით, თანაქონი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა, შუბლზე მიაბჯინა მას და შუბლის გახვრეტისა და ამ გზით მისი მოკვლით გამოხატა რ. ჩ-იანის სიცოცხლის მოსპობის მუქარა, რა დროსაც ამ უკანასკნელს ასეთი მოქმედებით გაუჩნდა მუქარის განხორციელების რეალური შიში. მისი მოქმედება აღკვეთა ვ. შ-ვმა. ა. ხ-მემ კვლავ განაგრძო ხულიგნური ქვენაგრძნობით მოქმედება, კვლავ უმიზეზოდ, რაიმე საბაბის გარეშე, შეგინების შემდეგ ხელი ჰკრა რ. ჩ-იანს, წააქცია იგი, ხოლო წაქცეულს ძლიერად ჩაართვა ფეხი მარჯვენა ბარძაყში და მიაყენა მარჯვენა ბარძაყის ციბრუტოვანი დამსხვრეული მოტეხილობა, რითაც რ. ჩ-იანმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა.

2006 წლის 15 ივლისს ა. ხ-მემ თერჯოლის რაიონში მცხოვრები ნ. კ-ძის ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, კარის დაზიანების გზით შეაღწია მის ბინაში და ფარულად დაეუფლა ნ. კ-ძის კუთვნილ, 500 ლარად ღირებულ, გერმანული წარმოების -"ზიმსონის" მოდელის 12 კალიბრიან სანადირო თოფს, 15 ლარად ღირებულ ღამის ფანარს და სანადირო თოფის ვაზნების ჩასაწყობ ე.წ. "პატრონტაქს", ღირებულს 25 ლარად, რითაც დაზარალებულ ნ. კ-ძეს მიაყენა 560 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ნ. კ-ძის საცხოვრებელი სახლიდან ფარულად დაუფლებული ზემოაღნიშნული ნივთები ა. ხ-მემ შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში. ამავე ნივთებთან ერთად მან მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ქუთაისიდან თერჯოლის რაიონის სოფელ ... მდებარე მის საცხოვრებელ სახლამდე მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდული 9მმ კალიბრის #64222 "გოლდსტარ-202" მოდელის ატიპური გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლებიც 2006 წლის 20 ივლისს ჩატარებული ჩხრევის დროს ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. ხ-ძეს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით შერაცხული მსჯავრდება დანიშნულ ძირითად და დამატებით სასჯელთან ერთად და იგი ამ ნაწილში გამართლდა.

ა. ხ-ძეს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე მითითება.

ა. ხ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მესამე ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 151-ე მუხლით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -5000 ლარი, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -2000 ლარი, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -3500 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -10500 ლარი. ა. ხ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 11 მარტიდან.

მსჯავრდებულ ა. ხ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ა. ხ-ძის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლითა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ასევე,

118-ე მუხლის მესამე ნაწილის გადაკვალიფიცირებას 124-ე მუხლზე და სასჯელის შემსუბუქებას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმეში არსებული მასალები და ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამებიან ერთმანეთს, განაჩენი დამყარებულია ეჭვსა და ვარაუდებზე და არა -უტყუარ მტკიცებულებებზე; სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინა ა. ხ-ძის შემამსუბუქებელი გარემოებები.

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი ბ. ხ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ საფუძველით, რომ განაჩენში არსებული დასაბუთება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით მსჯავრდებულ ა. ხ-ძის გამართლების ნაწილში არის უკანონო; სასამართლომ მსჯელობის გარეშე დატოვა წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებული და სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული მტკიცებულებები; განაჩენით ა. ხ-ძის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა და დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრიდანაც ჩანს, მსჯავრდებული ა. ხ-ძე იარაღის ბრალდების ეპიზოდში თავს ცნობს დამნაშავედ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენასა და ტარებაში, ხოლო იარაღის გადაზიდვაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. მსჯავრდებული ა. ხ-ძე განმარტავს, რომ რ. ჩ-იანთან შელაპარაკების დროს მას თან ჰქონდა იარაღი, რომელიც გამოუჩნდა, მაგრამ არ ამოუღია; როდესაც რ. ჩ-იანი წაიქცა, შეემინდა, თანაც იარაღი ჰქონდა და იმის შიშით, რომ არავის დაეჭირა, მოკლე გზით მთელი ღამე ფეხით იარაღის სოფლამდე, სადაც დამალა აღნიშნული იარაღი.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ა. ხ-ძის ადვოკატის განმარტებით, ა. ხ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება იყო იარაღის ტარება და არა -გადაზიდვა; პირის ქმედება შეიცავს იარაღის გადაზიდვის დანაშაულის შემადგენლობას იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება განხორციელდა მატარებლით, თვითმფრინავით და დიდი ოდენობის იარაღთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებული ა. ხ-ძე გაამართლა ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული მასალებით უტყუარად არ დასტურდება ა. ხ-ძის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გადაზიდვის ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ბრალდების ამ ეპიზოდში სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; განაჩენიდან არ ჩანს, სასამართლომ რა ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია დადგენილად და რა ქმედება ჩათვალა ტარებად და არა -გადაზიდვად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეაფასოს სასამართლომ, მსჯავრდებულ ა. ხ-ძის ქმედება შეიცავს ტარების თუ გადაზიდვის დანაშაულის ნიშნებს.

საქმის მასალების მიხედვით, თერჯოლის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 30 ოქტომბერს გამოტანილი დაუსწრებელი, გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. ხ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის თანახმად, სასამართლომ სხდომაზე არ დაკითხა მოწმე ვ. შ-ვი იმ მოტივით, რომ მოწმეს არ უშუამდგომლია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ და არც სასამართლომ მიიჩნია მიზანშეწონილად თავისი ინიციატივით მისი გამოძახება და დაკითხვა. საქართველოს სსკ-ის 533-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სსკ-ის 533-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, ჩაეტარებინა სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით, კერძოდ: მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად გამოიტანა.

ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში არ არის ახსნილი წინააღმდეგობა დაზარალებულ რ. ჩ-იანისა და მოწმე ვ. შ-ვის ჩვენებებს შორის.

დაცვის მხარის განმარტებით, საქმეში არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულმა ა. ხ-ძემ განზრახ მიაყენა სხეულის ნაკლებად მზიმი დაზიანება რ. ჩ-იანს

და იარაღის გამოყენებით დაემუქრა, მას შემთხვევის ადგილას ჰქონდა იარაღი, რომელიც არ ამო-
ულდა და მხოლოდ გამოუჩნდა.

დაზარალებული რ. ჩ-იანი თავის ჩვენებებში ამხელს რა მსჯავრდებულ ა. ხ-ძეს მისთვის ბრა-
ლად შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებებში, მიუთითებს, რომ რაც მოხდა, ყველაფერი დაინახა
ვ. შ-ვმა, რასაც მოწმე ვ. შ-ვი უარყოფს პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხვი-
სას. პირიქით, მოწმე ვ. შ-ვი აღნიშნავს, რომ თავად რ. ჩ-იანმა სთხოვა მას, რომ ეთქვა, თით-
ქოს, მან ა. ხ-ძეს დაუნახა იარაღი, სინამდვილეში კი ა. ხ-ძისათვის არანაირი იარაღი არ შეუ-
ნიშნავს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა
არსებობისას დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება, მაშინ, როდესაც,
ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, სრული მოცულობით ჩა-
ეტარებინა სასამართლო გამოძიება, გამოეკვლია ბრალდების მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებუ-
ლება და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა მათთვის სათანადო სამართლებრივი შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპე-
ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განაჩენი ა.
ხ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახა-
ლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნ-
ქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008
წლის 18 ივნისის განაჩენი ა. ხ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგ-
ზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. განაჩენში მოყვანილი სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან

განჩინება

#5-აპ-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემად-
გენლობით:**

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის ადვოკატების -ნ. მ-ძის, შ.
პ-ძისა და მსჯავრდებულ ვ. ჩ-ძის დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის
სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განა-
ჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის განაჩენით:

ვ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო 143-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტების საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვა-
დით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ვ. ლ-ძეს საბოლოო სასჯე-
ლის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. ვ. ჩ-ძე, ცნობილ იქნა დამ-
ნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძ-

ველზე -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტების საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ვ. ჩ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით.

ნ. ჩ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით შეუმცირდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტების საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით შეუმცირდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 9 თვის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გაუქმდა პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -3 წელი და ნ. ჩ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლისა და 9 თვის ვადით.

საქმეზე გაცხადებული სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა და მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილს, ვ. ლ-აძესა და ვ. ჩ-ძეს დაეკისრათ დაზარალებულ ჯ. მ-ძისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის - 331 ლარისა და 60 თეთრის ანაზღაურება.

მსჯავრდებულები -ვ. ლ-ძე, ვ. ჩ-ძე და ნ. ჩ-შვილი სასჯელს იხდიან 2007 წლის 19 სექტემბრიდან.

განაჩენით ვ. ლ-ძეს, ვ. ჩ-ძესა და ნ. ჩ-შვილს მსჯავრი დაედოთ ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქ. ლანჩხუთში მცხოვრებ ვ. ლ-ძეს, რომელიც რეგისტრირებულია ქ. ლანჩხუთში, 2007 წლის 29 აგვისტოს, დაახლოებით 24 საათზე, თავის საცხოვრებელ სახლში, მიაკითხეს მეგობრებმა, ქ. ლანჩხუთში, მცხოვრებმა ვ. ჩ-ძემ და ქალაქ ლანჩხუთში, მცხოვრებმა ნ. ჩ-შვილმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში. მათ გამოიხმეს სახლიდან ვ. ლ-ძე და შესთავაზეს, რომ ქალაქ ლანჩხუთში, ყაჩაღობის გზით, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ მოქალაქეთა კუთვნილი ნივთები, რაზედაც ამ უკანასკნელმა თანხმობა უთხრა. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი დაახლოებით 00.30 საათზე ბაზრის უკანა მხარეს არსებული ჭიშკრიდან შევიდნენ შპს "აგარულ ბაზარში", სახეზე აიფარეს მაისურები, შევიდნენ საყარაულო ჯიხურში და ბაზრის დარაჯ რ. ქ-ძეს მოსთხოვეს მათთვის გადაეცა ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიის გასაღები, რაზეც ამ უკანასკნელმა იმ მიზეზით, რომ მას გასაღები არ ჰქონდა, უარი უთხრა. ვ. ლ-ძემ რ. ქ-ძისაგან მიღებული უარყოფითი პასუხის შემდეგ ვ. ჩ-ძეს გამოართვა თანაქონი დანა, რომელიც დაადო ყელზე რ. ქ-ძეს და დაემუქრა მოკვლით, თუ იგი ხმას ამოიღებდა და მათ წინააღმდეგობას გაუწევდა. რადგანაც ვ. ლ-ძემ რ. ქ-ძის მიმართ გამოიყენა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა, იგი დაემორჩილა მის მოთხოვნას, რის შემდგომ ვ. ჩ-ძე და ნ. ჩ-შვილი მივიდნენ სავაჭრო დახლის ქვემოთ მოთავსებულ, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ნ. უ-ძისა და ქ. ლანჩხუთში, მცხოვრებ ჯ. მ-ძის კუთვნილ ხის ყუთებთან, გამოძიებით დაუდგენელი საგნის გამოყენებით გატეხეს მათზე არსებული ბოქლომები და გაიტაცეს ნ. უ-ძისა და ჯ. მ-ძის კუთვნილი, სარეალიზაციოდ შენახული სხვადასხვა დასახელების საოჯახო და საყოფაცხოვრებო საქონელი, კერძოდ: ნ. უ-ძის კუთვნილი 2 ქილა თაფლი, საერთო ღირებულებით 18 ლარი, 17 კოლოფი ჩაი, საერთო ღირებულებით 17 ლარი, 50 ცალი ქილის თავსახური, საერთო ღირებულებით 4 ლარი, 6 კოლოფი ყავა, საერთო ღირებულებით 6 ლარი, 30 კოლოფი "მაკარონი", საერთო ღირებულებით 18 ლარი, 20 კოლოფი ორცხობილა "პიკნიკი", საერთო ღირებულებით 4 ლარი, 6 კოლოფი ორცხობილა "იუბილენი", საერთო ღირებულებით 3 ლარი, საღებავი რეზინი -50 ცალი, საერთო ღირებულებით 2 ლარი და 50 თეთრი, შოკოლადი "ორორი" -30 ცალი, საერთო ღირებულებით 1 ლარი და 50 თეთრი, ნამცხვარი "კექსი" -8 ცალი, საერთო ღირებულებით 2 ლარი, 15 ცალი "იუპის" ფხვნილი, საერთო ღირებულებით 6 ლარი, 15 კოლოფი შავი პილპილი, საერთო ღირებულებით 4 ლარი და 50 თეთრი, 10 ცალი სხვადასხვა დასახელების შოკოლადი, საერთო ღირებულებით 2 ლარი და 50 თეთრი, 10 კოლოფი ე.წ. "კვეთი", საერთო ღირებულებით 4 ლარი, 7 კოლოფი კანფეტი "კარამელი", საერთო ღირებულებით 7 ლარი, 12 კოლოფი საფუარი, საერთო ღირებულებით 7 ლარი და 20 თეთრი, 5 კოლოფი ბრინჯი, საერთო ღირებულებით 6 ლარი, 4 კოლოფი მანი, საერთო ღირებულებით 4 ლარი, 10 კოლოფი ფხვნილი "მივინა", საერთო

ღირებულებით 2 ლარი და 50 თეთრი, 30 კოლოფი "გალინა ბლანკა", საერთო ღირებულებით 4 ლარი და 50 თეთრი, 3 კოლოფი ე.წ. "კისელის" ფხვნილი, საერთო ღირებულებით 3 ლარი, 7 კილოგრამი მარილი, საერთო ღირებულებით 2 ლარი და 45 თეთრი, 10 კოლოფი სიგარეტი "ასტრა", საერთო ღირებულებით 5 ლარი, 30 ცალი სანთებელა, საერთო ღირებულებით 12 ლარი და 40 თეთრი.

ჯ. მ-ძის კუთვნილი 17 კოლოფი სიგარეტი "ელემი", საერთო ღირებულებით 25 ლარი და 50 თეთრი, 27 კოლოფი სიგარეტი "პირველი", საერთო ღირებულებით 27 ლარი, 25 კოლოფი სიგარეტი "ასტრა", საერთო ღირებულებით 12 ლარი და 50 თეთრი, 2 კოლოფი ბრინჯი, საერთო ღირებულებით 2 ლარი, 2 კოლოფი მანი, საერთო ღირებულებით 2 ლარი, 5 კილოგრამი ბრინჯი, საერთო ღირებულებით 7 ლარი და 50 თეთრი, 9 ცალი ზეთი, საერთო ღირებულებით 27 ლარი, 15 კილოგრამი შაქარი, საერთო ღირებულებით 18 ლარი, 13 კოლოფი ტომატი სახელწოდებით "კიკტონი", საერთო ღირებულებით 31 ლარი, 22 კოლოფი სარეცხი ფხვნილი, საერთო ღირებულებით 22 ლარი, 19 კოლოფი ფეხსაცმლის საცხი, საერთო ღირებულებით 19 ლარი, 28 ცალი სანთებელა, საერთო ღირებულებით 8 ლარი, 10 კოლოფი შედედებული რძე, საერთო ღირებულებით 20 ლარი და 20 თეთრი, 2 კოლოფი ე.წ. "გავიადინა", საერთო ღირებულებით 4 ლარი, 10 ცალი ერთჯერადი საპარსი "ბიგი", საერთო ღირებულებით 5 ლარი, 7 კოლოფი სარეცხი ფხვნილი "არიელი", საერთო ღირებულებით 7 ლარი, 14 ცალი ბრიტვა, საერთო ღირებულებით 11 ლარი და 20 თეთრი, 8 ცალი საპარსი, საერთო ღირებულებით 8 ლარი, 26 ცალი ტუალეტის ქაღალდი, საერთო ღირებულებით 8 ლარი, 5 კოლოფი კამფეტი "კარამელი", საერთო ღირებულებით 5 ლარი, 4 კოლოფი ორცხობილა, საერთო ღირებულებით 8 ლარი, 5 კოლოფი ცერცვი, საერთო ღირებულებით 5 ლარი, 31 ცალი ე.წ. "კვეთი", საერთო ღირებულებით 19 ლარი და 70 თეთრი, 8 ცალი წებო "მომენტი", საერთო ღირებულებით 8 ლარი, 7 ცალი საპონი საერთო ღირებულებით 7 ლარი, 28 ცალი ნათურა საერთო ღირებულებით 14 ლარი.

ვ. ლ-ძის, ნ. ჩ-შვილის და ვ. ჩ-ძის ქმედებით დაზარალებულ ნ. უ-ძეს მიადგა 147 ლარისა და 5 თეთრის მატერიალური ზიანი, ხოლო ჯ. მ-ძეს -331 ლარისა და 60 თეთრის მატერიალური ზიანი.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემდეგ ვ. ლ-ძემ, ვ. ჩ-ძესა და ნ. ჩ-შვილთან ერთად გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა და მათ განიზრახეს, რომ რ. ქ-ძისათვის უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება. ამ მიზნით იგი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით შეიყვანეს შპს ტერიტორიაზე არსებულ, ყოფილი პურის საცხობის შენობის ნანგრევებში, სადაც დააწვინეს მიწაზე და იქ არსებული თოკებით შეუკრეს ხელ-ფეხი, აუხვიეს თვალები, პირზე შემოახვიეს ნაჭერი, რის შემდეგაც რ. ქ-ძე დატოვეს შენობაში, თავად კი მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, რითაც მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ვ. ლ-ძემ, ვ. ჩ-ძემ და ნ. ჩ-შვილმა ყაჩაღური გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული საოჯახო და საყოფაცხოვრებო საქონელი გადამალეს ლანჩხუთის ეზოში, მეორე დღეს კი მივიდნენ და თანაბრად გაინაწილეს პროდუქტი, რომელიც შემდეგ მოიხმარეს პირადი საჭიროებისათვის.

აპელანტები -მსჯავრდებულ ვ. ლ-ძის დამცველი, ადვოკატი ს. ა-ძე, მსჯავრდებულ ვ. ჩ-ძის დამცველი, ადვოკატი პ. ბ-ძე და მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის დამცველები, ადვოკატები -ნ. მ-ძე და შ. პ-ძე სააპელაციო საჩივრებით ითხოვდნენ მსჯავრდებულების მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მათ გამართლებას იმ მოტივებით, რომ განაჩენი არის უკანონო, ცალმხრივი და არასრული. ბრალდება დამყარებულია მხოლოდ მსჯავრდებულთათვის წინასწარ გამოძიებაში მათგან გამოძალულ აღიარებით ჩვენებებზე. ამასთან, საქმეზე დაკითხული არც ერთი მოწმისა და არც დაზარალებულის ჩვენებებით არ დასტურდება მსჯავრდებულთა მონაწილეობა აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის ადვოკატებმა -ნ. მ-ძემ, შ. პ-ძემ, ასევე, მსჯავრდებულ ვ. ჩ-ძის დამცველმა, ადვოკატმა პ. ბ-ძემ საკასაციო საჩივრებით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მათ აღნიშნეს, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. იგი გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო ნორმების დარღვევით, ყოველგვარ მტკიცებულებათა გარეშე. კასატორებმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე -საქმის შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი ვ. ლ-ძის, ვ. ჩ-ძისა და ნ. ჩ-შვილის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

მსჯავრდებულებმა - ვ. ლ-ძემ, ვ. ჩ-ძემ და ნ. ჩ-შვილმა წინასწარი გამოძიების ეტაპზე აღიარეს ჩადენილი დანაშაული, რაც ასევე დაადასტურეს ჩვენების ადგილზე შემოწმებისას, ხოლო ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას უარყვეს მათ მიერ დანაშაულის ჩადენა, რაც სამივე მათგანმა ახსნა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულებმა მხარი დაუჭირეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში შეცვლილ პოზიციას, თუმცა საბოლოო სიტყვაში მსჯავრდებულმა ნ. ჩ-შვილმა კვლავ აღიარა ჩადენილი დანაშაული და განაცხადა, რომ ვ. ლ-ძე და ვ. ჩ-ძე არაფერ შუაში იყვნენ განსახილველ დანაშაულთან; რომ აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა მან, ხოლო ვ. ლ-ძე და ვ. ჩ-ძე უდანაშაულოები არიან; რომ მან დანაშაული ჩაიდინა გ. ჩ-ვასა და ვინმე "ზვიადისთან" ერთად, რომლის გვარიც არ იცის, თუმცა მათი ამოცნობა შეუძლია.

მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალური ვითარების გარკვევა და, შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარევიზიო წესით პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ განაჩენი უნდა გადაისინჯოს მსჯავრდებულ ვ. ლ-ძის მიმართაც.

ზემომოთხატულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ არ აღმოფხვრა და არ გამოიკვლია მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობის მიზეზები, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს, რითაც დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 539-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნა. იგივე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად კი: "წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება".

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

რამდენადაც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, უნდა გაუქმდეს განაჩენი და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის მიერ საბოლოო სიტყვაში ჩამოყალიბებული ახალი გარემოებები და ამ გარემოებების ირგვლივ ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს კვლავ უნდა დაიკითხოს მსჯავრდებულები ნ. ჩ-შვილი, გაირკვეს, თუ ვინ არიან მის მიერ დასახელებული პირები - გ. ჩ-ვა და ვინმე "ზ-ი", რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის I ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის ადვოკატების - ნ. მ-ძის, შ. პ-ძისა და მსჯავრდებულ ვ. ჩ-ძის დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი ვ. ლ-ძის, ვ. ჩ-ძისა და ნ. ჩ-შვილის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. კერძო საჩივარზე უარის თქმა

ხარვეზის გამო

განჩინება

#231-08

30 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკითხი მსჯავრდებულ გ. თ-შვილის მიერ წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

გამოარკვია:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ გ. თ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე. აღნიშნული განჩინების თაობაზე გ. თ-შვილმა 2008 წლის 13 მაისს განცხადებით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას. ვინაიდან კერძო საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სსკ-ის 552-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში არსებული ხარვეზის შესავსებად მსჯავრდებულ გ. თ-შვილს, საქართველოს სსკ-ის 552-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიეცა კანონით გათვალისწინებული 5 -დღიანი ვადა.

წერილი კერძო საკასაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შევსების მოთხოვნით მსჯავრდებულ გ. თ-შვილს ჩაჰბარდა 2009 წლის 5 იანვარს. ვინაიდან მიცემულ ვადაში მსჯავრდებულს ხარვეზი არ შეუვსია, რაც დასტურდება უზენაეს სასამართლოში 2009 წლის 26 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #1 საპყრობილიდან შემოსული მმართველით, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. თ-შვილს კერძო საკასაციო საჩივრის განხილვაზე უნდა ეთქვას უარი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 552-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. თ-შვილს მის მიერ წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის განხილვაზე ეთქვას უარი, საჩივარში არსებული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. კანონის არასწორი გამოყენება

განჩინება

#53-აპ

7 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით ი. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით ჯარიმა 500 ლარი, 250 დღიური ანაზღაურებით, დღიური ანაზღაურება -2 ლარი, მე-19,

379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ი. კ-ძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ნაწილობრივ დაემატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 24 მაისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -9 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ი. კ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო დანაშაულის ჩადენის დღიდან -2002 წლის 29 მარტიდან და სასჯელის მოხდის დასასრულად განესაზღვრა 2016 წლის 29 სექტემბერი.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი გაზის პისტოლეტი #06554, მჭიდითა და ხუთი ვაზნით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეგზავნოს შს სამინისტროს შესაბამის სამსახურს, ხოლო დანა, ყალბი პირადობის მოწმობა, ტყავის ბუდე -განადგურდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 მაისის დადგენილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 აპრილის განაჩენში აღმოიფხვრა უზუსტობა და სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: "ი. კ-ძეს სასჯელის ათვლა დაეწყო დანაშაულის ჩადენის დღიდან -2002 წლის 29 მარტიდან და სასჯელის მოხდის დასასრულად განესაზღვროს 2015 წლის 29 სექტემბერი".

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ი. კ-ძის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ი. კ-ძე სასჯელს იხდიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ავჭალის #6 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. იგი სამოქალაქო მოპასუხის სტატუსით მონაწილეობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო სხდომებში, რა დროსაც ბადრაგის თანხლებით ხდებოდა მისი გადაადგილება სასჯელადსრულების დაწესებულებიდან სასამართლო სხდომებზე. მან დაუდგენელი თანამონაწილეებისაგან სასჯელადსრულების დაწესებულებაში შეიძინა გერმანული წარმოების გაზის პისტოლეტი თავისი ვაზნებით. მანვე შეიძინა ოფიციალური დოკუმენტი -საქართველოს შს სამინისტროს დაცვის პოლიციის თანამშრომელ თ. ლ-ზე გაცემული პირადობის მოწმობა, რათა გაეცევის შემდეგ მოწმობის გამოყენებით ესარგებლა თავისუფლად გადაადგილებისა და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარების უფლებით. მან დაუდგენელი თანამონაწილის დახმარებით მოამზადა ხსენებული საგნები და 2002 წლის 29 მარტს, დაახლოებით 12.30 საათზე, გაზის პისტოლეტი და პირადობის მოწმობა, აგრეთვე, თავისი კუთვნილი დასაკეცი დანა შეიტანა საბადრაგო ავტომანქანაში, რომლითაც უნდა მომხდარიყო ი. კ-ძის ბადრაგირება ავჭალის #6 დაწესებულებიდან თბილისის საოლქო სასამართლოში. ხსენებული სასჯელადსრულების დაწესებულების ტერიტორიიდან გამოსვლისას საბადრაგო ავტომანქანაში ი. კ-ძე, გაზის პისტოლეტით და დანით შეიარაღებული, თავს დაესხა გამცილებელ გუშაგებს -რ. ტ-ძეს, გ. ჭ-ლს და სცადა ბადრაგირებისას გაეცევა, რაც ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. რ. ტ-ძემ და გ. ჭ-მა ი. კ-ძე განაიარაღეს და აღკვეთეს მისი დანაშაულებრივი ქმედება - გაეცევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ი. კ-ძის განცხადება და აღუდგა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 აპრილის განაჩენის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სააპელაციო გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით აღმოიფხვრა ი. კ-ძის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებაში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობა და მის სარეზოლუციო ნაწილში ჩაიწერა: "თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ ი. კ-სათვის მისჯილ 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატოს ამ განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ი. კ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 6 თვით, რომლის მოხდა დაეწყო 2002 წლის 29 მარტიდან".

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 აპრილის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აპრილის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენში ი. კ-ძის მიმართ შევიდა შემდეგი დაზუსტება, კერძოდ, გა-

ნაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მეშვიდე აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ი. კ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო პირველი ინსტანციის მიერ განაჩენის მიღების დღიდან -2006 წლის 12 აპრილიდან".

მსჯავრდებული ი. კ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში მის სასარგებლოდ ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. სასჯელის ვადის საბოლოო დაჯამებისას მხედველობაში იქნეს მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება, რომლითაც აღმოიფხვრა ბუნდოვანება-უზუსტობა თავისუფლების აღკვეთის ვადის განსაზღვრაში და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის დასაწყისი -2002 წლის 29 მარტი. საბოლოოდ 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს 7 წლამდე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო, ძირითადად, ორ გარემოებას, კერძოდ:

1. პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა მის საქმეს არ ეხებოდა, ვინაიდან ამ მუხლში საუბარია სააპელაციო ინსტანციის მიერ განაჩენის გაუქმებაზე. საქმე დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით და რადგანაც საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლზე უშუალო აპელირება არ ხდება საქართველოს სსსკ-ის 57-ე თავში (კასაცია), აღნიშნული ნორმა მის საქმესთან მიმართებით არ ვრცელდებოდა.

2. სააპელაციო პალატამ უკანონოდ მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება მისთვის სააპელაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, რაც, პალატის აზრით, ეწინააღმდეგება სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-4 ნაწილს.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, სამართლებრივი ლოგიკიდან გამომდინარე, თავისი არსით განეკუთვნება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს და იგი ახდენს ქვედა სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების რევიზიას. ვიწრო გაგებით, იმის აქცენტირება, რომ თითქოს კანონმდებელმა საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-6 ნაწილში მხოლოდ სააპელაციო სასამართლო იგულისხმა და არა -მთლიანი სპექტრი სააპელაციო ინსტანციისა, პირდაპირ მიუთითებს მიკერძოებაზე და უშუალოდ გამოკვეთავს სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, ვინაიდან სააპელაციო პალატამ, თანახმად სსსკ-ის 564-ე მუხლის „ა“ პუნქტისა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

რაც შეეხება პალატის მსჯელობას სააპელაციო საჩივართან მიმართებით ვითომდა უკანონოდ აღდგენილ ვადას, ეს ფაქტიც ცალსახად მიუთითებს სააპელაციო პალატის ტენდენციურ დამოკიდებულებაზე, ვინაიდან სააპელაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა ან არ აღდგენა უშუალოდ განაჩენის გამომტანი სასამართლოს პრეროგატივაა და მისი მართებულობის კვლევა არ წარმოადგენს სააპელაციო პალატის კომპეტენციას, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც თვით ბრალდების მხარესაც კი არ დაუყენებია ეჭვქვეშ აღნიშნული ვადის აღდგენის კანონიერება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულების -რ. ტ-ძისა და გ. ჭ-ლის; მოწმეების -ვ. ხ-იას, პ. მ-ძის, ო. ვ-ვის, ბ. ჯ-ლის, დ. ე-ძის, რ. წ-ვას, თ. ლ-ძის, ზ. ჯ-სა და დ. მ-ლის ჩვენებებით; საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებით; საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერად ცნობის დადგენილებით; სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით; ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით მსჯავრდებულ ი. კ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა უდავოდ დადასტურებულია.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მიერ განაჩენში მოყვანილ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: "თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ გააუქმა განაჩენი დაცვის მხარის საჩივრით, როცა ბრალდების მხარის საჩივარი არ არსებობს, დამატებითი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისას ბრალდებულის მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს". აქ

საუბარია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გაუქმებაზე და აღნიშნულზე მითითება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე თავში (კასაცია) არ არის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე თავში პირდაპირ არ იყო მითითება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს ამ შემთხვევაში უნდა ეხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი პრინციპებით, კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 21-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: "ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს საჩივარი გამოიყენოს საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის საზიანოდ, რომლის ინტერესების დასაცავად იგი იყო შეტანილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვა პირმა, ან ორგანომ შეიტანა საწინააღმდეგო ხასიათის საჩივარი, ანდა საჩივრის შემოწმებისას დადგინდა სხვა გარემოებანი".

საქართველოს სსსკ-ის 240-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: "საჩივრის გამო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ან თანამდებობის პირს შეუძლია შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ანდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, თუ ამას არ მოჰყვება საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის მდგომარეობის გაუარესება, რომლის ინტერესებისათვისაც იყო იგი შეტანილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჩივარი იმავე საფუძვლით შეიტანა საპირისპირო მხარემ".

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქმის განხილვის დროს არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რითაც მსჯავრდებულ ი. კ-მის მდგომარეობა დამძიმდა. საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს განაჩენის საკასაციო წესით შეცვლის საფუძველს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის განაჩენით ი. კ-მე გამართლდა საქართველოს სსსკ-ის 19,379-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნული განაჩენი ბრალდების მხარეს სადავოდ არ გაუბდი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით ი. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის 19,379-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითაც, რაც უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს ი. კ-მე არ უნდა ეცნოთ დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის მე-19, 379-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, რადგან იგი ამ ნაწილში გამართლებული იყო.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ი. კ-მის მიმართ სასჯელის საბოლოო ვადის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება, რომლითაც აღმოიფხვრა ი. კ-მის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებაში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობა და მის სარეზოლუციო ნაწილში ჩაიწერა: "თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ ი. კ-სათვის მისჯილ 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატოს ამ განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ი. კ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 6 თვით, რომლის მოხდა დაეწყოს 2002 წლის 29 მარტიდან".

ამავე დროს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. კ-მე საქართველოს სსსკ-ის 361-ე მუხლით დანიშნული სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. კ-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის მე-19, 379-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში. ი. კ-მეს საქართველოს სსსკ-ის 19,379-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ი. კ-მეს მოსახდელად უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც უნდა დაეწყოს 2006 წლის 12 აპრილიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ი. კ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ი. კ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 19,379-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

"ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. კ-მ საქართველოს სსკ-ის 361-ე მუხლით დანიშნული სასჯელისაგან გათავისუფლდეს.

ი. კ-მ საქართველოს სსკ-ის მე-19, 379-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ი. კ-მ მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა

ი. კ-მ სასჯელის მოხდა დაეწყოს 2006 წლის 12 აპრილიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონის არასწორი გამოყენება

განჩინება

#82-აპ-09

9 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის დამცველის, ადვოკატ რ. ხ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით ა. ჩ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

იმავე განაჩენით მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 100 000 ლარის ოდენობით.

განაჩენით ა. ჩ-შვილს მსჯავრი დაედო თაღლითობისათვის, ესე იგი სხვისი ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღებაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

1999 წლის აგვისტოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მეგობრული ურთიერთობის გამოხატვის ნიშნად, საქართველოს მთავრობას ეკონომიკური სიძნელეების გადალახვის ხელშეწყობის მიზნით, ჩინური ხის საშრობი მანქანა-დანადგარების შესაძენად გამოუყო სამი მილიონი იუანის ოდენობით უსასყიდლო დახმარება -გრანტი. გრანტის მიმღებ საქართველოს მთავრობის უფლებამოსილ ორგანოდ დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, რომელსაც, თავის მხრივ, დაევალა გრანტის ათვისებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება -შპს "საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს" მეშვეობით და გრანტის ფარგლებში შეძენილი პროდუქციის ტენდერში გამარჯვებული მომხმარებლისათვის გადაცემა ლიზინგის ფორმით. მომხმარებლისთვის გადაცემულ პროდუქციაზე მესაკუთრის უფლებას იტოვებდა მმართველი ორგანო, მისი ღირებულებიდან დასაბრუნებელი თანხის სრულ ჩარიცხვამდე ეროვნულ ბანკში გახსნილ დეპოზიტზე. აღნიშნული თანხა უნდა დაფარულიყო პროდუქციის დამონტაჟებიდან შვიდი წლის განმავლობაში, ყოველ კვარტალურად -თანაბარ ნაწილებად (გადახდისაგან თავისუფლი პერიოდი -პროდუქციის დამონტაჟებიდან სამი წელი), ხოლო პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემა უნდა მომხდარიყო ფინანსური (მომხმარებელს წინასწარ უნდა გადაეხადა დანადგარების ღირებუ-

ლების 10 პროცენტი) და მატერიალური უზრუნველყოფის საფუძველზე (მომხმარებელთან ფორმდებოდა გირავნობის ხელშეკრულება დანადგარების ღირებულების 20 პროცენტზე).

ა. ჩ-შვილმა, რომელიც წარმოადგენდა სს-ს ხელმძღვანელ, დამფუძნებელ პირს გ. ა-იანთან და სხვა პარტნიორებთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად განიზრახა, თაღლითურად მიეღო სახელმწიფოს კუთვნილი ქონება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ა. ჩ-შვილის მითითებით, სს დირექტორმა გ. ა-იანმა 2001 წლის 26 ივლისს წარადგინა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის თაობაზე და მოითხოვა 748.477.7 ლარის ღირებულების ჩინური ხის საშრობი მანქანა-დანადგარების კომპლექტის შეძენა. 2001 წლის 17 აგვისტოს საუწყებათაშორისო სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სს-ს ზემოაღნიშნული განაცხადება და 2001 წლის 28 სექტემბერს სს და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შორის გაფორმდა #1 ლიზინგის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს სს-ს დირექტორმა გ. ა-იანმა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე გ. მ-ნიამ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე სს გადაეცა 748.477.7 ლარის ღირებულების ხის საშრობი შემდეგი დანადგარები: ხის საშრობი კამერა 100მ³ ნედლი მასალის ტევადობით -4 ცალი, საქვაბე სისტემა -1 ცალი, 2 ტონა ტვირთამწეობის ამწე -1 ცალი და ელექტროგენერატორი, სიმძლავრით 128 კვტ_1 ცალი.

რადგან ა. ჩ-შვილს, გ. ა-იანსა და მათ პარტნიორებს განზრახული ჰქონდათ თაღლითური გზით ქონებრივი უფლების მიღება, ისე, რომ არ გადაეხადათ მათთვის #1 ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ხის საშრობი მანქანა-დანადგარების საზღაური, 2003 წლის 10 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრიდან მათ მოიპოვეს ყალბი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ხის საშრობი მანქანა-დანადგარები იყო უფარვისი და მასში შესაძლებელი იყო 60მ³ ხის მასალის გამოშრობა, ნაცვლად ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული 100 კუბური მეტრისა.

2003 წელს ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე ა. ჩ-შვილმა, გ. ა-იანმა და მათმა პარტნიორებმა სარჩელით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს და შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ისინი თავიანთი სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ საქართველოს მთავრობისაგან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურებას. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით და შემდეგ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით, მათ მიერ წარდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ხის საშრობი მანქანა-დანადგარები საკუთრების უფლებით გადაეცა სს, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ვალების ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჩ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა რ. ხ-იამ, რომელიც თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ა. ჩ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას შემდეგი მოტივებით: განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალი არის ყოვლად დაუსაბუთებელი და არ დასტურდება უტყუარი მტკიცებულებებით; სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდაა უარყოფილი საქმეში არსებული ობიექტური მტკიცებულებები, როგორც არის ექსპერტიზების დასკვნები, მიუკერძოებელ მოწმეთა ჩვენებები, რის გამოც ზემოაღნიშნული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან ა. ჩ-შვილის მიერ ჩადენილ ქმედებას ითვალისწინებდა ასევე იმავე მუხლის უფრო მძიმე, მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, რის გამოც მისი ქმედების კვალიფიკაცია მოხდა რა მოცემული მუხლის უფრო მძიმე ნაწილით, მსჯავრდებული ა. ჩ-შვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის (2000 წლის 5 მაისის მოქმედი რედაქცია) საფუძველზე. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა რ. ხ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და ა. ჩ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. კასატორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს შემდეგი მოტივებით:

ა. ჩ-შვილს თაღლითობა არ ჩაუდენია, რადგან სს მერქნის საშრობი დანადგარი ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მოტყუებით არ მიუღია; აღნიშნული დანადგარი მას მიეკუთვნა სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეთა შორის არსებული სამოქალაქო დავის გადაწყვეტის შედეგად; არავითარი მტკიცებულებით არ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულებს -ა. ჩ-შვილსა და გ. ა-იანს შორის არსებობდა რაიმე შეთანხმება თაღლითობის ჩადენის თაობაზე; არავითარი საფუძველი არ არსებობს დასკვნისათვის, რომ ა. ჩ-შვილმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრიდან მოიპოვა ყალბი საექსპერტო დასკვნა, რომლის მეშვეობით მოახერხა სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, რადგან აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დადასტურებულია სასამართლო გამოძიებით, მისი დამდგენი ექსპერტების ჩვენებებითა და საქმეზე ჩატარებული ორი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით; სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ გაცემულ დასკვნას, რომლითაც სასამართლო ადგენს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრის მიერ გაცემული დასკვნა არის ყალბი, არავითარი დასაბუთებული საფუძველი არ გააჩნია და იგი გაცემულია არაკომპეტენტური პირის მიერ, რაც გამოიწვია სასამართლოში მისი დაკითხვისას, რის გამოც იგი დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს. მერქნის საშრობი დანადგარები, რომლებიც სს მიიღო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსაგან, არ შეესაბამება აღნიშნული დანადგარის მწარმოებლის -ხარბინის ხე-ტყის საშრობი ქარხნის მიერ დადგენილ იმ პარამეტრებს, რომლებიც აუცილებელია ისეთი დანადგარებისათვის, რომლებშიც შეიძლება გამოშრეს 100მ³ მოცულობის მერქანი; სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს და მთლიანად ეწინააღმდეგება ობიექტურ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებითაც არ დგინდება ა. ჩ-შვილის ქმედებაში რაიმე დანაშაულის შემადგენლობის არსებობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში ა. ჩ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას არ იქნა დაცული საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, რამაც ხელი შეუშალა კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენას. ამასთან, შეუძლებელი გახდა საკასაციო ინსტანციაში საბოლოო დასკვნის გამოტანა ა. ჩ-შვილის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე. კონკრეტულად აღნიშნული დარღვევა გამოიხატა შემდეგში: სასამართლო გამოძიებისას არ გარკვეულა: მერქნის საშრობ დანადგარს, რომელიც საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ გადასცა სს, ახლდა თუ არა თან შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია და რა მონაცემები იყო მასში მითითებული აღნიშნული მარკის მერქნის საშრობი დანადგარის თაობაზე (საშრობ კამერებში მერქნის დაწყობისა და შრობის ტექნოლოგია, შრობის ტექნოლოგიის დაცვისას თითოეული საშრობი კამერის მოცულობითი ტევადობა, მერქნის შრობის სხვა ტექნიკური პირობები და სხვა); რატომ არ იქნა მოძიებული და პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული აღნიშნული ტექნიკური დოკუმენტები; ექსპერტიზის დროს ჩატარდა თუ არა დანადგარში მერქნის საცდელი შრობა და რა შედეგები იქნა მიღებული, ხოლო საცდელი შრობისას იყო თუ არ დაცული ის ტექნოლოგიური პროცესი, რაც გათვალისწინებულია მოცემული ტიპის საშრობი დანადგარისათვის; რატომ არ დაკითხეს საქმეზე ის პირები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს წარმოადგენდნენ სს შეთანხმების დადების დროს და რა პირობებზე იყვნენ მხარეები შეთანხმებულნი. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში არ ასაბუთებს, თუ რომელი ობიექტური მტკიცებულებებით არის უტყუარად დადგენილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრის დასკვნის სიყალბე, რის გარკვევასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ა. ჩ-შვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება მის მიერ თაღლითობის ჩადენის თაობაზე ეფუძნება შემდეგ ვერსიას: ა. ჩ-შვილის თაღლითობა გამოიხატა იმაში, რომ მან მოიპოვა და გამოიყენა ექსპერტიზის ყალბი დასკვნა, რომელიც გაცემული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრის ექსპერტების მიერ. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე, სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საექსპერტო დასკვნის გამცემი ექსპერტები გამოიძახეს და დაკითხეს ამ საექსპერტო დასკვნის თაობაზე, რომლებმაც დაასაბუთეს მისი სისწორე, ისევე როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი ნ. ბ-ნია ასაბუთებდა თავის მიერ გაცემული, საპირისპირო შინაარსის მქონე საექსპერტო დასკვნის სისწორეს. ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, რის საფუძველზე მიიჩნია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრის

მიერ გაცემული დასკვნა არის მცდარი, ხოლო მისი საპირისპირო დასკვნა კი -სწორი. ამასთან, სასამართლოს არც ის დაუსაბუთებია -რა საფუძველზე მიიჩნია, რომ არასწორი საექსპერტო დასკვნა განზრახ, შეგნებულად გაიცა, ანუ ჩადენილ იქნა სიყალბე. ამ შემთხვევაში გ. ა-იანის მიმართ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებზე, როგორც პრეიუდიციულ ფაქტზე მითითება, ვერ გამოდგება საკმარის საფუძველად, რადგან ამ განაჩენში საერთოდ არაფერია მითითებული იმის თაობაზე, თუ რა ობიექტური მტკიცებულებებით არის დადასტურებული სადავო საექსპერტო დასკვნის სიყალბე.

ამავე დროს, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე საერთოდ არ გაარკვია, რომელი მოდელის მერქნის საშრობი დანადგარი იყო გარიგების საგანი სს და ხსენებულ სამინისტროს შორის და რომელი მოდელის დანადგარზე იქნა ჩატარებული ექსპერტიზები. საყურადღებოა, რომ არც ერთ საპროცესო დოკუმენტში (საბრალდებო დასკვნისა და განაჩენების ჩათვლით) და არც ერთ საექსპერტო დასკვნაში არ არის მითითებული იმ მერქნის საშრობი დანადგარის მოდელი, რომელიც სს მიიღო ეკონომიკის სამინისტროსგან. აღნიშნულის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად, რადგან საშრობ კამერებში მერქნის ტევადობის მოცულობითი ზომები პირდაპირ კავშირშია დანადგარის მოდელთან. ამას ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე მტკიცებულების სახით დართული დოკუმენტი, რომელიც ინტერნეტ-საიტებიდან მოიპოვა და სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა დაცვის მხარემ. ეს არის ხარბინის ხე-ტყის შრობის მოწყობილობის ქარხანა "ხუა-ი-ს" მიერ გაცემული მონაცემები თვით ქარხნისა და ასევე მის მიერ დამზადებული ხის მერქნის საშრობი მოწყობილობების შესახებ, რომელშიც მოცემულია ამ უკანასკნელთა მოდელების დასახელება და მონაცემები თითოეული მათგანის პარამეტრების შესახებ. მასში მითითებულია, რომ 100მ³ ხის მასალის გამოსაშრობი კამერის ზომებია 8,6X8,0X5,7, რაც წარმოადგენს 392,16მ³-ს და რაც აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტ ნ. ბ-ნიას მიერ ექსპერტიზის ჩატარებისას შემოწმებული საშრობი დანადგარის კამერის მოცულობით ზომებსა და პარამეტრებს, ხოლო ასეთი არსებითი წინააღმდეგობა სასამართლომ გაურკვეველი დატოვა.

რაც შეეხება სს და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების #1 დანართში მითითებულ გამოსაშრობ კამერაში ტევადი ხის მასალის მოცულობას (100მ³), გარკვეულია, რა დოკუმენტურ საფუძველზე და რომელი წყაროდან არის იგი აღებული.

ყოველივე ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენის დადგენისას დაუშვა სხვა არსებითი საპროცესო დარღვევაც -სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ: სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რის საფუძველზეც მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილს შეუფარდა დამატებითი სასჯელი -ჯარიმა 100 000 ლარის ოდენობით. ეს აშკარად არასწორი იყო, რადგან იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კანონით, როდესაც განაჩენის მიხედვით ა. ჩ-შვილმა ქმედება ჩაიდინა, დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნა დაუშვებელი იყო, თუკი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციით ჯარიმა არ იყო გათვალისწინებული (საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი -2001 წლის 19 ივნისის რედაქცია), ხოლო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) სანქციები ჯარიმას არ ითვალისწინებდა.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ ა. ჩ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა," "ბ" ქვეპუნქტებში, იმავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 564-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტში მითითებული დარღვევები, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველია. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებული განაჩენის წინააღმდეგ გამოთქმულ სხვა კონკრეტულ შენიშვნებსა და არგუმენტებს, მათი საფუძველიანობა უნდა შემოწმდეს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვის პროცესში. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია, გაკეთდეს საბოლოო დასკვნა მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რის გამოც საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

საბოლოოდ საკასაციო პალატა, განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენი ა. ჩ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში ამ საქმის არსებითი, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის მემშვეობით უნდა გაირკვეს ყველა ზემოაღნიშნული საკითხი, რომლებსაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ა. ჩ-შვილის ბრალეულობის დასადგენად. ამისთვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებუ-

ლი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა, რათა ამ პროცესში მოპოვებული უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე სწორად დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ჩ-შვილის დამცველის, ადვოკატ რ. ხ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენი ა. ჩ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სარევიზიო საწყისი

განჩინება

#151-აპ-09

4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ნ-იასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის განაჩენით:

ნ. ნ-იას საბრალდებო დასკვნიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტი, 239-ე მუხლის III ნაწილი და 178-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტი, როგორც ტექნიკური უზუსტობით, ზედმეტად წარდგენილი ბრალდება.

ნ. ნ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით -7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ნ. ნ-იას საბოლოოდ განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 აგვისტოდან.

ლ. ა-ძეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაუკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილზე.

ლ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველო სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 აგვისტოდან.

ზ. წ-ძეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაუკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილზე.

ზ. წ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველო სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 აგვისტოდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების -ნ. ნ-იას, ლ. ა-ძისა და ზ. წ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 17 აგვისტოს, დაახლოებით 4.00 საათიდან 5.00 საათამდე დროის მონაკვეთში, ნ. ნ-ია იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე, რა დროსაც დაუდგენელ პირთან

ერთად განიზრახა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით დაუფლებოდა მოქალაქეთა მოძრავ ნივთს. სასურველ ობიექტად შეარჩიეს ახალგაზრდობის გამზირზე ფეხით მოსიარულე ზ. მ-ძე, რომელსაც უთხრეს, რომ იყვნენ ე.წ. „კაი ბიჭები“ და მოსთხოვეს ფულადი თანხა. უარის მიღების შემდეგ ნ. ნ-იას თანმხლებმა პირმა ზ. მ-ძეს მოუქნია თანხაქონი ფიქსატორიანი დანა, ხოლო ნ. ნ-იამ ჩაარტყა თავში ლუდის ბოთლი, რის შედეგადაც ზ. მ-ძემ დაკარგა გონი. ამის შემდეგ ნ. ნ-ია და მისი თანმხლები პირი დაეუფლნენ ზ. მ-ძის კუთვნილ 2000 აშშ დოლარს, 200 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

იმავე დღეს, დაახლოებით 6.00 საათზე, ნ. ნ-ია ლ. ა-ძესთან, ზ. წ-ძესა და გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად მოძრაობდა ახალგაზრდობის გამზირზე ზ. წ-ძის კუთვნილი „ბმგ-ს“ მარკის ავტომანქანით, მათ შეამჩნიეს ქუჩაში ფეხით მოსიარულე, არატრადიციული ორიენტაციის მქონე ა. ბ-ძე და ა. ა-ძე. მათ განიზრახეს უხეშად დაერღვიათ საზოგადოებრივი წესრიგი, გამოეხატათ საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა და ძალადობის მუქარით მიაყენეს ა. ბ-ძეს და ა. ა-ძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, აგინებდნენ დედას და ახლობლებს, ემუქრებოდნენ, რომ სცემდნენ, „დაჩეხავდნენ“ და დაამყარებდნენ მათთან იძულებით სქესობრივ კავშირს. მათ გააჩერეს ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა ნ. ნ-ია, რომელსაც ხელში ეკავა ფიქსატორიანი გასაშლელი დანა, რითაც დაემუქრა ა. ბ-ძეს, რომ „გამოჭრიდა ყელს და გამოასალმებდა სიცოცხლეს“. აღნიშნულ მომენტში ნ. ნ-იამ განიზრახა არაერთგზის, აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს და ა. ბ-ძეს ყელიდან ჩამოგლიჯა 35 გრამიანი, 1100 აშშ დოლარად ღირებული ოქროს ყელსაბამი თავისივე მედალიონით, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

ნ. ნ-იას მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გადაკვალიფიცირდა, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

ნ. ნ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით -7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ ნ. ნ-იას განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 აგვისტოდან.

ლ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 აგვისტოდან.

ზ. წ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 17 აგვისტოდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს, ბოლო აბზაცის წინ დაემატა შემდეგი შინაარსის წინადადება: საქმეზე დართული, მსჯავრდებულ ზ. წ-ძის კუთვნილი ავტომობილის ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთები -400 აშშ დოლარი და 128 ლარი უნდა დაუბრუნდეს მფლობელს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

კასატორები -მსჯავრდებული ნ. ნ-ია და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. გ-ძე საკასაციო საჩივრებით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა; საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება ამორიცხავს ნ. ნ-იას მიმართ წარდგენილ ბრალდებებს როგორც ყაჩაღობის, ასევე ძარცვის ეპიზოდებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, სარევიზიო წესით შეამოწმა საქმის მასალები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ნ. ნ-იასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. გ-ძის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ნ. ნ-იას განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულები, რადგან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დაზარალებულების: ა. ბ-ძის, ა. ა-ძისა და ზ. მ-ძის ჩვენებებით, მოწმეების - ა. მ-ძის, ი. ლ-ძის, შ. გ-იანისა და ბ. ტ-შვილის ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა

მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა -ნ. ნ-აიამ, ლ. ა-ძემ და ზ. წ-ძემ ჩაიდინეს მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულები.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ნ. ნ-ას დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, პალატამ სარევიზიო წესით იმსჯელა მსჯავრდებულების -ლ. ა-ძისა და ზ. წ-ძის მიმართაც და თვლის, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულები: ლ. ა-ძე და ზ. წ-ძე საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან უნდა გათავისუფლდნენ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, 567-ე, 568-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ლ. ა-ძე საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდეს.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ზ. წ-ძე საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდეს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

11. საქმეთა გაერთიანება საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით

განჩინება

#1256-აპ-08

27 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ქ-შვილის დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ქ-შვილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის განაჩენით თ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის,

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად -ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად -ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და აღნიშნული განაჩენით თ. ქ-შვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, ასევე ჯარიმა -5500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, რასაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელები -თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით, ასევე ჯარიმა -4000 ლარის ოდენობით, რის გამოც თ. ქ-შვილს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლისა და 9 თვის ვადით, აგრეთვე დამატებითი სასჯელის სახით -ჯარიმა 9500 ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის განაჩენებით თ. ქ-შვილს მსჯავრი დაედო შემდეგისათვის:

იგი 1998 წლის 2 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 91-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რისთვისაც მას მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც იმავე კოდექსის 47¹ მუხლის საფუძველზე გადაევადა 2 წლით.

1998 წლის 1 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ თ. ქ-შვილი გაასამართლა საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 91-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რისთვისაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. 1999 წლის 30 იანვარს იგი შეწყალბულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ და გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან ვადაზე 2 წლითა და 6 თვით ადრე, იმავე გამოსაცდელი ვადით.

1999 წლის 10 აგვისტოს თ. ქ-შვილი ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 91-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2002 წელს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლომ თ. ქ-შვილი გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "გ", "დ" ქვეპუნქტების (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) საფუძველზე, რის გამოც მას მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2007 წლის მაისის დასაწყისში თ. ქ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, წინასწარი გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 1943 წლის ნი-მუშის, 7,62 მმ კალიბრის "კალაშნიკოვის" კონსტრუქციის ავტომატისა და კარაბინის ხელის ტყვიამფრქვევისათვის განკუთვნილი 5 სამხედრო ვაზნა, რომლებიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. მითითებულ სამხედრო ვაზნებს იგი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ხელვაჩაურის რაიონში, თავის საცხოვრებელ სახლში არსებულ საძინებელ ოთახში, საწოლის ზეწრის ქვეშ. აღნიშნული ვაზნები 2007 წლის 13 მაისს გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების პოლიციის თანამშრომლებმა.

მანვე, ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის ძებნილმა, იყო რა ორჯერ ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, ნასამართლობის მოხსნამდე და გაქარწყლებამდე, არაერთგზის ჩაიდინა ქურდობა, კერძოდ, 2007 წლის 13 ივნისს, დაახლოებით 1 საათიდან 6 საათამდე შუალედში, გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, მივიდა ქ. ბათუმში მდებარე მოქალაქე რ. ა-ძის კუთვნილ ლუდის კაფე-ბართან. აღნიშნული შენობის უკანა მხარეს არსებული, დამცავი რკინის კონსტრუქციის გისოსების გამოხრევით მათ უკანონოდ შეადრწეს შენობაში და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ დაზარალებულ რ. ა-ძის კუთვნილ: 1 ცალ "ლომისის" ფირმის ლუდის ჩამოსასხმელ აპარატს, ღირებულს 1000 ლარად; 2 ცალ ლუდის უჟანგავი რკინის კონსტრუქციის 50 -ლიტრიან ბოცას, ღირებულს 167 ლარად, რომლის საცალო ღირებულება შეადგენს 83,5 ლარს; 2 ცალ ლუდის 50 -ლიტრიანი ბოცის რედუქტორს, ღირებულს 167 ლარად, რომლის საცალო ღირებულება შეადგენს 83,5 ლარს, და ფულად თანხას -900 ლარის ოდენობით, რითაც დაზარალებულს სულ მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი -2250 ლარის ოდენობით, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2007 წლის 23 ივნისს, ღამის საათებში, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თ. ქ-შვილმა უკანონოდ შეაღწია ხელვაჩაურის რაიონში მდებარე, მოქალაქე მ. ბ-ძის კუთვნილ კაფე-ბარში, სადაც ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ ქონებას: ერთ ბოთლ ხორბლის არაყს, ღირებულს 8 ლარად; ერთ ბოთლ არაყს - "დავითს", ღირებულს 5 ლარად; ხუთ პატარა ბოთლ გამაგრებულ სასმელ "ფანტას", ღირებულს 2 ლარად; სამ ცალ ძეხვს, ღირებულს 6,50 ლარად; ერთ ცალ პურს, ღირებულს 50 თეთრად; ორ კოლოფ სიგარეტ "ელემს", ღირებულს 3,20 ლარად; ერთ კოლოფ სიგარეტ "პირველს", ღირებულს 1 ლარად; ექვს ცალ ნაყინს, ღირებულს 3 ლარად; ერთ ცალ თევზს, ღირებულს 2 ლარად; ორ ბოთლ მინერალურ წყალს - "ნაბელავს", ღირებულს 2,20 ლარად; ხუთ ცალ კვერცხს, ღირებულს 1 ლარად, და ფულს -80,60 ლარისა და 10 აშშ დოლარის ოდენობით, რითაც დაზარალებულს სულ მიაყენა 132 ლარის ზიანი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მსჯავრდებული თ. ქ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ არ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა განაჩენით მისთვის შერაცხულ ბრალდებას. აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლოს განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ თითის ანაბეჭდს, რომელიც არავინ იცის, ვისია და რა გზით მოხვდა კაფე-ბარის დოკუმენტებზე. აპელანტი თ. ქ-შვილი მეორე საჩივრით ითხოვდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, ვინაიდან, მისი აზრით, წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა მიკერძოებულად და ცალმხრივად. 2007 წლის 23 ივნისს, დანაშაულის ჩადენის დროს, იგი ჯერ კიდევ არ იყო გასამართლებული 2007 წლის 13 ივნისს მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით და მას უკანონოდ წარედგინა ბრალდება, რომლის საფუძველზეც მის მიმართ დადგინდა უკანონო განაჩენი საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით. სასამართლომ სასჯელი დაუნიშნა კანონმდებლობის დარღვევით, კერძოდ, მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება (ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის) წარდგენილ იქნა საქართველოს სსკ-ის 2007 წლის 4 ივლისამდე მოქმედი რედაქციით, რაც არაერთგზის დანაშაულს განმარტავდა როგორც ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით უნდა დანიშნულიყო ერთი და არა -ორი სასჯელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოცემული სისხლის სამართლის საქმეები გააერთიანა ერთ წარმოებად.

სააპელაციო საჩივარზე ბრალდების მხარეს შესაგებელი არ შეუტანია.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა თ. ქ-შვილმა აღიარა თავის მიერ ქურდობების ჩადენა, რის გამოც მან და მისმა ადვოკატმა ფ. ბ-ძემ დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლეს თ. ქ-შვილის ქურდობის ორივე ეპიზოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე დამნაშავედ ცნობა, აგრეთვე ამ დანაშაულისათვის მის მიმართ სამართლიანი სასჯელის დანიშვნა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში მისი გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 11 ივლისის განაჩენით მიიჩნია, რომ მსჯავრდებულმა თ. ქ-შვილმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებითა და მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ თ. ქ-შვილის ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ თ. ქ-შვილის მიმართ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელიდან (თავისუფლების აღკვეთა 15 წლისა და 9 თვის ვადით; ჯარიმა 9500 ლარის ოდენობით) ამორიცხა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელები (თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით; ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით) და მას საბოლოო სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, აგრეთვე ჯარიმა -5500 ლარის ოდენობით, რაც თ. ქ-შვილს დანიშნული ჰქონდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის განაჩენით, დანაშაულთა ერთობლიობის გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ თ. ქ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა პ. ბ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც ითხოვს ქურდობის ნაწილში თ. ქ-შვილის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და ამ ნა-

წილში მისთვის მსუბუქი სასჯელის დანიშვნას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: კასატორს მიაჩნია, რომ ქურდობის ნაწილში უსაფუძვლოდ დაკვალიფიცირდა თ. ქ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდების მხარე არ ედავებოდა თ. ქ-შვილს წარსულ ნასამართლობებს, რაც აისახა კიდევ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენში, ხოლო, როდესაც ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ თავისი განაჩენით თ. ქ-შვილის ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, ამით დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თ. ქ-შვილის მსჯავრდებას, ის არის სრულიად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, რის გამოც ამ ნაწილში იგი უნდა გამართლდეს. ამასთან, კასატორი ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ თ. ქ-შვილმა სააკელიაძე სასამართლოში საქმის განხილვისას გულწრფელად აღიარა და მოინანია თავის მიერ ჩადენილი ქურდობის ორივე ეპიზოდი, რის გამოც ის იმსახურებს შეღავათს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. ქ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ თ. ქ-შვილს უსაფუძვლოდ დაედო მსჯავრი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი ქურდობისათვის, რომელიც ჩადენილია იმის მიერ, ვინც წინათ ორჯერ ან მეტჯერ იყო მსჯავრდებული სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის. 2007 წლის 14 დეკემბერს თ. ქ-შვილის ბრალდების საქმეზე მის მიერ 2007 წლის 23 ივნისს დაზარალებულ მ. ბ-ძის კუთვნილ კაფე-ბარში ჩადენილ ქურდობის ეპიზოდთან დაკავშირებით მის მიმართ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში, რომლითაც მას წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მითითებულია, რომ 1999 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლომ და 2002 წელს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ იგი გაასამართლეს ქურდობებისათვის. 2007 წლის 23 ივნისს, თ. ქ-შვილის მიერ ბოლო დანაშაულის ჩადენისას, ხსენებული განაჩენებით მსჯავრდების შედეგად წარმოშობილი ნასამართლობა არ იყო გაქარწყლებული ან მოხსნილი კანონით დადგენილი წესით. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა თ. ქ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება დაცვის მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თ. ქ-შვილს დაუსაბუთებლად შეერაცხა ბრალდება მის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი ქმედების ჩადენის თაობაზე, როგორცაა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა. მართალია, ხუთი საბრძოლო ვაზნა ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა მისი საწოლიდან, მაგრამ საქმეში არ მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულებები შემდეგზე: ბოლოს როდის იმყოფებოდა თ. ქ-შვილი თავის ოთახში, სადაც აღნიშნული საწოლი იდგა; თ. ქ-შვილის არყოფნისას მისი საწოლი ოთახი იყო თუ არა დაკეტილი, რაც გამორიცხავდა იქ სხვა პირთა შესვლის შესაძლებლობას; შედიოდნენ თუ არა ამ ოთახში ოჯახის სხვა წევრები; მათგან ბოლოს ვინ, როდის, რა მიზნით იმყოფებოდა იქ და ჰქონდა თუ არა შეხება მის საწოლთან; ოჯახის სხვა წევრებს ჰქონდათ თუ არა შემჩნეული საბრძოლო ვაზნები ხსენებულ ოთახში ან საწოლში ჩხრეკის ჩატარებამდე. ეს საკითხები არ ყოფილა დასმული და გამოკვლეული საქმეზე სასამართლო გამოძიების ჩატარებისას. ასეთ პირობებში, როდესაც არ არის გამორიცხული ჩხრეკის ჩატარებამდე ზემოაღნიშნული საბრძოლო მასალის თ. ქ-შვილის საძინებელ ოთახში სხვა პირის მიერ შეტანისა და შენახვის ეჭვი, მხოლოდ ჩხრეკის ოქმი, ასევე, ამ ჩხრეკის შედეგების დადასტურება მისი მონაწილე და დამსწრე პირების მიერ, ვერ ჩაითვლება საკმარისად თ. ქ-შვილის მიერ საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვის ვერსიის სარწმუნოდ მიჩნევისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს თ. ქ-შვილის უდანაშაულობის გამომრიცხავი და მისი ბრალის დამადასტურებელი საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რის გამოც არ შეიძლება მას შეერაცხოს საქართველოს სსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარდგენილი ბრალდება.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საპროცესო კანონის დარღვევით გააერთიანა აღნიშნული სასამართლოს წარმოებაში თ. ქ-შვილის მიმართ არსებული ორი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმე, რომელთა საფუძველზე დადგენილ განაჩენებზე დაცვის მხარემ ცალ-ცალკე შეიტანა სააპელაციო საჩივრები. საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, ერთ წარმოებად გააერთიანოს თუნდაც ერთი და იმავე პირის მიმართ სააპელაციო სასამართლოში შესული, სხვადასხვა საქმეზე შეტანილი სააპელაციო საჩივრები, ერთობლივად განიხილოს ისინი და მათ თაობაზე გამოიტანოს ერთი განაჩენი ან სხვა სახის შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება. მიუხედავად აღნიშნული არსებითი დარღვევისა, გასაჩივრებული განაჩენი ვერ გაუქმდება, რადგან საკასაციო საჩივარი შეტანილია მხოლოდ დაცვის მხარის მიერ მსჯავრდებულის სასიკეთოდ ქმედების კვალიფიკაციის შეცვლისა და სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით. იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული თ. ქ-შვილი ქურდობის ორივე ეპიზოდში თავს ცნობს დამნაშავედ, მის მიმართ საქმის ხელახლა განხილვისათვის დაბრუნებისა და უკანონოდ გაერთიანებული საქმეების ცალ-ცალკე განხილვის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ მის მიმართ გამოტანილ იქნეს ორი გამამტყუნებელი განაჩენი, შესაბამისი სასჯელების დანიშვნით. შემდგომში კი, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 614-ე მუხლისა, უნდა მოხდეს ორი განაჩენით დანიშნული სასჯელების შეკრება, რაც, საბოლოო სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, დაამძიმებს მსჯავრდებულ თ. ქ-შვილის მდგომარეობას, კერძოდ, გამოიწვევს მის მიმართ ბევრად უფრო მკაცრი საბოლოო სასჯელის დანიშვნას, ვიდრე გასაჩივრებული განაჩენით ამჟამად აქვს შეფარდებული.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

სააპელაციო სასამართლომ თ. ქ-შვილის მიმართ საქმის განხილვისას და ამ საქმეზე განაჩენის დადგენისას დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევები, რის გამოც, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 564-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. ქ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ საფუძველზე, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. ამასთან ერთად, განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს აღნიშნული მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი.

რაც შეეხება იმავე განაჩენით მსჯავრდებულ თ. ქ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნულ ძირითად და დამატებით სასჯელებს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, ვერ ჩაითვლება ზედმეტად მკაცრად და უსამართლოდ, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი აღნიშნულ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. ქ-შვილის დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. ქ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. შესაბამისად, განაჩენიდან ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მის მიმართ დანიშნული ძირითადი და დამატებითი სასჯელები, ხოლო საბოლოოდ მსჯავრდებულ თ. ქ-შვილს მოსახდელად განესაზღვროს აღნიშნული განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნული სასჯელები: თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით და ჯარიმა -4000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

